

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2011, # 1

## სამოქალაქო

## პროცესი

1. უწყებრივი ქვემდებარეობა
2. ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება
3. საპროცესო ხარჯები
  - დავის საგნის ფასის განსაზღვრა
  - სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება და შემცირება
  - სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება სასამართლოს მიერ
  - სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის
  - სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება
  - სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლების საფუძვლები
4. საპროცესო ვადის დამთავრება
5. საპროცესო ვადის გასვლის შედეგები
6. სასამართლო შეტყობინება
  - სასამართლო უწყების გაგზავნა
  - შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში
  - შეტყობინება სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ

# 1. უწყებრივი ქვემდებარეობა

## განსჯადობა

### განჩინება

#ას-686-642-2010 20 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით თ. ს-ძის სარჩელი მოპასუხე აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიმართ მიუღებელი ხელფასის, ქმედების დავალდებულებისა და მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა; თ. ს-ძის რწმუნებულის მოთხოვნას, დადგენილიყო ამჟამინდელი მინიმალური ხელფასი და დავალდებუდა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ცვლილებების გათვალისწინებით გადაეანგარიშებინა თ. ს-ძეზე გასაცემი მინიმალური ხელფასი, უარი ეთქვა უსაფუძვლობის გამო; მოსარჩელის მოთხოვნა -მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ მიუღებელი სარჩოს სახით 9660 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; ასევე არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის მის სასარგებლოდ მორალური და მატერიალური ზიანის სახით 50000 ლარის დაკისრების თაობაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ს-ძის წარმომადგენელმა ი. ბ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 მაისის განჩინებით, მ. ს-ძის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით, საქმის ზეპირი განხილვა დაინიშნა 2010 წლის 27 მაისს 14:00 საათზე, რის შესახებაც კანონით დადგენილი წესით ეცნობათ მხარეებს.

2010 წლის 27 მაისს დანიშნულ სხდომაზე იმ საფუძველით, რომ აპელანტის წარმომადგენლის ი. ბ-შვილის რწმუნება ხარვეზიანი იყო -იგი არ იყო იურისტი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლის შესაბამისად, არ ჰქონდა უფლებამოსილება, მონაწილეობა მიეღო სააპელაციო წესით საქმის განხილვაში -სასამართლომ საქმის განხილვა გადადო 2010 წლის 10 ივნისს 13:00, რის შესახებაც კანონით დადგენილი წესით აცნობა მხარეებს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივნისის განჩინებით, მოწინააღმდეგე მხარის -აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს მთავარ სხდომაზე თ. ს-ძის გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა თ. ს-ძის წარმომადგენელმა ბ. გ-ძემ. კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის განხილვის განახლება იმ საფუძველით, რომ თ. ს-ძე, როგორც საქმის მასალებითაა დადგენილი, ათეული წლებია, უსინათლოა და ავადმყოფობის გამო სარეცელსაა მიჯაჭვული; მან იცოდა, რომ ჰყავდა წარმომადგენელი და შეეძლო თუ არა მის წარმომადგენელს მონაწილეობის მიღება საქმის ზემდგომ ინსტანციებში განხილვაში, ეს მისთვის უცნობი იყო. კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის მოსაზრებით, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი და განჩინებით არ გააფრთხილა თ. ს-ძე, აეყვანა ადვოკატი, რომელსაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლის შესაბამისად, უფლება ექნებოდა, მიეღო მონაწილეობა სააპელაციო წესით საქმის განხილვაში.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში თ. ს-ძის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხე აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის მიუღებელი ხელფასის, ქმედების დავალდებულებისა და მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება. მოსარჩელის განმარტებით,

იგი მუშაობდა ხელვაჩაურის სატყეო მეურნეობის ხის გადამამუშავებელ საწარმოში მხერხავად. 1985 წელს მიიღო საწარმოო ტრავმა, რის გამოც 1985 წლის 4 ივნისს შედგენილი შემოწმების აქტით მას მუდმივად მიეკუთვნა სარჩო-ხელფასი, რომელსაც სატყეო მეურნეობა უხდიდა 1993 წლამდე. სარჩო-ხელფასის გადახდის შეწყვეტის გამო მან ვეღარ მოახერხა მკურნალობა და სრულად დაკარგა მხედველობა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ 2006 წლის 30 ივნისიდან მას განუახლა მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობის გადახდა და ამჟამად უხდის რეგულარულად საქართველოს მთავრობის #48 და #351 დადგენილების საფუძველზე. მოსარჩელის განმარტებით, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ კანონის უხეში დარღვევით დატოვა იგი სარჩოს გარეშე 1993 წლიდან 2006 წლის 30 ივნისამდე, რითაც მან განიცადა მძიმე მატერიალური და მორალური ზიანი, რაზედაც პასუხისმგებელია სახელმწიფო.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ დაარღვია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლები, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები, ვინაიდან თ. ს-მის სარჩელთან დაკავშირებული საქმე ექვემდებარებოდა განხილვას ადმინისტრაციული და არა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიებს და ადგენს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს, ანუ, რომელი საქმეები შეიძლება იქნეს განხილული ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში. ზემოხსენებული მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

განსახილველ შემთხვევაში თ. ს-მის სარჩელის დავის საგანია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის -აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის მიუღებელი ხელფასის, ქმედების დავალდებულებისა და მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თ. ს-მის სადავოდ ქცეული უფლება, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს და იგი განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებით. გასაჩივრებული განჩინება კი გამოტანილია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ნორმებზე დაყრდნობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივნისის განჩინება და საქმე განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უწყებრივი ქვემდებარეობა

### განჩინება

#ას-555-523-2010

2 ნოემბერი, 2010 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, თანხის დაბრუნება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 23 ივნისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ა. დ-მემ მოპასუხე ბათუმის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიმართ და მოითხოვა ბათუმის რეგიონალური ცენტრის 2009 წლის 16 თებერვლის #742 ბრძანების ბათილად ცნობა მის ნაწილში, კერძოდ, საინკასო დავალებით სს "... ბანკის" ბათუმის ფილიალში შპს "ა-ს" ანგარიშიდან სამეურვეო ქონების რეალიზაციით მიღებული თანხიდან მისი გაკოტრების მმართველის გასამრჯელოს -1 184,94 ლარის დაბრუნება.

მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით თანამოპასუხედ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო დაასახელა და ბათუმის რეგიონალური ცენტრის #742 ბრძანების ბათილად ცნობა, ბათუმის რეგიონალური ცენტრისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის მის სასარგებლოდ 1 184,94 ლარის სოლიდარულად დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელის მოთხოვნა დაეფუძნა შემდეგ მოტივებს:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით გაიხსნა შპს "ა-ს" მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველად დაინიშნა ა. დ-მე. აღნიშნული განჩინებით განისაზღვრა მოსარჩელის, როგორც გაკოტრების მმართველის გასამრჯელო -გაკოტრების მასის ღირებულების 3%, რაც გათვალისწინებულია "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით. 2009 წლის 20 იანვარს გაკოტრების საქმის მწარმოებელმა სასამართლომ მიიღო განჩინება შპს "ა-ს" გაკოტრების საქმის დასრულებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, სამეურვეო ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა უნდა შეტანილიყო სასამართლოს საგირავნო სადეპოზიტო ანგარიშზე და განაწილებულიყო გაკოტრების პროცესის დასრულებიდან არა უადრეს 3 თვისა. მითითებულ თანხაში გათვალისწინებული იყო ა. დ-მის, როგორც გაკოტრების მმართველის, გასამრჯელო -1 184,94 ლარი, თუმცა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრმა 2009 წლის 20 თებერვლის #742 ბრძანებით კანონდარღვევით განახორციელა სამეურვეო ქონების რეალიზაციით მიღებული სრული თანხის (მათ შორის -მოსარჩელის გასამრჯელოს) ინკასოთი ჩამოჭრა და სახელმწიფო სახაზინო ანგარიშზე გადარიცხვა.

ზემოაღნიშნულის თაობაზე ა. დ-მემ განცხადებით მიმართა ბათუმის რეგიონალურ ცენტრს და მოითხოვა უკანონოდ ჩამოჭრილი თანხის დაბრუნება. ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა განცხადება გადაუგზავნა ფინანსთა სამინისტროს. 2009 წლის 22 მაისის წერილით მოსარჩელეს თანხის დაბრუნებაზე უარი ეთქვა. მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნული ური ეწინააღმდეგება "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე მუხლის იმპერატიულ მოთხოვნას, აგრეთვე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომლის აღსრულებაც ვერ ხერხდება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ ა. დ-მის სარჩელი განხილულ იქნა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. 2009 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. დ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათუმის რეგიონალურ ცენტრსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ა. დ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 1 184,94 ლარის გადახდა, ბათილად იქნა ცნობილი ბათუმის რეგიონალური ცენტრის 2009 წლის 16 თებერვლის #742 ბრძანება "საბანკო ანგარიშიდან გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხის ჩამოჭრის შესახებ".

საქალაქო სასამართლომ დადგინდა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 აპრილის განჩინებით გაიხსნა შპს "ა-ს" გაკოტრების საქმის წარმოება. გაკოტრების მმართველად დაინიშნა ა. დ-მე, რომელსაც განჩინებით გასამრჯელოდ განესაზღვრა გაკოტრების მასის 3%. გაკოტრების საქმის წარმოება გაიხსნა "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს 1996 წლის 25 ივნისის კანონის შესაბამისად. გაკოტრების მმართველის ანაზღაურება გათვალისწინებული იყო დასახელებული კანონის 33-ე მუხლით. ამ ნორმიდან გამომდინარე, გაკოტრების

მმართველის გასამრჯელო უნდა გამოთვლილიყო გაკოტრების მასიდან. ანაზღაურების ოდენობა განსაზღვრა სასამართლომ.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა 2007 წლის 15 აგვისტოდან, გაკოტრების საქმეთა დარეგულირების მიზნით ამოქმედდა საქართველოს კანონი "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ". იმ გადახდისუუნარობის საქმეების მიმართ, რომლებზეც გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება შეტანილი იყო "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს 1996 წლის 25 ივნისის კანონის შესაბამისად, გაკოტრების პროცესი უნდა დასრულებულიყო ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონმა ძალა დაკარგა და ამოქმედდა "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" კანონი, ამ კანონის ამოქმედებამდე შესრულებულ პროცესულურ მოქმედებებს ძალა არ დაუკარგავთ და განვლილი მოქმედებების ხელახლა გავლა არ იყო საჭირო, ანუ ძალაში იყო ყველა ის მოქმედება, რაც შესრულდა "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებამდე. მოცემულ საქმეზე გაკოტრების საქმის წარმოება ახალი კანონის მოთხოვნათა დაცვით გაგრძელდა იმ სტადიიდან, სადაც შეჩერდა "გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედების პერიოდი.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, გაკოტრების საქმის დასრულების შემდეგ სამეურვეო ქონების რეალიზაციით მიღებული თანხები შენახული უნდა ყოფილიყო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე და გაკოტრების მმართველის მიერ ექვემდებარებოდა განაწილებას გაკოტრების პროცესის დასრულებიდან სამი თვის შემდეგ. ბათუმის რეგიონალური ცენტრი არ დაელოდა ქონების რეალიზაციიდან სამი თვის გასვლას და 2009 წლის 16 თებერვალს მიიღო ბრძანება საბანკო ანგარიშებიდან გადასახადის, საურავის და ჯარიმის თანხის ჩამოწერის შესახებ, რომლითაც ბანკიდან მიიღო "ა-ს" სამეურვეო ქონების რეალიზაციის გზით მიღებული შემოსავალი და ჩარიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში. დასახელებულ თანხაში სხვა თანხებთან ერთად ინახებოდა გაკოტრების მმართველის გასამრჯელოც, რაც უკანონოდ ჩამოწერა ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა და ჩარიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში.

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19, 33-ე მუხლებით, "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტით, 42-ე მუხლით, 56-ე მუხლის მე-2, მე-3 პუნქტებით, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლით და მივიდა დასკვნამდე, რომ ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა დაარღვია კანონი. აღნიშნული გამოიხატა შემდეგში: როდესაც "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 21.2 მუხლით შეჩერებული იყო იძულებითი აღსრულება და იკრძალებოდა გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე განჩინების გამოტანამდე აღებული ვალდებულებების უზრუნველყოფა, მან ბანკში წარადგინა საინკასო დავალება და უზრუნველყო შპს "ა-ს" ვალდებულებები. ეს თანხა რომ განაწილებულიყო "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" კანონის შესაბამისად, ა. დ-მე მიიღებდა კუთვნილ ხელფასს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტებმა მიუთითეს, რომ ა. დ-მეს "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებიდან ხელშეკრულება კრედიტორთან არ დაუდია და მას ხელფასის სახით მოთხოვნილი თანხა არ ეკუთვნოდა. ბათილად ცნობილი #742 ბრძანება ხელფასის ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნასთან კავშირში არ არის, მით უმეტეს, რომ შპს "ა-ს" საბანკო ანგარიშზე წარდგენილი საინკასო დავალებები გამოთხოვილ იქნა, ხოლო თანხის დაბრუნების მექანიზმი არ არსებობდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 3 თებერვლის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. დ-მე შპს "ა-ს" გაკოტრების მმართველად დაინიშნა და მისი საქმიანობა ამ თანამდებობაზე წარიმართა "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" და "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონების შესაბამისად. სწორედ ამ კანონების საფუძველზე წარმართული საქმიანობისათვის მოითხოვდა იგი გასამრჯელოს და სწორედ

ეს იყო მისი დავის მიზანი, ანუ დავის შედეგის მიმართ მას გააჩნდა კონკრეტული ინტერესი - მი-  
ელო გაწეული საქმიანობისათვის თავისი კუთვნილი ხელფასი -1 184.94 ლარი.

რაც შეეხებოდა ბათუმის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2009 წლის 16  
თებერვლის #742 ბრძანებას, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მითითებით, მხარე მის ბათი-  
ლად ცნობას ითხოვდა "გაკოტრების საქმეთა წარმოების" შესახებ და "გადახდისუუნარობის საქმის  
წარმოების შესახებ" საქართველოს კანონების საფუძველზე.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ეს ის გარემოება იყო, როდესაც მოსარჩელე  
დავის საგანს აყალიბებდა იმგვარად, რომ დავის მიზნობრივი შედეგი და საფუძვლები გამომდინა-  
რეობდა სამოქალაქო სამართალურთიერთობიდან, რასაც საქმის განსჯადობის საკითხის გადაწყვე-  
ტისათვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 მარტის გა-  
დაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ბათუმის რეგიონალური ცენტრის (სა-  
გადასახადო ინსპექცია) სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა - გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასა-  
მართლოს 2009 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;  
ა. დ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით შპს "ა-ს" მიმართ  
გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება, გაკოტრების მმართველად დაინიშნა ა. დ-მე, რომელსაც  
განჩინებით გასამრჯელოს სახით განესაზღვრა გაკოტრების მასის ღირებულების 3%;

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის განჩინებით დასრულდა შპს "ა-ს"  
გაკოტრების საქმის წარმოება. განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტით დადგინდა,  
რომ სამეურვეო ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა შეტანილიყო სასამართლოს საგირავნო სა-  
დეპოზიტო ანგარიშზე, სამეურვეო რეალიზაციიდან მიღებული თანხა გაკოტრების პროცესის დას-  
რულებიდან არაუადრეს 3 თვისა უნდა განაწილებულიყო სასამართლოს მიერ დამტკიცებული გა-  
კოტრების ცხრილის შესაბამისად;

ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა 2009 წლის 20 თებერვალს მიიღო #742 ბრძანება "საბანკო  
ანგარიშებიდან გადასახადის, საურავის და ჯარიმის თანხის ჩამოწერის შესახებ", რომლითაც საგა-  
დასახადო ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით საინკასო დავალება წარდგენილ იქნა სს "...  
ბანკის" ბათუმის ფილიალში, შპს "ა-ს" ანგარიშიდან ჩამოიჭრა სასამეურვეო ქონების რეალიზაცი-  
ით მიღებული თანხა და ჩაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში;

2009 წლის 23 ივნისს ა. დ-მემ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში. მან მოით-  
ხოვა საგადასახადო ინსპექციის ბრძანების ბათილად ცნობა და თანხის დაკისრება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" სა-  
ქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-8 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, გადახდისუუნარობის  
საქმის წარმოებისას კრედიტორთა დაკმაყოფილების რიგითობა დგინდება კრედიტორთა მოთხოვნის  
რეესტრით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეზე წარდგენილ შპს "ა-ს" კრედიტორთა მოთხოვნის  
საბოლოო ცხრილზე, რომლითაც დადგინდა კრედიტორთა დაკმაყოფილების შემდეგი რიგითობა:  
პირველ რიგში - ქონების მართვის, მათ შორის, ხელშეკრულების დადების ან შესრულების, ან ვა-  
ლაუვალი მოვალის მოთხოვნებისა და უფლებების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი ხარჯი  
-394.98 ლარი; მეორე რიგში - გაკოტრების მმართველის გასამრჯელო -1 184.4 ლარი; მესამე  
რიგში - გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე ერთი თვის ხელფასის მოთხოვნა -1 579.92 ლა-  
რი; მეოთხე რიგში - სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არსებული დავალიანება -179 753 ლარი,  
მეხუთე რიგში არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები -4 722 ლარი.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არსე-  
ბული დავალიანება, გაკოტრების მმართველის წინაშე არსებულ დავალიანებასთან შედარებით, გა-  
კოტრების ცხრილში წარმოადგენდა მომდევნო რიგის მოთხოვნას, ამიტომ, "გადახდისუუნარობის  
საქმის წარმოების შესახებ" კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, სახელმწიფო  
ბიუჯეტის მიმართ არსებული დავალიანება უნდა დაფარულიყო ა. დ-მის წინაშე არსებული დავა-  
ლიანების (1 184.4 ლარის) დაფარვის შემდეგ, ე.ო. საგადასახადო ინსპექციას არ ჰქონდა უფ-  
ლება, სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაერიცხა სამეურვეო ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებული  
მთელი თანხა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ა. დ-მის კუთვნილი თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში  
ჩაირიცხა სადავო ბრძანების საფუძველზე, ხოლო მის დაბრუნებაზე აპელანტის მოწინააღმდეგე  
მხარეს უარი ეთქვა საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებით. საგადასახადო კოდექსის 147-ე  
მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ა. დ-მეს საგადასახადო ორგანოს უარი მისთვის ზედმეტად ჩა-  
მოჭრილი თანხის დაბრუნებაზე უნდა გაესაჩივრებინა გადაწყვეტილების მიღებიდან 20 დღის ვადა-

ში, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით -ერთი თვის, ანუ 30 დღის ვადაში.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმეზე დგინდებოდა, რომ უარი სადავო თანხის დაბრუნებაზე, შემოსავლების სამსახურის #16-09/13088 წერილთან ერთად, ა. დ-მემ მიიღო 2009 წლის 22 მაისს, ხოლო სარჩელით სასამართლოს მიმართა 2009 წლის 23 ივნისს, ანუ უარის მიღებიდან 31-ე დღეს. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. დ-მემ გაუშვა საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს უარი მისთვის თანხის დაბრუნებაზე კანონიერი იყო, რაც სარჩელის დაკმაყოფილებას გამორიცხავდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. დ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის მე-3 ნაწილი. სამოქალაქო წესით საქმის განმხილველ სასამართლოს უფლება არ ჰქონდა, გამოეყენებინა ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნორმები და ემსჯელა სარჩელის დასაშვებობაზე.

საკასაციო საჩივრის თანახმად, ბათუმის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) წერილი, რომლითაც ა. დ-მეს ეცნობა, რომ არ დაბრუნდებოდა საინკასო დავალებით ჩამოჭრილი თანხები, ამ უკანასკნელს ჩაჰბარდა 2009 წლის 22 მაისს, რომელიც მან გაასაჩივრა 2009 წლის 19 ივნისს. ამას ადასტურებს სარჩელის დათარიღება, აგრეთვე, ბათუმის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შესაგებელი. აქედან გამომდინარე, კასატორი მცდარად მიიჩნევს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობას ა. დ-მის მიერ ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების ვადის გასვლის თაობაზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დავა განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან (2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტი), აგრეთვე, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე (2.1 მუხლის "გ" ქვეპუნქტი).

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პირველი მუხლის "გ" ქვეპუნქტი ადმინისტრაციულ აქტს განმარტავს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ სამართლებრივ აქტს.

განსახილველ საქმეზე ა. დ-მის სარჩელის დავის საგანია: 1. ადმინისტრაციული ორგანოს - ბათუმის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 16 თებერვლის #742 ბრძანების ბათილად ცნობა; 2. ბათუმის რეგიონალური ცენტრისა (საგადასახადო ინსპექცია) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის ა. დ-მის სასარგებლოდ 1 184,94 ლარის სოლიდარულად დაკისრება. საქმის მასალების თანახმად, ა. დ-მეს სარჩელის მოთხოვნა არ შეუმცირებია.

ბათუმის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 16 თებერვლის #742 ბრძანება წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. აღნიშნული ბრძანების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს საგადასახადო კოდექსი, რომელიც განეკუთვნება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას. ამდენად, ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის მოთხოვნა დაცულია, კერძოდ, არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრული სარჩელი, რა დროსაც სასამართლომ უნდა შეამოწმოს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონშესაბამისობა.

სარჩელის მეორე მოთხოვნა, რომელიც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოების -ბათუმის რეგიონალური ცენტრისა (საგადასახადო ინსპექცია) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის ა. დ-მის სასარგებლოდ 1 184,94 ლარის სოლიდარულად დაკისრებას, ასევე ადმინისტრაციული წესით განსახილველია. ამ თანხების ანაზღაურებას მოსარჩელე ითხოვს მოპასუხე ადმინისტრაციული

ორგანოებისგან არა როგორც მათთან კერძოსამართლებრივ შრომით ურთიერთობაში მყოფი, არა როგორც ამ ურთიერთობიდან გამომდინარე სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას, არამედ ამ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვს ადმინისტრაციული ორგანოებისთვის საბანკო ანგარიშიდან მისი კუთვნილი, არასწორად ჩამოჭრილი თანხის დაბრუნების დავალებას.

დავის სამოქალაქო წესით განხილვას არ განაპირობებს ის გარემოება, რომ სარჩელის მოთხოვნების კანონიერებაზე მსჯელობისას სასამართლომ უნდა გამოიყენოს "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" და "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" კანონები. საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვისას, არ არის აკრძალული, ადმინისტრაციულ კანონმდებლობასთან ერთად სასამართლომ გამოიყენოს სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმე განხილულია საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **2. ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

#ას-661-620-2010

30 დეკემბერი, 2010 წ., ქ თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ვ. როინიშვილი,**

**ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 26 მარტს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ც. ს-ძემ მოპასუხე ა. ა-ძის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისაგან მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება 50 000 ლარის ოდენობით.

სარჩელის თანახმად, ა. ა-ძე 2008 წლის 9 მაისს, დაახლოებით 21.30 საათზე, ქ. ბათუმში, ... და ..... ქუჩების კვეთაში მოძრაობდა კუთვნილი "მიცუბიში პაჯეროს" მარკის ავტომანქანით, რა დროსაც მან ვერ უზრუნველყო უსაფრთხო მოძრაობა და შეეჯახა ქვეითად მოსიარულე ც. ს-ძეს. აღნიშნულთან დაკავშირებით ა. ა-ძის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. 2008 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით მის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა და წინასწარი გამოძიება, რასაც საფუძველად დაედო "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2008 წლის 9 მაისს მომხდარი ავტოავარიის შედეგად მიიღო სხეულის მძიმე დაზიანებები. 2007 წლის 25 აგვისტოს გარდაეცვალა მეუღლე და დარჩა ორი არასრულწლოვანი შვილი. 2006 წლის 28 სექტემბრიდან იგი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. მოპასუხეს მისთვის არანაირი მორალური და მატერიალური დახმარება არ გაუწევია.

მოსარჩელის მოსაზრებით, ყოველივე აღნიშნული, იძლევა მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დავის დაკისრების საფუძველს. სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად ც. ს-ძემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე.



ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით ც. ს-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე:

სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის #1091/1-610 დასკვნის თანახმად, 2008 წლის 9 მაისს ც. ს-ძე მოათავსეს სტაციონარში დიაგნოზით: შერწყმული ტრავმა, ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, თავის ტვინის დაჟეჟილობა, გულმკერდის დახურული ტრავმა, ნეკნების მრავლობითი მოტეხილობა ორმხრივ, ორმხრივი ჰემოპნევმოთორაქსი, ფილტვების დაჟეჟილობა, მარჯვნივ ბოქვენისა და საჯდომი ძვლების მოტეხილობა, მე-2 ხარისხის ტრავმული შოკი. დაზიანებები მიყენებულია რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება მძიმე ხარისხს როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო;

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ც. ს-ძის სხეულის დაზიანების ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე #075080163, რომელზეც 2008 წლის 18 ნოემბრის დადგენილებით სამოქალაქო მოპასუხედ ცნობილ იქნა ა. ა-ძე.

სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ აჭარის ა/რ-ის პროკურატურის განყოფილების პროკურორის 2008 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით ზემოთ დასახელებულ სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა და წინასწარი გამოძიება.

2008 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით დადგენილი ფაქტები შემდეგში მდგომარეობს: 2008 წლის 9 მაისს, 12.30 საათზე, ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში, "მიცუბიში პაჯეროს" მარკის ავტომანქანა, რომელსაც მართავდა ბათუმში, ... ქ. #22-ის ბინა #7-ში მცხოვრები, 1958 წელს დაბადებული ა. ა-ძე, შეეჯახა ქვეითად მოსიარულე ც. ს-ძეს (დაბადებულს 1954 წელს, მცხოვრებს ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ...), რომელმაც მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება. ა. ა-ძემ დაარღვია ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების და ექსპლოატაციის წესები, კერძოდ, "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის 29.1 მუხლის მოთხოვნები, ვერ უზრუნველყო ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობდა დელიქტური ვალდებულებიდან. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამ ნორმის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების შესახებ პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობების ერთობლივად არსებობისას, კერძოდ, ა) დადასტურებული უნდა იყოს ზიანის ფაქტი; ბ) ზიანი მიყენებული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით; გ) მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი და დ) ზიანის მიმყენებელს მიუძღვოდეს ბრალი.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2008 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით არ დგინდებოდა ა. ა-ძის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მის ქმედებასა და დამდგარ შედეგს -ც. ს-ძის ჯანმრთელობის მოშლას შორის მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიყენებაში ა. ა-ძის ბრალი, რამდენადაც არ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ც. ს-ძის სხეულის დაზიანების ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე, რომლითაც ერთმნიშვნელოვნად დადასტურდებოდა მოპასუხის ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი დამდგარ ზიანზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ც. ს-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით ც. ს-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ც. ს-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ა. ა-ძეს მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად დაეკისრა 10 000 ლარის გადახდა; მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით ა. ა-ძეს დაევალა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 400 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში არსებული, სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ აჭარის ა/რ-ის პროკურატურის განყოფილების პროკურორის 2008 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით უდავოდ დგინდებოდა, რომ ა. ა-ძემ ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევის შედეგად, ც. ს-ძეს მიაყენა სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებაზე, რომ სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ აჭარის ა/რ-ის პროკურატურის განყოფილების პროკურორის 2008 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით სისხლისსამართლებრივი დევნა და წინასწარი გამოძიება შეწყდა ამნისტიის საფუძველზე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლი განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძველებს. ამ მუხლის 1-ლი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ გამოცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონის დასახელებული ნორმის დისპოზიციიდან გამომდინარეობს, რომ, მიუხედავად პირის მიერ გარკვეული ქმედების ჩადენისა, იგი ამ ქმედების ჩადენისათვის თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან, თუ გამოცემულია ამნისტიის აქტი. ეს ნორმა არ გულისხმობს პირის გათავისუფლებას სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ამდენად, საქმეზე დადგენილია, რომ ა. ა-მე მის მიერ ჩადენილი ბრალეული ქმედების გამო ამნისტიის აქტის გამოცემის საფუძველზე გათავისუფლდა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი და არა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ა. ა-მის განმარტება იმის შესახებ, რომ იგი არის უდანაშაულო და მას ავტოვარია (დანაშაულებრივი ქმედება) არ მოუხდენია, რამდენადაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, ამნისტიის გამო, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტა დაუშვებელია, თუ ბრალდებული ამის წინააღმდეგაა. ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და წინასწარი გამოძიება გრძელდება ჩვეულებრივი წესით და მთავრდება გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენითა და განსასჯელის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებით. იმის გათვალისწინებით, რომ ა. ა-მე სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებას არ შედაგებია და ეს შემაჯამებელი დადგენილება კანონიერ ძალაში შევიდა, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ა. ა-მის ქმედებით ც. ს-მეზე ზიანის მიყენების ფაქტი.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ა. ა-მის ქმედებით ც. ს-მემ მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება, რაც მისი სიცოცხლისათვის სახიფათო იყო. ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად ც. ს-მე გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი. იგი ინვალიდის სავარძელს არის მიჯაჭვული. ამასთან, მას არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი, ჰყავს ორი არასრულწლოვანი შვილი, არ ჰყავს მეუღლე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლზე, რომლის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე წარმოადგენდა კრედიტორს, რომლის მოვალედ უნდა მიჩნეულიყო ა. ა-მე, რადგან მის მიერ ჩადენილი ქმედებით იქნა უშუალოდ ხელყოფილი მოსარჩელის სიკეთე (ჯანმრთელობა). სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ა. ა-მისათვის 10 000 ლარის დაკისრება მორალური ზიანის საკითხის გონივრული და სამართლიანი გადაწყვეტა იყო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ც. ს-მის სარჩელის დაკმაყოფილების და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ა-მემ, რომელიც მოითხოვს მითითებულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას. კასატორის დასახელებული მოთხოვნის საფუძველები მდგომარეობს შემდეგში:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც, თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები და შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებს. ასეთს განეკუთვნება ფაქტები იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა მოქმედება და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გამოტანილია საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება მიიჩნია "შემაჯამებელ გადაწყვეტილებად", ხოლო მასში მოყვანილი გარემოებები დადასტურებულად, რაც კასატორის მოსაზრებით, არასწორია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების საფუძ-

ველზე არასწორად დაადგინა ა. ა-მის მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევის ფაქტი. შესაბამისად, სასამართლომ ასევე არასწორად მიიჩნია, რომ მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ შედეგს -ც. ს-მის ჯანმრთელობის დაზიანებას შორის არსებობდა მიზეზობრივი კავშირი.

კასატორის მოსაზრებით, ასევე არასწორია გადაწყვეტილება მისთვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში, ვინაიდან იგი, როგორც პირველი ჯგუფის ინვალიდი, გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ა-მის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება ა. ა-მისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლო საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 9 მაისს, 12.30 საათზე, ა. ა-მემ, რომელიც მართავდა "მიცუბიში პაჯეროს" მარკის ავტომანქანას, დაარღვია ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების და ექსპლოატაციის წესები, კერძოდ, "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის 29.1 მუხლის მოთხოვნები, ვერ უზრუნველყო ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობა, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი, ქ.ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში, შეეჯახა ქვეითად მოსიარულე ც. ს-მეს, რომელმაც მიიღო სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება, რაც მისი სიცოცხლისათვის სახიფათო იყო. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, ჯანმრთელობის დაზიანების გამო, ც. ს-მე გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი, იგი ინვალიდის სავარძელს არის მიჯაჭვული. ამასთან, მას არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი, ჰყავს ორი არასრულწლოვანი შვილი, არ ჰყავს მეუღლე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

განსახილველ შემთხვევაში კასატორს არ წარმოუდგენია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მსჯელობას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეზე არასწორად დაადგინა კასატორის მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევის ფაქტი, ასევე, კასატორის ქმედებასა და დამდგარ შედეგს -მოსარჩელის ჯანმრთელობის დაზიანებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები.

მოცემულ შემთხვევაში სქმის მასალებით ირკვევა, რომ მოსარჩელემ, მის მიერ მითითებული გარემოებების დასადასტურებლად, სასამართლოს წარუდგინა შემდეგი მტკიცებულებები: აჭარის ა/რ-ის პროკურატურის განყოფილების პროკურორის 2008 წლის 5 დეკემბრის დადგენილება ამნისტიის საფუძველზე ა. ა-მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის 7.08.2008წ. ექსპერტის #109/1-610 დასკვნა, ავტოტექნიკური ექსპერტიზის 10.10.2008წ. დასკვნა, ავტომანქანის დათვალიერების შესახებ 2008 წლის 10-12 მაისის ოქმები, 2008 წლის 18 ნოემბრის დადგენილება ა. ა-მის სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის თაობაზე. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მითითებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლომ მართებულად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ა. ა-მემ, მართავდა რა თავის კუთვნილ ავტომანქანას, დაარღვია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები და შეეჯახა მოსარჩელე ც. ს-მეს, რასაც შედეგად მოჰყვა მოსარჩელის ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება (მოსარჩელე გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი). სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გასაქარწყლებლად კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ეს ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, რომლებიც სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 413-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენენ ა. ა-მის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მართებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ არსებობს მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ, ჯანმრთელობის დაზიანების გამო, მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი. შესაბამისად, ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმებას ექვემდებარება იმ ნაწილში, რომლითაც ა. ა-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 400 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

"სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის "მ" ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან თავისუფლდებიან ინვალიდები. კანონის დასახელებული ნორმა ითვალისწინებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ინვალიდი მხარის გათავისუფლებას ყველა ინსტანციის სასამართლოში.

საკასაციო საჩივარზე თანდართული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის 9.06.2010წ. #05/1331 ცნობის თანახმად, ა. ა-ძე ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრიდან იღებს სახელმწიფო პენსიას თვეში 70 ლარს, მხედველობით, მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას და თვლის, რომ არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ა. ა-ძისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკანონმდებლო საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-411-ე მუხლებით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ა. ა-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება ა. ა-ძისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის -400 ლარის დაკისრების ნაწილში.
3. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **3. საპროცესო ხარჯები**

#### **დავის საგნის ფასის განსაზღვრა**

##### **განჩინება**

#ას-9-8-2010

3 თებერვალი, 2010წ. ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია (სარჩელში); იპოთეკის გაუქმება (შეგებებულ სარჩელში)

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 14 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა სს "... ბანკმა" მოპასუხეების -შპს "ნ-ს", შპს "მ-ის", ზ. ტ-ძის, ს. ხ-უასა და ა. თ-შვილის მიმართ შპს "ნ-ს" ვალდებულების უზრუნველსაყოფად დატვირთული უძრავი ქონების იძულებითი რეალიზაციის მოთხოვნით.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2005 წლის 21 მაისს სს "... ბანკსა" და შპს "ნ-ს" შორის დაიდო საკრედიტო რესურსებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება (ძირითადი ხელშეკრულება), რომლის მიხედვითაც მსესხებელს სესხის სახით ასათვისებლად გამოეყო საკრედიტო რესურსი - 2 000 000 აშშ დოლარი. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 20 წლით. სარგებლის მაქსიმალური ოდენობა შეადგენდა 24%-ს. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე სხვადასხვა დროს დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც მსესხებლისათვის კრედიტის სახით მიცემულმა თანხამ შეადგინა 2 100 000 ლარი და 9 000 000 აშშ დოლარი. ძირითადი ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებების უზრუნველსაყოფად 2007 წლის 29 აგვისტოს ი. ს-შვილთან, ზ. ტ-მეთან და ა. თ-შვილთან დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც იპოთეკით დაიტვირთა 251 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე აღმართულ შენობა-ნაგებობებთან ერთად. 2007 წლის 30 აგვისტოს შპს "ნ-სთან" დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება 621 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მასზე აღმართულ შენობა-ნაგებობებთან ერთად. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეები იყვნენ ს. ხ-უა, ზ. ტ-მე, ა. თ-შვილი და შპს "მ-ი". მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო 2008 წლის 30 დეკემბერს სს "... ბანკმა" განცხადების საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოსცა გადახდის ბრძანება, რომლითაც დაკმაყოფილდა სს "... ბანკის" განცხადება შპს "ნ-ს", კ. ხ-უას და ბ. ხ-უას სს "... ბანკის" სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრა 2 168 831,92 ლარისა და 7 502 690,16 აშშ დოლარის გადახდა, ასევე, განცხადების სასამართლოში შეტანის დღიდან დავალიანების სრულ დაფარვამდე კრედიტების ძირითადი თანხებისათვის დარიცხული სარგებელი - წლიური 18,7% და 16,12%.

მოპასუხე შპს "მ-მა" იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინა. შეგებებული სარჩელის ავტორმა მოითხოვა შპს "მ-ის" საკუთრებაში არსებული, 327,7 კვ.მ შენობა-ნაგებობაზე არსებული იპოთეკის გაუქმება. შპს "მ-ი" შეგებებულ სარჩელში მიუთითებდა, რომ იპოთეკით დატვირთულ ქონებაზე ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს როგორც გამყიდველმა - შპს "ნ-მ", ისე იპოთეკარმა - სს "... ბანკმა" აღუთქვეს იპოთეკის გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა - დადგინდა ზ. ტ-მის, ს. ხ-უასა და ა. თ-შვილის საკუთრებაში არსებული, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების - 251 კვ.მ მიწის ნაკვეთის, მასზე აღმართულ შენობა-ნაგებობებთან ერთად, რეალიზაცია. ასევე, სარეალიზაციოდ მიექცა შპს "მ-ის" საკუთრებაში არსებული, იპოთეკით დატვირთული 621 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე აღმართულ შენობა-ნაგებობებთან ერთად. შპს "მ-ის" შეგებებული სარჩელი სს "თიბის ბანკის" მიმართ არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ სს "თიბის ბანკსა" და ი. ს-შვილს, ზ. ტ-მესა და ა. თ-შვილს შორის 2007 წლის 29 აგვისტოს გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება 251 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, ხოლო 2007 წლის 30 აგვისტოს - სს "... ბანკსა" და შპს "ნ-ს" შორის - 621 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, სს "... ბანკსა" და შპს "ნ-ს" შორის გაფორმებული, 2005 წლის 21 მაისის საკრედიტო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების უზრუნველსაყოფად. სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ შპს "მ-მა" შპს "ნ-სგან" 2008 წლის 4 ივნისს სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულებით შეიძინა იპოთეკით დატვირთული 621 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 327,7 კვ.მ შენობა-ნაგებობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას შპს "მ-სათვის" ცნობილი იყო უძრავ ქონებაზე იპოთეკის არსებობის შესახებ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "მ-მა", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება შპს "მ-ის" მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებისა და მისი შეგებებული სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში. აპელანტი მიუთითებდა, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები. შპს "მ-ი" არ წარმოადგენს სს "... ბანკის" პირად მოვალეს და შპს "ნ-ს" ვალდებულების უზრუნველსაყოფად არ დაუტვირთავს მისი კუთვნილი უძრავი ქონება. აპელანტის მითითებით, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას სჯარო რეესრტის მონაცემებით აღნიშნული მიწის ნაკვეთი იპოთეკით დატვირთული არ ყოფილა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 სექტემბრის განჩინებით შპს "მ-ის" სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, აპელანტს დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრა და სახელმწიფო ბაჟის გადახდა აღნიშნული ღირებულების 4%-ის ოდენობით, წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 150 ლარის გათვალისწინებით.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა შპს "მ-მა" და მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავა ეხებოდა არა უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობას, არამედ იმის გარკვევას, კანონის შესაბამისად დატვირთული იყო თუ არა იპოთეკით შპს "მ-ის"

კუთვნილი უძრავი ქონება სს "... ბანკის" სასარგებლოდ. აპელანტის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში დავის საგნის ფასი განისაზღვრებოდა 4000 ლარით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "კ" ქვეპუნქტის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო ბაჟი უნდა განსაზღვრულიყო 160 ლარით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 18 ნოემბრის განჩინებით შპს "მ-ს" გაუგრძელდა სააპელაციო საჩივარზე 2009 წლის 10 სექტემბრის განჩინებით განსაზღვრული ხარვეზის შევსების ვადა განჩინების ჩაბარებიდან 7 დღით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შპს "მ-ის" სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 სექტემბრის განჩინებით აპელანტს განესაზღვრა ვადა ხარვეზის შესავსებად. 2009 წლის 18 ნოემბრის განჩინებით შპს "მ-ს" გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა განჩინების ჩაბარებიდან 7 დღით და განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი. აღნიშნული განჩინება შპს "მ-ს" ჩაჰბარდა 2009 წლის 27 ნოემბერს, ხოლო აპელანტის მიერ ხარვეზი არ შევსებულა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს "მ-მა", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, შპს "მ-ის" სააპელაციო საჩივარი ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ შპს "მ-ის" საკუთრებაში არსებული 621.00 კვ.მ-ის მიწის ნაკვეთი სს "... ბანკის" სასარგებლოდ დატვირთული არ ყოფილა იპოთეკით, ხოლო არასაცხოვრებელი 327,7 კვ.მ-ის იპოთეკით დატვირთვა იყო კანონსაწინააღმდეგო. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში უძრავ ნივთზე უფლებრივი მდგომარეობა გარკვეულია, ხოლო დავა ეხება მხოლოდ იმას, რომ მესაკუთრის უფლება ხელყოფილია მისი თანხმობის გარეშე საკუთრების იპოთეკით დატვირთვის გამო, დავის საგნის ფასი განისაზღვრება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "კ" ქვეპუნქტით, რომელიც დავის საგნის ფასს საკუთრების ხელყოფისას ადგენს 4000 ლარის ოდენობით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "მ-ის" კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 დეკემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "კ" ქვეპუნქტი ადგენს დავის საგნის განსაზღვრის წესს ისეთი შემთხვევისთვის, როდესაც ხდება საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, სამეზობლო და მსგავს დავას და იმავდროულად დავის საგნის ფასის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული ნორმით გათვალისწინებულ რომელიმე დავა არ არსებობს, განსახილველ საქმეზე დავის საგანია შპს "მ-ის" საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების -621 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე აღმართული შენობა-ნაგებობების რეალიზაცია და იპოთეკის გაუქმება, ამ შემთხვევაში დავის საგნის ობიექტია გამოკვეთილი ქონება, რომელსაც საბაზრო ღირებულება გააჩნია და აპელანტის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენს სწორედ ამ ქონებაზე უფლებების დაცვა, რომლის ფასის განსაზღვრაც შესაძლებელია. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა მოცემულ შემთხვევაში გამოითვლება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, რომელიც სააპელაციო საჩივრისათვის სახელმწიფო ბაჟს ითვალისწინებს დავის საგნის ღირებულების 4%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგნის ფასის განსაზღვრა უნდა მომხდარიყო შპს "მ-ის" კუთვნილი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებიდან. კერძო საჩივრის ავტორი ვერ ადასტურებს, რომ აღნიშნული ქონების საბაზრო ღირებულება არ აღემატება 4000 ლარს, საიდანაც აპელანტმა იანგარიშა გადასახდელი ბაჟის ოდენობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

შპს "მ-ის" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 დეკემბრის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## დავის საგნის ღირებულება

### განჩინება

#ას-81-76-2010

22 მარტი, 2010 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 24 სექტემბერს მარნეულის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ლ. ო-ოვამ მოპასუხე ფ. გ-აევს მიმართ ალიმენტის დაკისრების მოთხოვნით.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ მხარეები 2005 წლიდან 2009 წლის ივლისამდე იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში. ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი. მოსარჩელე შვილებთან ერთად ცხოვრობდა მშობლებთან და მოპასუხე მონაწილეობას არ იღებდა შვილების აღზრდაში, რის გამოც მოსარჩელე ითხოვდა ფ. გ-აევსათვის მცირეწლოვანი შვილების სრულწლოვანებამდე 2009 წლის ივლისიდან 200-200 ლარის დაკისრებას.

წარმოდგენილ შესაგებელში მოპასუხე ფ. გ-აევმა სასარჩელო მოთხოვნა ცნო ნაწილობრივ, კერძოდ, აღნიშნა, რომ მას შეეძლო ამ ეტაპზე თვეში ორივე ბავშვზე გადაეხადა 60 ლარი, თითოეულზე -30-30 ლარი.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. ო-ოვას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ფ. გ-აევს დაეკისრა შვილების სარჩენად მათ სრულწლოვანებამდე 70-70 ლარის გადახდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მშობლები მოვალენი არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ფ. გ-აევმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისთვის მხოლოდ 30-30 ლარის ოდენობით ალიმენტის დაკისრება. აპელანტი მიუთითებდა, რომ იყო უმუშევარი და ვერ შეძლებდა დაკისრებული ალიმენტის სრულად გადახდას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 დეკემბრის განჩინებით ფ. გ-ავის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

საქმეზე დგინდებოდა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა აპელანტისათვის ალიმენტის დაკისრების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -ფ. გ-აევს დაეკისრა 70-70 ლარის ოდენობით ალიმენტის დაკისრება. ფ. გ-აევს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია ალიმენტის ოდენობის 30-30 ლარამდე შემცირების მოთხოვნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის დავის საგნის ღირებულება განისაზღვრებოდა აპელანტის მიერ ალიმენტის შემცირების მოთხოვნის ოდენობით, რისი გათვალისწინებითაც, მოცემულ შემთხვევაში დავის საგნის ფასი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის "გ" პუნქტის თანახმად, არ აღემატებოდა 1000 ლარს, რაც ამავე კოდექსის 365-ე მუხლის მიხედვით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების პროცესულურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ფ. გ-აევმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინების კანონსაწინააღმდეგობას ასაბუთებს ის გარემოება, რომ მისი სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენდა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება 70-70 ლარის დაკისრების ნაწილში, რაც შეადგენს 1680 ლარს და შესაბამისად, აღემატება 1000 ლარს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ფ. გ-აევის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 დეკემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მოპასუხე ფ. გ-აევი სასარჩელო მოთხოვნას ცნობდა თითოეულ ბავშვზე 30-30 ლარის ოდენობით ალიმენტის დაკისრების ნაწილში. მარნეულის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ფ. გ-აევს დაეკისრა 70-70 ლარის ოდენობით ალიმენტის გადახდა. დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ფ. გ-აევმა. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ალიმენტის ოდენობის შემცირება 30-30 ლარამდე.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოცემულ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება აპელანტის მიერ გასაჩივრებულია არა დაკისრებული ალიმენტის მთლიანი ოდენობის (70-70 ლარი), არამედ -30-30 ლარის სხვაობის ნაწილში, რაც შეადგენს 40-40 ლარს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება 1000 ლარს აღემატება. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტი ადგენს დავის საგნის ფასის განსაზღვრის წესს ალიმენტის გადახდევინების სარჩელის მიმართ, რომლის თანახმად, დავის საგნის ფასი ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელებზე განისაზღვრება ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობით. მოცემულ შემთხვევაში მართებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სააპელაციო საჩივრის დაუშვებლობის თაობაზე, რამდენადაც აპელანტის მოთხოვნა არ აკმაყოფილებს კანონის ზემოაღნიშნული ნორმით განსაზღვრულ დასაშვებობის პირობას, კერძოდ, დავის საგნის ღირებულება მოცემულ შემთხვევაში შეადგენს 960 ლარს (80X12), რაც არ აღემატება 1000 ლარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საპროცესო საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

ფ. გ-აევის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 დეკემბრის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



## დავის საგნის ფასის განსაზღვრა

### განჩინება

#ას-134-128-2010

22 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება, ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა, ნივთების დაბრუნება

#### აღწერილობითი ნაწილი:

მ. ს-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ბ-იას მიმართ არასრულწლოვანი მ. ბ-იას რჩენი-სათვის ალიმენტის -თვეში 200 ლარის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: არარეგის-ტრირებულ ქორწინებაში ყოფნისას მხარეებს შეეძინათ შვილი -მ. ბ-ია. იგი პირველი ჯგუფის ინვალიდია და საჭიროებს ძვირადღირებულ მკურნალობასა და მოვლას. მოპასუხე კი თავს არი-დებს შვილის რჩენას.

ა. ბ-იამ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს მ. ს-იას მიმართ შვილის -მ. ბ-იას აღსაზრდელად გადაცემისა და ა.ბ-იას კუთვნილი 4050 ლარის ღირებულების ნივთების დაბრუნების თაობაზე იმ მოტივით, რომ მ.ს-იას მიერ მოთხოვნილი ალიმენტის ოდე-ნობის გადახდა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს ა.ბ-იას ოჯახს. მან კუთვნილი ბინა აჩუქა მ. ბ-იას, საიდანაც მოსარჩელემ მისი ნებართვის გარეშე გაიტანა და მიითვისა ა.ბ-იას კუთვნილი მოძ-რავი ნივთები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 დეკემბრის გა-დაწყვეტილებით მ. ს-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -მოპასუხე ა. ბ-იას დაეკისრა არასრულწლოვანი შვილის -მ. ბ-იას სასარგებლოდ 2009 წლის 3 აგვისტოდან მის სრულწლოვა-ნებამდე ალიმენტის -თვეში 100 ლარის გადახდა, ხოლო შეგებებულ სარჩელს უარი ეთქვა დაკმა-ყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში ა. ბ-იამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინებით აპელანტს დაევალა სააპელაციო საჩივრის მოთხო-ვის დაზუსტება, უკვე გადახდილი 150 ლარის ოდენობის სახელმწიფო ბაჟის ქვითრის დედნის ან ამავე თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. 2010 წლის 18 იანვრის განცხა-დებით ა.ბ-იამ დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა მისთვის დაკისრებული ალიმენტის -100 ლა-რის ნაცვლად ყოველთვიურად შვილის სარჩენად 50 ლარის დაკისრება. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიიჩნია, რომ აპელანტი სადავოდ ხდის რა ყოველთვიურად 50 ლარის გადახდევინებას, მისი სააპელაციო საჩივრის ღირებულებაა 600 ლარი. ამავე კოდექსის 365-ე მუხლის საფუძველზე სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემული სააპელაციო საჩივრის ღირებულება კანონით დადგენილ 1000 ლარზე ნაკლებია, რის გამო იგი უნდა დარჩეს განუხილველად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მხარეს დაუბრუნა მის მიერ გადახდი-ლი სახელმწიფო ბაჟი 150 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ა. ბ-იამ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გა-უქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამარ-თლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლი, როდესაც მიიჩნია, რომ ა.ბ-იას სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება 600 ლარს შეადგენდა. თბილისის საქალა-ქო სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა.ბ-იას დაეკისრა ალიმენტის -100 ლარის გადახდა, რაც ერთ წელზე გაანგარიშებით 1200 ლარია. სწორედ აღნიშნული თანხა წარ-მოადგენს სადავო სააპელაციო საჩივრის ღირებულებას და აპელანტი აღნიშნული ოდენობით ით-ხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის შემცირებას.

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 დეკემბრის გა-დაწყვეტილებით მ. ს-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ა. ბ-იას დაეკისრა არასრულ-

წლოვანი შვილის ალიმენტის –თვეში 100 ლარის გადახდა, ხოლო შეგებულ სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება ალიმენტის სახით 50 ლარის დაკისრების ნაწილში ა. ბ-იამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით და მოითხოვა ყოველთვიურად შვილის სარჩენად 100 ლარის ნაცვლად მისთვის 50 ლარის დაკისრება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ბ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, კანონი ქონებრივი დავის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის გარკვეულ შეზღუდვას აწესებს, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის მოსაზრება, რომ ა. ბ-იას სააპელაციო საჩივრის ღირებულება 1200 ლარს შეადგენს, ვინაიდან მოცემული დავა ეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ალიმენტის გადახდევინებას და მისი ღირებულება განისაზღვრება ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხის ერთობლიობით. ამავე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის მიხედვით კი, გასაცემის ან გადასახდელის შემცირების ანდა გადიდების შესახებ სარჩელის დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმ თანხით, რომლითაც მცირდება ანდა დიდდება გასაცემი ან გადასახდელი, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლის განმავლობაში.

მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ბ-იას დაეკისრა რა არასრულწლოვანი შვილის –მ. ბ-იას სარჩენად ალიმენტის –ყოველთვიურად 100 ლარის გადახდა, სააპელაციო საჩივრით მხარე არ დაეთანხა აღნიშნულ ოდენობას მხოლოდ 50 ლარის ნაწილში და 2010 წლის 18 იანვრის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის დაზუსტებისას მოითხოვა მისთვის ალიმენტის სახით ყოველთვიურად არა 100, არამედ 50 ლარის დაკისრება, შესაბამისად, აპელანტმა სადავოდ გახადა მისთვის 50 ლარის გადახდევინების ფაქტი და სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა გამოანგარიშდეს 50 ლარის ერთ წელზე (12 თვეზე) გაანგარიშებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ა. ბ-იას სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება 600 ლარით სწორად განსაზღვრა და მიიჩნია, რომ იგი კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობას –1000 ლარს არ აღემატება, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

ა. ბ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## დავის საგნის ფასის განსაზღვრა

### განჩინება

ნას-200-190-10

30 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 17 ნოემბერს მ. ს-მემ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე მ. ს-მის მიმართ და მოითხოვა არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ს-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - მ. ს-მეს დაეკისრა არასრულწლოვანი შვილის - ლ. ს-მის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით სარჩელის აღძვრის მომენტიდან - 2009 წლის 17 ნოემბრიდან მის სრულწლოვანებამდე;

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ს-მემ და მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და უარის თქმა ალიმენტის გაზრდაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განჩინებით მ. ს-მის სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ს-მეს არასრულწლოვანი შვილების - რ. და ლ. ს-ძეების სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი თითოეულზე 20 ლარი, სულ 40 ლარის ოდენობით. ასევე, დადგენილია, რომ 2009 წლის 17 ნოემბერს მ. ს-მემ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე მ. ს-მის მიმართ არასრულწლოვანი შვილების - ლ. და რ. ს-ძეების სასარგებლოდ თითოეულისათვის ალიმენტის 150 ლარის დაკისრების შესახებ.

საქმეში არსებული მასალებიდან, კერძოდ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 დეკემბრის სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ მოსარჩელემ ალიმენტი -150 ლარის დაკისრება მოითხოვა, მხოლოდ ლ. ს-მის სასარგებლოდ.

აღნიშნულიდან გამომდინარე გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა მ. ს-მის მიერ იმ მოთხოვნით, რომ უარი ეთქვას მოსარჩელეს ალიმენტის გაზრდაზე, ე.ი აპელანტის მიერ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია მასზე გაზრდილი ალიმენტის (100-20=80) დაკისრების ნაწილში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ს-მემ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული განჩინება არასწორი და უკანონოა, კერძოდ, 2010 წლის 4 თებერვლის განჩინების მე-2 გვერდის ბოლო აბზაცში მითითებულია, რომ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია ვინმე ა. ჯ-მის მიერ იმ მოთხოვნით, რომ უარი ეთქვას მოსარჩელეს სარჩელის გაზრდაზე. მისთვის უცნობია, ვინ არის ა. ჯ-მე და რა კავშირი აქვს მის მიერ შეტანილ სააპელაციო საჩივართან, ასევე, ის ითხოვდა გადაწყვეტილების გაუქმებას არა ალიმენტის გაზრდის, არამედ - ალიმენტის დაკისრების ნაწილში.

ასევე, კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, განჩინება მიღებულია ვინმე ა. ჯ-მის საქმის მასალების მიხედვით და ნათელია, რომ განჩინება უკანონოა თვით აღწერილობით, სამოტივაციო ნაწილის და ფაქტობრივი გარემოებების დადგენის თვალსაზრისით.

აღნიშნულიდან გამომდინარე კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა კერძო საჩივრის განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განჩინებით მ. ს-ძის სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

ასევე, დადგენილია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ს-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მ. ს-ძეს დაეკისრა არასრულწლოვანი შვილის -ლ. ს-ძის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით სარჩელის აღძვრის მომენტიდან -2009 წლის 17 ნოემბრიდან მის სრულწლოვანებამდე;

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დავის საგნის ფასი ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელზე განისაზღვრება ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხის ერთობლიობით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, დავის საგნის ფასი შეადგენს  $(80 \times 12 = 960)$  960 ლარს, აღნიშნული კი არ აღემატება სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულებას -1000 ლარს, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა სააპელაციო საჩივარი განუხილველად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების იურიდიული საფუძველი არ არსებობს, ხოლო მ. ს-ძის კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მ. ს-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად; განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **დავის საგნის ფასის განსაზღვრა**

##### **განჩინება**

#ას-492-461-2010 21 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ვ. როინიშვილი

**კერძო საჩივრის დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით სს „ა-ის“ სარჩელი ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს 2005 წლის 8 აგვისტოს ქონების გადაცემის ოქმიდან ქონების ამორიცხვისა და მისი სს „ა-სათვის“ დაბრუნების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს 2005 წლის 8 აგვისტოს ოქმიდან ამორიცხა სარჩელით გათვალისწინებული შემდეგი ქონება: ჯოჯგინა ამწე, ბეტონის ამრევი, მეტალის ფორმა რიგელის, რკინის კარადა, გვერდითი ქვა, მეტალის ფორმა გადახურვის ფილის, მეტალის ფორმა გვერდითი ქვის ერთმაგი, კოლონის 14მ, საკედლე ბლოკის, ფუნდამენტის ბლოკის, მეტალის შიფერის საჭრელი აგრეგატი, ჩარხი „ჩა-231“, ჩარხი „ფხმ-11“, სასწორი; ელექტროშემდუღებელი აპარატი, შპს „ლ. და კომპანიას“ უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა და სს „ა-ს“ გადაეცა: ჯოჯგინა ამწე, ბეტონის ამრევი, რკინის კარადა, სასწორი, ელექტროშემდუღებელი აპარატი; სს „ა-ის“ სარჩელზე მეტალის ფორმის 3 ცალი გვერდითი ქვის საკედლე პანელის, 3 ცალი მეტალის ფორმის საკედლე ქვის, 3 ცალი გადახურვის მეტალის ფორმის, ფუნდამენტის ბლოკის, მეტალის ფორმა რიგელის, მეტალის შიფერის დასამზადებელი აპარატისა და ორი ჩარხის გადაცემის მოთხოვნის ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "ლ. და კომპანია", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, აპელანტს - შპს "ლ. და კომპანია" დაევალა, განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში განესაზღვრა ქვემო ქართლის საადსრულებო ბიუროს 2005 წლის 8 აგვისტოს ოქმიდან ამორიცხული ნივთების საბაზრო ღირებულება, წარედგინა სადავო ნივთების საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი მტკიცებულება, გადაეხადა ამ ღირებულების 4%-ის ოდენობით სახელმწიფო ბაჟი (არანაკლებ 150 და არაუმეტეს 7 000 ლარი), აგრეთვე, გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი 160 ლარი უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ თითოეულ მოძრავ ნივთზე და ზემომითითებულ ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის დედანი წარედგინა სააპელაციო სასამართლოს.

ხარვეზის შესავსებად დადგენილ ვადაში, 2010 წლის 28 აპრილს, შპს "ლ. და კომპანია" სააპელაციო სასამართლოში წარადგინა განცხადება, რომელსაც თან დაურთო 160 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი.

ამასთან, განმცხადებელმა მიუთითა, რომ 2006 წელს სს "ა-ის" წარმომადგენელმა ვ. კ-მემ სასამართლოს წარუდგინა 2005 წლის 8 აგვისტოს აქტში ასახული სადავო ქონების ღირებულების დამადასტურებელი საბუთი, სადაც, ცხრილში, დაფიქსირებულია თითოეული მოძრავი ნივთის ღირებულება. ეს ღირებულება 2006 წლისათვის მთლიანობაში არ აღემატებოდა 2 000 ლარს. ამასთან დაკავშირებით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნ. თ-შვილმა მიიღო განჩინება, რომლითაც მხარეს დაუდგინა ხარვეზი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "კ" ქვეპუნქტიდან გამომდინარე, სადავო ქონების ღირებულება განსაზღვრა 4 000 ლარით. შესაბამისად, გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობამ სარჩელზე შეადგინა სადავო ქონების ღირებულების 3% -120 ლარი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტი).

განმცხადებელმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ექსპლოატაციაში მიღებულ მოძრავ ქონებას 1990 წლიდან ერიცხება ცვეთა, ამიტომ, პრაქტიკულად, 2005 წლისათვის მათი ღირებულება განულებული იყო, რომ არაფერი ვთქვათ 2010 წელზე.

სადავო ქონების ღირებულების დამადასტურებელი საბუთის წარდგენის მოთხოვნასთან დაკავშირებით განმცხადებელმა აღნიშნა, რომ შპს "ლ. და კომპანია" სასამართლოს უკვე წარუდგინა 2005 წლის 8 აგვისტოს აქტში ასახული სადავო ქონების ღირებულების ცხრილი, რომელიც თან ერთვის მის სააპელაციო საჩივარს.

განმცხადებლის მოსაზრებით, რამდენადაც დავის საგნის ღირებულების განსაზღვრა შეუძლებელია. უფრო მეტიც, ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი მოპარულია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "კ" ქვეპუნქტის საფუძველზე სადავო ქონების ღირებულება განისაზღვრება 4 000 ლარით. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "კ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის სახით გადასახდელი თანხა შეადგენს 160 ლარს (4 000 ლარის 4%), რაც გადახდილია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის განჩინებით შპს "ლ. და კომპანიის" სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ აპელანტმა არ გამოასწორა სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი, რაც იმაში გამოიხატა, რომ მან არ განსაზღვრა ქვემო ქართლის საადსრულებო ბიუროს 2005 წლის 8 აგვისტოს ოქმიდან ამორიცხული ნივთების საბაზრო ღირებულება, არ წარადგინა სადავო ნივთების საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი მტკიცებულება და არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი ამ ღირებულების 4%. გარდა ამისა, აპელანტმა არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ თითოეულ მოძრავ ნივთზე -160 ლარი. ამ უკანასკნელმა წარადგინა მხოლოდ 160 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს "ლ. და კომპანია", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, შემდეგი საფუძვლებით:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით მხარეებს განემარტათ, რომ ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის, რომლითაც დადგინდა შპს "ლ. და კომპანიას" უკანონო მფლობელობიდან რიგი ნივთების გამოთხოვა და სს "ა-სათვის" გადაცემა, გასაჩივრება შესაძლებელი იყო კერძო საჩივრის მეშვეობით. აქედან გამომდინარე, შპს "ლ. და კომპანიას" გადაწყვეტილების აღნიშნული ნაწილი სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია.

მხარემ სააპელაციო საჩივარი შეიტანა რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს 2005 წლის 8 აგვისტოს ოქმიდან ამოირიცხა სარჩელით გათვალისწინებული ქონება. შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობის უნდა განსაზღვრულიყო მხოლოდ გასაჩივრებული ნაწილით გათვალისწინებული დავის საგნის ღირებულებიდან, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

კერძო საჩივრის ავტორი არასწორად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ თითქოს შპს "ლ. და კომპანია" სასამართლოში არ წარადგინა სააღსრულებო ბიუროს ოქმიდან ამოსარიცხი ქონების საბაზრო ღირებულება. სინამდვილეში, ხარვეზის შევსების შესახებ შპს "ლ. და კომპანიის" განცხადებას თან ერთვის ამ ქონების საბაზრო ღირებულების ცხრილი. გარდა ამისა, 2006 წელს მოწინააღმდეგე მხარემ -სს "ა-მ" რუსთავის საქალაქო სასამართლოში ასევე წარადგინა დასახელებული ცხრილი, რომლის მიხედვით, სადავო ქონების ღირებულება მთლიანობაში არ აღემატება 2 000 ლარს. აღნიშნულის გამო, მოსამართლემ მიიღო განჩინება, რომლითაც მხარეს დაუდგინა ხარვეზი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "კ" ქვეპუნქტიდან გამომდინარე სადავო ქონების ღირებულება განსაზღვრა 4 000 ლარით. შესაბამისად, გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობამ სარჩელზე შეადგინა სადავო ქონების ღირებულების 3% -120 ლარი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტი).

ამდენად, კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება არამართლზომიერია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის განჩინება, შპს "ლ. და კომპანიის" სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას იმის შესახებ, რომ მას სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი, რომლითაც დადგინდა შპს "ლ. და კომპანიის" უკანონო მფლობელობიდან რიგი ნივთების გამოთხოვა და სს "ა-სათვის" გადაცემა. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში განთავსებულ, შპს "ლ. და კომპანიის" სააპელაციო საჩივარზე, სადაც აპელანტი აღნიშნავს, რომ 2009 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით საჩივრდება მთლიანად. აღნიშნულ მსჯელობას ვერ შევცვლის გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტში არსებული მითითება გადაწყვეტილების ზემოთ დასახელებული ნაწილის კერძო საჩივრით გასაჩივრების საპროცესო შესაძლებლობაზე. აღნიშნული ცდომილების მიუხედავად, სააპელაციო საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე, სრულიად ცხადია, რომ აპელანტი სადავოდ ხდის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას მთლიანად და არა მის რომელიმე კონკრეტულ ნაწილს. ამასთან, სააპელაციო წესით გასაჩივრების შემდგომ აპელანტს სააპელაციო საჩივრის რომელიმე მოთხოვნაზე უარი არ განუცხადებია. შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტი, რომ მას სახელმწიფო ბაჟის გადახდა დაევალა იმ მოთხოვნის ნაწილში, რომელიც არ გაუსაჩივრებია, საფუძველს მოკლებულია.

მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში შპს "ლ. და კომპანიის" სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი საჭიროებს ხელახალ შემოწმებას.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 19 მარტის განჩინებით დადგენილი ხარვეზის აპელანტის მიერ შეუვსებლობა.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 მარტის განჩინებით დადგენილი ხარვეზის შესავსებად აპელანტმა სააპელაციო სასამართლოში წარადგინა განცხადება, რომელსაც თან დაურთო 160 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი. ამასთან, აპელანტმა მიუთითა, რომ სასამართლოს უკვე წარუდგინა 2005 წლის 8 აგვისტოს აქტში ასახული სადავო ქონების ღირებულების ცხრილი, რომელიც თან ერთვოდა სააპელაციო საჩივარს, ცხრილში დაფიქსირებული იყო თითოეული მოძრავი ქონების ღირებულება, რომელიც 2006 წლისათვის მთლიანობაში არ აღემატებოდა 2 000 ლარს. განმცხადებლის მოსაზრებით, ამ დროისათვის დავის საგნის ღირებულების განსაზღვრა შეუძლებელია. შესაბამისად, ეს ღირებულება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "კ" ქვეპუნქტის საფუძველზე უნდა განისაზღვროს 4 000 ლარით, რომლის 4% შეადგენს 160 ლარს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლიდან გამომდინარე, საქმეზე დავის საგნის ფასის მითითების ვალდებულება უწინარესად მოსარჩელეს (აპელანტს) აკისრია. თუკი მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება სადავო ქონების რეალურ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე სადავო ქონების საბაზრო ღირებულების მიხედვით. აღნიშნული ნორმა ადგენს წესს, რომლის მიხედვით, დავის საგნის (სარჩელის საგნის) ღირებულების განსაზღვრის მოვალეობა ეკისრება მოსარჩელეს, ხოლო აღნიშნული ფასის სადავო ქონების რეალურ ღირებულებასთან შეუსაბამობის შემთხვევაში შემდგომ საპროცესო მოქმედებად გათვალისწინებულია თავად სასამართლოს მიერ დავის საგნის ფასის განსაზღვრა და არა სარჩელის (სააპელაციო საჩივრის) განუხილველად დატოვება. ამგვარი რამ არ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან. მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა ხარვეზის შეცვლის შესახებ განცხადებაში მიუთითა მის მიერ განსაზღვრული დავის საგნის ფასზე და გადაიხადა შესაბამისი სახელმწიფო ბაჟი -160 ლარი. თუკი სააპელაციო სასამართლო არ ეთანხმებოდა აპელანტის მიერ განსაზღვრული დავის საგნის ფასს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად თავად იყო ვალდებული, განესაზღვრა დავის საგნის ფასი და შესაბამისად დასაკისრებელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა. ამიტომ ასეთ შემთხვევაში არსებობდა აპელანტისათვის ხარვეზის ვადის გაგრძელების და არა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა შპს "ლ. და კომპანიისათვის" სახელმწიფო ბაჟის სახით გადასახდელი თანხა ვინდიკაციური სარჩელის მოთხოვნისათვის (სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი). ასეთი სარჩელის მოთხოვნის ფასი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "კ" ქვეპუნქტის თანახმად, უნდა განსაზღვრულიყო 4 000 ლარით და არა უკანონო მფლობელობიდან გამოსათხოვი ცალკეული ნივთების ღირებულებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში არსებობდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის ვადის გაგრძელების და არა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **დავის საგნის ფასის განსაზღვრა**

#### **განჩინება**

#ას-896-844-2010

26 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

### აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 21 მაისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ქ. ჯ-იამ მოპასუხე გ. ლ-ძის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის არასრულწლოვანი შვილის -ა. ლ-ძის სასარგებლოდ ალიმენტის -400 ლარის დაკისრება მის სრულწლოვანებამდე.

სარჩელში აღნიშნულია, რომ ქ. ჯ-ია 2007 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა გ. ლ-ძესთან. თანაცხოვრების პერიოდში, 2008 წლის 23 ივნისს, მათ შეეძინათ შვილი ა. მოსარჩელე ცხოვრობს თავისი მშობლების სახლში, ბათუმში, ... ქ. #15-ში. გარდა ამისა, მას გააჩნია სამომავლო უფლება ბათუმში, ... უბანში, ბებიის -ვ. ჯ-ძის საცხოვრებელ სახლში. შესაბამისად, ქ. ჯ-იას აქვს ყველა პირობა შვილის აღზრდისათვის. რაც შეეხება მოპასუხის შესაძლებლობას, მას აქვს საშუალება, შეასრულოს შვილის მიმართ საალიმენტო მოვალეობა. გ. ლ-ძესა და მის ოჯახს ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ... აქვთ ციტრუსების ბაღი, საიდანაც ყოველწლიურად კრეფენ და რეალიზაციას უკეთებენ 8-10 ტონა ციტრუსს. ამასთან, ოჯახს ჰყავს მსხვილფეხა საქონელი, რომლის პროდუქციასაც უკეთებენ რეალიზაციას. თავად გ. ლ-ძე მუშაობს შპს "ვ-ში" ოპერატორად და მისი თვიური ანაზღაურება შეადგენს 400-500 ლარს. ამას ემატება მშობლების მიერ ოჯახში მათი საქმიანობიდან ყოველთვიური შემოსავალი 500-600 ლარის ოდენობით.

სამართლებრივად მოსარჩელის მოთხოვნა დაეფუძნა სამოქალაქო კოდექსის 1212-ე, 1214-ე მუხლებს, რომელთა თანახმად, მშობლები მოვალენი არიან, არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები; თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე. შვილების ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე -შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას.

საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ სარჩელის მოთხოვნა შეამცირა, კერძოდ, მოპასუხისათვის დასაკისრებელი ალიმენტის ოდენობა მან განსაზღვრა 150 ლარით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით ქ. ჯ-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -გ. ლ-ძეს არასრულწლოვანი შვილის -ა. ლ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა თვეში 75 ლარის ოდენობით, სარჩელის აღძვრის მომენტიდან -2010 წლის 21 მაისიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე უდავოდ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ. ჯ-ია 2007 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა გ. ლ-ძესთან. 2010 წელს გ. ლ-ძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს ქ. ჯ-იას მიმართ ქორწინების შეწყვეტის თაობაზე; 2008 წლის 23 ივნისს მხარეებს შეეძინათ შვილი ა. ლ-ძე; არასრულწლოვანი ბავშვი ა. ლ-ძე ცხოვრობს ქ. ჯ-იასთან, რომელიც დამოუკიდებლად ზრდის მას;

მოპასუხე გ. ლ-ძე არ მუშაობს, აქვს სეზონური სამუშაო, საიდანაც სტაბილური შემოსავალი არ გააჩნია.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, ალიმენტის დაკისრებისას სასამართლო ითვალისწინებს მხარეთა მატერიალურ მდგომარეობას, შემოსავლებს, რომელსაც ალიმენტის გადამხდელი იღებს, ასევე ითვალისწინებს მის კმაყოფაზე მყოფ პირთა კანონიერ ინტერესს და განსაზღვრავს ალიმენტის ოდენობას გონივრული და სამართლიანი შეფასების საფუძველზე. შვილების რჩენა-აღზრდა მშობელთა უფლება-მოვალეობას წარმოადგენს. მშობლები თანაბარწილად არიან ვალდებულნი, არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები.

საქალაქო სასამართლომ მოპასუხის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით მიიჩნია, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ -გ. ლ-ძეს არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა ალიმენტი -თვეში 75 ლარი, მის სრულწლოვანებამდე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ჯ-იამ (წარმომადგენელი შ. ჯ-ძე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც გ. ლ-ძეს არასრულწლოვანი შვილის ა. ლ-ძის სასარგებლოდ დაეკისრებოდა ალიმენტის გადახდა თვეში 150 ლარის ოდენობით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 აგვისტოს განჩინებით ქ. ჯ-იას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებისა და ქ. ჯ-იას სააპელაციო საჩივრის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ აპელანტს სურდა მოპასუხეს დამატებით დაკისრებოდა ალიმენტის -თვეში 75 ლარის გადახდა, რის შედეგადაც გ. ლ-ძე მთლიანობაში გადაიხდიდა ალიმენტს თვეში 150 ლარის ოდენობით.



სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება აღემატება 1 000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი არ პასუხობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით გათვალისწინებულ პირობას, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება შეადგენდა 900 ლარს. აღნიშნული ღირებულება სასამართლომ შემდეგნაირად განსაზღვრა:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის მიხედვით, ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელის დავის საგნის ფასი განისაზღვრება ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობით, რაც კონკრეტულ შემთხვევაში შეადგენდა 900 ლარს ( $75 \times 12 = 900$ ).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, განუხილველად დატოვა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ქ. ჯ-იამ (წარმომადგენელი შ. ჯ-ძე) კერძო საჩივრით გასაჩივრა. კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლომ ალიმენტის ოდენობა არ განსაზღვრა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიერ დამკვიდრებული წესების შესაბამისად. ამასთან, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში ასახული მოტივით საქმის განუხილველად დატოვება პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მცირეწლოვანი ბავშვის ინტერესებს.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო საჩივრით მათ მოითხოვეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების არა ნაწილობრივ, არამედ მთლიანად გაუქმება და მოპასუხისათვის ალიმენტის -150 ლარის დაკისრება. შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის დავის საგნის ღირებულება შეადგენდა 1 800 ლარს.

კერძო საჩივრის ავტორმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ თავდაპირველად ქ. ჯ-იას სარჩელის მოთხოვნა იყო მოპასუხისათვის 400 ლარის ოდენობით ალიმენტის დაკისრება. მოგვიანებით, სასამართლო სხდომაზე შეთანხმებული თანხის დაკისრების მიზნით მოსარჩელე დაეთანხმა მოთხოვნის 150 ლარამდე შემცირებას, რასაც არ დაეთანხმა მოპასუხე. საბოლოოდ, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მოპასუხისათვის ალიმენტის -75 ლარის დაკისრების თაობაზე. ასეთ ვითარებაში სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის გაზრდად არ უნდა მიიჩნიოს ის, რომ ქ. ჯ-იას მოთხოვნას კვლავ წარმოადგენს გ. ლ-ძისათვის 400 ლარის ოდენობით ალიმენტის დაკისრება, არასრულწლოვანი შვილის ა. ლ-ძის სასარგებლოდ, მის სრულწლოვანებამდე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. ჯ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 აგვისტოს განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ მოსარჩელე ქ. ჯ-იას საბოლოო მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხისათვის არასრულწლოვანი შვილის, ა. ლ-ძის სასარგებლოდ ალიმენტის -150 ლარის დაკისრება, მის სრულწლოვანებამდე. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილის, ა. ლ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა თვეში ალიმენტის -75 ლარის გადახდა, სარჩელის აღმერის მომენტიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა ქ. ჯ-იამ. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის არასრულწლოვანი შვილის -ა. ლ-ძის სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრება 150 ლარის ოდენობით. აქედან გამომდინარე, სრულიად ნათელია, რომ აპელანტმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სადავოდ გახადა ალიმენტის -75 ლარის ოდენობით დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება 1 000 ლარს აღემატება. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. ამავე კოდექსის 41-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელის დავის საგნის ფასი განისაზღვრება ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობით.



თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 აგვისტოს განჩინებით ე. ნ-ინას 5 დღით გაუგრძელდა ხარვეზის გამოსწორების საპროცესო ვადა. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება ქონებრივ შედეგებს უკავშირდებოდა, ვინაიდან მითითებული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ე. ნ-ინას საარბიტრაჟო პრეტენზია და ა. მ-ძეს მის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის -66000 აშშ დოლარის, დარიცხული პროცენტი -1980 აშშ დოლარისა და 216 810 აშშ დოლარის -ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს გადახდა. შესაბამისად, როგორც ქონებრივი ხასიათის დავა, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მისი ოდენობა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, განსაზღვრებოდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის ოდენობით. ამასთან, აღნიშნული განჩინებითვე აპელანტს განემარტა ხარვეზის შეუსესებლობის სამართლებრივი შედეგები, თუმცა, მიუხედავად ამისა, აპელანტმა 2010 წლის 23 აგვისტოს კვლავ მიმართა სასამართლოს განცხადებით და განმეორებით აღნიშნა, რომ სახელმწიფო ბაჟის ოდენობა უნდა განსაზღვრულიყო 150 ლარით, ვინაიდან დავა არაქონებრივი ხასიათის იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 სექტემბრის განჩინებით ე. ნ-ინას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილ საპროცესო ვადაში, ხარვეზის შეუსესებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა ე. ნ-ინამ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება იმ საფუძველით, რომ მისთვის სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის -5000 ლარის დაკისრება სასამართლოს მხრიდან უკანონოა, ვინაიდან დავა ეხებოდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას, რაც თავისი ხასიათით არაქონებრივია და საპროცესო კანონმდებლობით, არაქონებრივ დავებთან დაკავშირებით სააპელაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სწორედ 150 ლარს შეადგენს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ნ-ინას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 სექტემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, დარჩება განუხილველად.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ივლისის განჩინებით, აპელანტ ე. ნ-ინას სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 5-დღიანი ვადა, 5000 ლარის ოდენობით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად. დადგენილია, რომ აპელანტმა 2010 წლის 3 აგვისტოს განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის გაგრძელება და სახელმწიფო ბაჟის -150 ლარის დაკისრება იმ საფუძველით, რომ დავა არაქონებრივი ხასიათის იყო, ვინაიდან ეხებოდა არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმებას.

ასევე დადგენილია, რომ ე. ნ-ინას განცხადებაში მითითებული გარემოება, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა და 2010 წლის 12 აგვისტოს განჩინებით აპელანტს 5 დღით გაუგრძელა ხარვეზის გამოსწორების საპროცესო ვადა და განუმარტა ხარვეზის შეუსესებლობის სამართლებრივი შედეგები, თუმცა, მიუხედავად ამისა, აპელანტმა ხარვეზი არ გამოასწორა და 2010 წლის 23 აგვისტოს განცხადებაში განმეორებით აღნიშნა, რომ სახელმწიფო ბაჟის ოდენობა უნდა განსაზღვრულიყო 150 ლარით, ვინაიდან დავა არაქონებრივი ხასიათის იყო. ამდენად, რადგან განცხადებით ირკვევოდა, რომ იგი სასამართლოს მიერ დადგენილ ხარვეზს არ ასწორებდა, ზემოთ დასახელებულ ნორმათა შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ე. ნ-ინას სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლოს მიერ მისთვის სააპელაციო საჩივარზე 5000 ლარის სახელმწიფო ბაჟის დაკისრება უკანონოა, ვინაიდან დავა ეხებოდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას, რაც თავისი ხასიათით არაქონებრივია და საპროცესო კანონმდებლობით, არაქონებრივ დავებთან დაკავში-

რებით სააპელაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სწორედ 150 ლარს შეადგენს, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ სააპელაციო საჩივრის საგანს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც ა. მ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებით გაუქმდა შპს "... " "საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის" მიერ 2009 წლის 15 სექტემბერს საქმეზე #41-08-09 მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ე. ნ-ინას საარბიტრაჟო პრეტენზიის გამო, ა. მ-ძის მიმართ. გასაჩივრებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით მოპასუხე ა. მ-ძეს ე. ნ-ინას სასარგებლოდ, გადასახდელად დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის -66000 აშშ დოლარის, დარიცხული პროცენტის -1980 აშშ დოლარისა და 216810 აშშ დოლარის -ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს გადახდა. ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებები ცხადყოფს, რომ ე. ნ-ინას ინტერესი ქონებრივი უფლებების აღდგენას უკავშირდება, ვინაიდან სააპელაციო საჩივრის განხილვის ინტერესი გასაჩივრებული გადაწყვეტილებით გაუქმებული არბიტრაჟის გადაწყვეტილების შედეგად აპელანტის მიერ მოპოვებული ქონებრივი უფლებების აღდგენას ისახავს მიზნად. აღნიშნული კი მიუთითებს, რომ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა ქონებრივ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს და, შესაბამისად, დავა ქონებრივ-სამართლებრივი ხასიათისაა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ე. ნ-ინას სააპელაციო საჩივრის დავის საგნის ღირებულება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სწორად განსაზღვრა, ვინაიდან სარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკისრებულ თანხათა ერთობლიობამ შეადგინა 284790 აშშ დოლარი (66000+1980+216 810). ამასთან, ვინაიდან სააპელაციო საჩივრის დავის საგნის ფასი განსაზღვრა 284790 აშშ დოლარით, რომლის 4% შეადგენს 11 392 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" და "ბ.ა" ქვეპუნქტების თანახმად, სააპელაციო სასამართლომ ასევე სწორად განსაზღვრა სახელმწიფო ბაჟის ოდენობა 5000 ლარით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შეასრულოს ის საპროცესო მოქმედებები, რაც მას სასამართლომ დაავალა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს ამ საპროცესო მოქმედებათა შესრულების უფლებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობის გამო, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ე. ნ-ინას სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად და, შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. ნ-ინას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 სექტემბრის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## დავის საგნის ფასის განსაზღვრა

### განჩინება

#ას-1134-1023-2010

20 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ვ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. მ-ძის მიმართ 1998 წლის 13 ივნისს დაბადებული ნ. მ-ძის სასარგებლოდ ალიმენტის -ყოველთვიურად 400 ლარის დაკისრების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნისას შეეძინათ შვილი -ნ. მ-ძე, 2010 წლიდან მხარეები გაშორდნენ, იგი ცხოვრობს შვილთან ერთად დედასთან, არ მუშაობს და ფინანსურად უჭირს. მეუღლის ხელფასი შეადგენს 1164 ლარს.

მ. მ-ძემ ნაწილობრივ ცნო სარჩელი შემდეგი საფუძვლებით: იგი მუშაობს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში და მისი თანამდებობრივი სარგოა 1164 ლარი, ხელზე იღებს 934 ლარს. მას გამოტანილი აქვს იპოთეკური სესხი სს "... ბანკიდან" და ყოველთვიურად 10 წლის მანძილზე გადასახდელი აქვს 317 აშშ დოლარი. ასევე, სოფელში ჰყავს ობოლი ძმისშვილი, უმუშევარი რძალი და პენსიონერი მშობლები. ეკონომიკური მდგომარეობის გამო არ შეუძლია გადაიხადოს 400 ლარი, თანახმაა 100 ლარის გადახდაზე.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ვ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -მოპასუხე მ. მ-ძეს 1998 წლის 13 ივნისს დაბადებული არასწრულწლოვანი შვილის -ნ. მ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის -150 ლარის გადახდა ყოველთვიურად სარჩელის აღძვრიდან -2010 წლის 2 ივნისიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში მ. მ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით, რომლის თანახმად, დავის საგნის ფასი, ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელისა, განისაზღვრება ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობით და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის ღირებულებაა 600 ლარი. ამავე კოდექსის 365-ე მუხლის საფუძველზე სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემული სააპელაციო საჩივრის ღირებულება კანონით დადგენილ 1000 ლარზე ნაკლებია, რის გამო იგი უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ. მ-ძემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მას (მ. მ-ძეს) გააჩნია საკრედიტო ვალდებულება სს "... ბანკთან" და ყოველთვიურად იხდის 318 აშშ დოლარს, ჰყავს პენსიონერი მშობლები, რომელთა მიმართაც სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლის საფუძველზე აკისრია ზრუნვის ვალდებულება.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, კანონი ქონებრივი დავის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის გარკვეულ შეზღუდვას აწესებს, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს.

მოცემული დავა ეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ალიმენტის გადახდევინებას და მისი ღირებულება განისაზღვრება ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხის ერთობლიობით. ამავე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის მიხედვით კი გასაცემის ან გადასახდელის შემცირების ანდა გადიდების შესახებ სარჩელის დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმ თანხით, რომლითაც მცირდება ანდა დიდდება გასაცემი ან გადასახდელი, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლის განმავლობაში.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ვ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – მოპასუხე მ. მ-მეს 1998 წლის 13 ივნისს დაბადებული არასრულწლოვანი შვილის – ნ. მ-მის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის – 150 ლარის გადახდა ყოველთვიურად სარჩელის აღძვრიდან – 2010 წლის 2 ივნისიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე, რაც მ. მ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სააპელაციო საჩივრით მხარე არ დაეთანხმა აღნიშნულ ოდენობას 50 ლარის ნაწილში და მოითხოვა მისთვის ალიმენტის სახით ყოველთვიურად არა 150, არამედ 100 ლარის დაკისრება, შესაბამისად, აპელანტმა სადავოდ გახადა მისთვის 50 ლარის გადახდევინების ფაქტი. მისი მოსაზრებით სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა გამოანგარიშდეს 50 ლარის ერთ წელზე (12 თვეზე) გაანგარიშებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მ. მ-მის სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება სწორად განსაზღვრა 600 ლარით და მიიჩნია, რომ იგი კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობას – 1000 ლარს არ აღემატება, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

მ. მ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება**

#### **განჩინება**

#ას-309-291-10

10 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა შპს "გ-მ" მოპასუხე სს "შ-ს" მიმართ და მოითხოვა, რომ შპს "შ-ს" მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელად დაკისრებოდა გადაცემულ მიწის ნაკვეთზე აშენებული და სს "შ-ს" დანგრეული ლიონის ჯიხურის ღირებულება – 7325 ლარი, ასევე, მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელად იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე აშენებული და სს "შ-ს" მიერ დანგრეული კაპიტალური შენობის ღირებულება 12 675 ლარის დაკისრება, მოსარჩელის საქმიანობის შეწყვეტით მიყენებული ზიანის – 101 190 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს "გ-ს" სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "გ-მ" და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 მარტის განჩინებით შპს "გ-ს" სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 თებერვლის განჩინებით შპს "გ-ს" სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და აპელანტს დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შპს "გ-ე" თავისუფლდებოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე და 2010 წლის 26 თებერვლის განჩინებაში ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ განუმარტა, რომ აპელანტს საქმეში წარმოდგენილი -2008 წლის 15 დეკემბრის სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული დადგენილებით დასტურდებოდა, რომ სისხლის სამართლის საქმე, რომელიც აღიძრა შპს "გ-ს" ქონების განადგურების თაობაზე, შეწყდა და გაუქმდა დადგენილება ა. გ-იას დაზარალებულად ცნობის თაობაზე, შესაბამისად, აპელანტი არ შეიძლება მიჩნეულიყო პირად, რომელსაც დანაშაულით მიადგა მატერიალური ზიანი.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივრი შეიტანა შპს "გ-მ". მან განმარტა, რომ შპს "გ-ეს" წარმომადგენელმა ა. გ-იამ მოითხოვა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გათავისუფლებულიყო შპს "გ-ე" სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. მითითებულ მუხლზე დაყრდნობით სასამართლომ შეეძლო ემსჯელა და გაეთავისუფლებინა შპს "გ-ე" ბაჟის გადახდისაგან, რაც სასამართლომ არ გააკეთა. გარდა ამისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებული იყო, გაეთავისუფლებინა შპს "გ-ე" სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ვინაიდან მიუხედავად იმისა, შეწყდება თუ არა სისხლის სამართლის საქმე, მხარეს უფლება აქვს, სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძველზე მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დატოვა მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ შპს "გ-ს" კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელები დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხარეთა გათავისუფლების სხვა შემთხვევებიც.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 თებერვლის განჩინებით შპს "გ-ს" სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და აპელანტს დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდა. შპს "გ-ს" წარმომადგენელმა ა. გ-იამ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 26 თებერვლის განჩინებით აპელანტს ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაუგრძელდა 5 დღით. შპს "გ-ს" წარმომადგენელმა კვლავ მიმართა განცხადებით სასამართლოს და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 11 მარტის განჩინებით შპს "გ-ს" სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

ასევე დადგენილია, რომ სისხლის სამართლის საქმე, რომელიც აღიძრა შპს "გ-ს" ქონების განადგურების თაობაზე, შეწყდა და გაუქმდა დადგენილება ა. გ-იას დაზარალებულად ცნობის თაობაზე.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აპელანტი შპს "გ-ე" არ შეიძლება ჩაითვალოს დაზარალებულად, რომელსაც დანაშაულით მიადგა მატერიალური ზარალი, შესაბამისად, მის მიმართ ვერ იქნება გამოყენებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტი. რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასამართლოს შეეძლო ასევე გამოეყენებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის მე-2 ნაწილი, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან მან ვერ დაადასტურა სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საპატიო საფუძველი, რაც სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას გაეთავისუფლებინა შპს "გ-ე" სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, შესაბამისად, არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 მარტის განჩინება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

შპს "გ-ს" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 11 მარტის განჩინება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება სასამართლოს მიერ  
განჩინება**

#ას-1012-1284-09 21 იანვარი, 2010 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
თ. თოდრია (მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი

**დავის საგანი:** სამუშაოზე აღდგენა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ბ-მემ 2007 წლის 19 ივნისს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების -ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის 2007 წლის 13 აპრილის #კ-1\27 ბრძანების ბათილად ცნობა, მოპასუხისათვის სახელფასო დავალიანების -5720 ლარის, სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდისათვის ხელფასის -12400 ლარისა და უკანონო განთავისუფლებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრება, დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ სადავო ბრძანება უკანონო იყო, რადგან გამოცემული იყო საქართველოს შრომის კოდექსის ნორმების საფუძველზე, მაშინ, როცა იგი წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს და უნდა გაეთავისუფლებინათ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ამასთან, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსი არ იყო უფლებამოსილი, გაეთავისუფლებინა ნ. ბ-მე არარსებული დაწესებულებიდან, სსიპ საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი კომისიიდან. 2006 წლის 1 ივნისიდან 13 ოქტომბრამდე (სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სსიპ საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელ კომისიად რეორგანიზაციამდე) სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის უფროსის სიტყვიერი მითითებით აგრძელებდა მისთვის დაკისრებული სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებას, რაც, საქართველოს შრომის კოდექსის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, შრომის ხელშეკრულების დადებას წარმოადგენს, რადგან იგი დაშვებული იყო სამუშაოდ იმ თანამდებობის პირის მიერ, ვისაც ამ სამუშაოზე მიღებისა და განთავისუფლების უფლება ჰქონდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით ნ. ბ-მის სარჩელიდან მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მიმართ სამსახურიდან განთავისუფლების ბრძანების არაკანონიერად აღიარებისა და სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ ცალკე წარმოებად გამოიყო. სასარჩელო მოთხოვნა სამსახურში აღდგენის თაობაზე და სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების



სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მიმართ სამსახურიდან განთავისუფლების ბრძანების არაკანონიერად აღიარებისა და სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას; შეჩერდა ადმინისტრაციული საქმის #3|1714 წარმოება, მოსარჩელე ნ. ბ-ძის სარჩელის გამო, მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მიმართ სამსახურში აღდგენის თაობაზე სამსახურიდან განთავისუფლების ბრძანების არაკანონიერად აღიარებისა და სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში საქმის განხილვა-გადაწყვეტასა და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 მაისის განჩინებით ნ. ბ-ძის სარჩელი მოპასუხე სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების –საქართველოს ტრანსპორტის ერთიანი ადმინისტრაციის მიმართ, სამსახურიდან განთავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობისა და სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე, სარჩელის განმზილველი უფლებამოსილი სასამართლოს განსაზღვრისა და განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად, გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

საქმე არაერთხელ იქნა განხილული სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს მიერ და ბოლოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 ივნისის განჩინებით ნ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ნ. ბ-ძემ. მან მიუთითა, რომ ნ. ბ-ძე იმყოფება მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში, მას არ შეუძლია გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი. სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო, იგი გაეთავისუფლებინა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად, თუმცა სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი და სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად. კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოებაში მიღება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ნ. ბ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

დადგენილია, რომ ნ. ბ-ძეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 4 მარტის განჩინებით მიეცა ვადა ხარვეზის შესავსებად, კერძოდ, მას სააპელაციო საჩივარზე არ ჰქონდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. ამავე სასამართლოს 2009 წლის 17 მარტის განჩინებით ნ. ბ-ძეს გაუგრძელდა ვადა ხარვეზის შესავსებად. ნ. ბ-ძემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება 1 თვით ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის შემდეგ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილის განჩინებით ნ. ბ-ძის შუამდგომლობა სააპელაციო საჩივარში ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა –მას განესაზღვრა დამატებით 14 დღის ვადა ხარვეზის შესავსებად. ნ. ბ-ძეს აღნიშნული განჩინება ჩაჰბარდა 2009 წლის 14 აპრილს. მას სახელმწიფო ბაჟი უნდა გადაეხადა 2009 წლის 28 აპრილის ჩათვლით, თუმცა მას სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ შეუვსია, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29 ივნისის განჩინებით ნ. ბ-ძის სააპელაციო დარჩა განუხილველად.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასამართლო ვალდებული იყო, ნ. ბ-ძე ქონებრივი მდგომარეობის გამო გაეთავისუფლებინა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზეც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

მოცემულ შემთხვევაში ნ. ბ-ძეს სასამართლოში არ წარმოუდგენია უტყუარი მტკიცებულება მისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. სასამართლო თავისი შეხედულებით, მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებისა და დასაბუთების შედეგად განსაზღვრავს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების საკითხს. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არ ჩათვალა მიზან-

შეწონილად ნ. ბ-ძის სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან განთავისუფლება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა არ შეავსო ხარვეზი განჩინებით განსაზღვრულ ვადაში და ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლი და განუხილველად დატოვა სააპელაციო საჩივარი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

ნ. ბ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 ივნისის განჩინება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სასამართლო ხარჯების გადახდისაგან განთავისუფლება სასამართლოს მიერ  
განჩინება**

#ას-511-480-2010 5 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ქონების თანამესაკუთრედ ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ე. ო-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ბ-კოს მიმართ და მოითხოვა მხარეთა თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი, გ. ბ-კოს სახელზე რეგისტრირებული, ქ. გორში, ... ქ#20-ში მდებარე #3 ბინის 1/2-ის მესაკუთრედ ცნობის შესახებ იმ საფუძველით, რომ მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში მათ შეიძინეს სადავო ქონება, რომელიც, მართალია, აღირიცხა მხოლოდ გ. ბ-კოს სახელზე, მაგრამ, სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის შესაბამისად, მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სადავო ბინა შეიძინა თავისი დედის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის გაცვლის შედეგად.

გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილებით ე. ო-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა -ე. ო-ძე ცნობილ იქნა გ. ბ-კოს სახელზე რეგისტრირებული სადავო უძრავი ქონების 1/2-ის მესაკუთრედ.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გ. ბ-კომ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის განჩინებით გ. ბ-კოს სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2010 წლის 16 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, აპელანტს განესაზღვრა საპროცესო ვადა -5 დღე და დაევალა ინვალიდობის დამადასტურებელი კანონით გათვალისწინებული დოკუმენტის წარდგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სახელმწიფო ბაჟის გადახდა იმ უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულების 4%-ის ოდენობით, რომელზე თანამესაკუთრედ ცნობასაც იგი ითხოვდა.

პალატის მითითებით, საქმეში წარმოდგენილი გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათის მიხედვით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის

16 აპრილის განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ 2010 წლის 21 აპრილს ჩაბარდა აპელანტის წარმომადგენელ ვ. თ-ძეს. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე, 74-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი ვადის ათვლა აღნიშნული დროიდან უნდა აითვალოს. პალატამ აღნიშნული ვადა ამოწურულად მიიჩნია 2010 წლის 26 აპრილს. აპელანტმა ხარვეზის შესახებ განცხადებით სასამართლოს მიმართა მითითებული ვადის გასვლის შემდგომ - 2010 წლის 27 აპრილს, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე და 63-ე მუხლების მიხედვით, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე გ. ბ-კოს წარმომადგენელმა ვ. თ-ძემ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ ვ. თ-ძეს სასამართლო გზავნილი 2010 წლის 21 აპრილს ჩაჰბარდა და ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა მითითებული თარიღიდან აითვალა, ვინაიდან რეალურად სადავო განჩინების ასლი ვ. თ-ძეს ჩაჰბარდა 2010 წლის 22 აპრილს მეზობლების - ნ. ბ-ძისა და შ. ძი-შვილისაგან, რომელთაც სასამართლო გზავნილი ადრესატის სახლის წინ იპოვნეს. ხაშურის საკუთრივო სამსახურმა კი სასამართლოს გზავნილის ჩაბარების დროის თაობაზე არასწორი ინფორმაცია მიაწოდა. აღნიშნული გარემოებები დასტურდება ნ. ბ-ძისა და შ. ძი-შვილის წერილობითი ახსნა-განმარტებებით, რომელიც დამოწმებულია სანოტარო წესით და ერთვის კერძო საჩივარს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ბ-კოს წარმომადგენელ ვ. თ-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამავე მუხლის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. ხარვეზის დადგენის საფუძველს წარმოადგენს როგორც ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული გარემოებები, ისე მხარის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა.

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობა განსაზღვრავს გარკვეულ პირთა წრეს, რომლებიც სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან, კერძოდ, "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის "მ" ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ინვალიდები ყველა სარჩელზე. ამდენად, პირებს, რომლებიც კანონის მოთხოვნათა დაცვით ინვალიდებად არიან ცნობილი, სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება არ ეკისრებათ.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებში წარმოდგენილია შპს "ე-ის" 2010 წლის 26 იანვრის #77 ცნობა, რომელიც ადასტურებს, რომ გ. ბ-კო 10 წელია, რაც პირველი ჯგუფის ინვალიდია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. ბ-კოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შემოწმებისას სააპელაციო პალატამ უნდა შეაფასოს ზემოხსენებული მტკიცებულება და მისი გათვალისწინებით უნდა იმსჯელოს, კანონით ევალება თუ არა აპელანტს სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

გ. ბ-კოს წარმომადგენელ ვ. თ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება სასამართლოს მიერ

### განჩინება

#ას-744-697-2010 1 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. სულხანიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის პროკურორმა გ. ლ-ძემ 2009 წლის 18 სექტემბერს მარნეულის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა. მოსარჩელემ მოითხოვა ქ. მარნეულში, ... ქ. #5-ში მდებარე მ. ქ-ძის საცხოვრებელ სახლში არსებული 34 დასახელების მოძრავი ნივთის, რომელთა საერთო ღირებულება 6310 ლარს შეადგენდა, დაუსაბუთებლად ცნობა და სახელმწიფოსათვის გადაცემა, აგრეთვე, მოპასუხის მიერ ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ სახლსა და ეზოში ჩატარებული სარემონტო სამუშაოების ღირებულების შესაბამისი თანხის -73 350,40 ლარის სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდის დაკისრება.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის სარჩელი დაკმაყოფილდა -ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობი პირის -მ. ქ-ძის საცხოვრებელ სახლში არსებული, 34 დასახელების მოძრავი ნივთი, რომელთა საერთო ღირებულება 6310 ლარს შეადგენდა, დაუსაბუთებლად იქნა ცნობილი, ჩამოერთვა მას და სახელმწიფოს გადაეცა; აგრეთვე დაუსაბუთებლად იქნა ცნობილი მ. ქ-ძის საცხოვრებელი სახლის სარემონტო სამუშაოებზე დახარჯული თანხა -73 350, 40 ლარი და მოპასუხეს დაეკისრა აღნიშნულის შესაბამისი თანხის სახელმწიფოს სასარგებლოდ, ხოლო 2389,80 ლარის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მ. ქ-ძემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 22 იანვრის განჩინებით, მ. ქ-ძის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და აპელანტს სახელმწიფო ბაჟის -3186,40 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის 10 დღის ვადაში წარმოდგენა დაევა.

2010 წლის 22 თებერვალს მ. ქ-ძემ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა და ხარვეზის შესავსებად მიცემული ვადის ერთ თვემდე გაგრძელება, აგრეთვე, სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 მარტის განჩინებით მ. ქ-ძეს ხარვეზის შესავსებად მიცემული ვადა 14 დღით გაუგრძელდა.

იმავე სასამართლოს 2010 წლის 31 მაისის განჩინებით, ხარვეზის სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში გამოუსწორებლობის გამო, მ. ქ-ძის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა.

აღნიშნული განჩინება მ. ქ-ძემ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მხარის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ მისი ქონებრივი მდგომარეობა არ გაითვალისწინა, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან უკანონოდ არ გაათავისუფლა, რითაც უხეშად შეილახა მისი უფლებები. კერძო საჩივრის ავტორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, მისი სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება და სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლება მოითხოვა.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ქ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივარს არ დააკმაყოფილებს, თუ კანონის მითითებულ დარღვევა არ მომხდარა.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლომ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებაზე უარის თქმითა და სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებით მისი უფლებები დაარღვია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს კანონით დადგენილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

იმვე კოდექსის 47-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზეც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

ამგვარად, ზემოაღნიშნული ნორმის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ მხარემ დაასაბუთოს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობა და უტყუარი მტკიცებულებებით დაადასტუროს საკუთარი ქონებრივი მდგომარეობა.

განსახილველ შემთხვევაში მ. ქ-მემ სააპელაციო საჩივრის შეტანისას სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება იმ საფუძველით მოითხოვა, რომ ღრმად მოხუცი იყო და პატიმრობაში იმყოფებოდა. რაიმე მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ სასამართლო ხარჯების გადახდის ფინანსური საშუალება არ გააჩნდა, კერძო საჩივრის ავტორს სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული გარემოებები მართებულად არ ჩათვალა სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 იანვრის განჩინებით მ. ქ-მეს დაევალა სახელმწიფო ბაჟის -3186,40 ლარის გადახდა და ხარვეზის შესავსებად 10 დღის ვადა მიეცა. ამის შემდეგ, 2010 წლის 22 თებერვალს, მ. ქ-მემ სასამართლოს ხარვეზის შესავსებად მიცემული საპროცესო ვადის გაგრძელების თხოვნით მიმართა, ამასთან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირება მოითხოვა, თუმცა საკუთარი ფინანსური მდგომარეობის ამსახველი რაიმე მტკიცებულება არც ამ შემთხვევაში წარუდგენია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის საფუძველზე კი სასამართლო ხარჯების ოდენობის შესამცირებლად მხარის ქონებრივი მდგომარეობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებების წარდგენა ასევე სავალდებულოა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 მარტის განჩინებით მ. ქ-მეს ხარვეზის შესავსებად მიცემული ვადა 14 დღით გაუგრძელდა. აღნიშნული განჩინება მას 26 აპრილს ჩაბარდა, შესაბამისად, ხარვეზის შესავსებად მიცემული ვადა 10 მაისს ამოიწურა. კერძო საჩივრის ავტორს ამ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე განცხადებით მიუმართავს სასამართლოსათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მხარემ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოასწორა, სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი მ. ქ-მის სააპელაციო საჩივარი განსახილველად მიეღო.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებით მისი უფლებები შეილახა, რადგანაც საქმის ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხილვის შესაძლებლობა წაერთვა, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს. მართალია, მხარისათვის არასასურველი გადაწყვეტილების გასაჩივრება ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც როგორც საპროცესო კანონმდებლობით, ისე არაერთი საერთაშორისო აქტივითაა განმტკიცებული, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობს საჩივრის დასაშვებად ცნობისათვის გარკვეული მოთხოვნების (გასაჩივრების ვადის, სახელმწიფო ბაჟის გადახდის და ა.შ.) დაწესების დაუშვებლობას. მთავარია, ამგვარმა მოთხოვნებმა ხელოვნური ბარიერი არ შექმნას სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების (რომლის შემადგენელი ნაწილია გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება) რეალიზაციისას. სახელმწიფო ბაჟის ინსტიტუტი, როგორც ასეთი, არ ეწინააღმდეგება სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს ხელმისაწვდომობა იმ შემთხვევაში შეილახებოდა, თუ სასამართლო მხარეს დაუსაბუთებლად ეტყოდა უარს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებაზე, მ. ქ-მემ კი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების ან მისი ოდენობის შემცირებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები არ შეასრულა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებული, კანონიერია და მისი გაუქმების სამარტობრივი საფუძველი არ არსებობს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 386-ე, 63-ე, 47-ე, 48-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ქ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
  2. მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მაისის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სასამართლო ხარჯების გადახდის  
გადავადება და შემცირება**

**განჩინება**

#ას-437-751-09

6 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),**  
**ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),**  
**ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** ვალდებულების შესრულება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ო. ს-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. კ-ოვის მიმართ თანხის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოპასუხემ ზეპირი გარიგების საფუძველზე ო.ს-შვილისგან ისესხა 3000 აშშ დოლარი 2007 წლის 30 სექტემბრამდე, რაც ხელწერილით აღიარა. მოგვიანებით ა.კ-ოვმა მოსარჩელისაგან ისესხა დამატებით 550 ლარი, თუმცა მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადაში მას თანხა არ დაუბრუნებია. ამდენად, მოპასუხეს უნდა დაეკისროს ნასესხები თანხის -3000 აშშ დოლარისა და 550 ლარის, ო.ს-შვილის მიერ ა.კ-ოვის სახლის დაყადაღებისთვის გადახდილი 50 ლარის, საადრულებო მოსაკრებლის -100 ლარის, საჯარო რეესტრში ყადაღის დარეგისტრირების გადასახადის -20 ლარის, საჯარო რეესტრის განახლების მოსაკრებლის -15 ლარის, სახელმწიფო ბაჟის -165 ლარის, საბანკო მომსახურების -5 ლარისა და ადვოკატის მომსახურებისათვის დახარჯული 800 ლარის გადახდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: სარჩელში მითითებული თანხა ო. ს-შვილმა ჩადო საერთო ბიზნესში იმ პირობით, რომ მოგების შემთხვევაში კუთვნილი 300 აშშ დოლარის გარდა მიიღებდა მოგების მესამედს. ბიზნესი წარუმატებელი აღმოჩნდა და ა. კ-ოვი იძულებული გახდა, დაეწერა სარჩელში მითითებული ხელწერილი. დანარჩენი თანხის დაკისრების მოთხოვნა უსაფუძვლოა, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სარჩელში გათვალისწინებული ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით ო. ს-შვილის სარჩელი ა. კ-ოვის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ა. კ-ოვს დაეკისრა ო. ს-შვილის სასარგებლოდ 300 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 550 ლარის, ო. ს-შვილის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -165 ლარისა და 50 ლარის, საადვოკატო მომსახურების -120 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, 30,60 ლარის, სულ 3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 795,60 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ა. კ-ოვმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად და მხარეს დაუბრუნდა სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 32 ლარი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ამავე პალატის 2009 წლის 10 მარტის განჩინებით ო. ს-შვილს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა 7 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის -124,8 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 31,82 ლარის გადახდის ქვითრის წარდგენა. აღნიშნული განჩინების ასლი აპელანტს 2009 წლის 10

მარტს ჩაჰბარდა და მან წარმოადგინა 32 ლარის გადახდის ქვითარი. სააპელაციო პალატის მითითებით, ა. კ-ოვის შუამდგომლობის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 18 მარტის განჩინებით, მას ხარვეზის შევსების ვადა 20 დღით გაუგრძელდა და განჩინების ასლი 2009 წლის 18 მარტს ჩაჰბარდა, თუმცა მას სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი სრულად არ გამოუსწორებია. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სააპელაციო საჩივრის გაუხილველად დატოვების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე ა. კ-ოვმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად იმ საფუძველით, რომ გასაჩივრებული განჩინება უკანონოა, სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე და 64-ე მუხლები.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 10 მარტის განჩინებით ა. კ-ოვის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მიეცა 7 დღის ვადა მის გამოსასწორებლად -სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად.

საქმეში წარმოდგენილი ხელწერილით დასტურდება, რომ მხარეს ხარვეზის თაობაზე განჩინება 2009 წლის 10 მარტს ჩაბარდა.

2009 წლის 16 მარტს ა.კ-ოვმა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, წარადგინა 32 ლარის გადახდის ქვითარი და მოითხოვა დარჩენილი თანხის გადასახდელად ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელება.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 18 მარტის განჩინებით შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და აპელანტს ხარვეზის შევსების ვადა 20 დღით გაუგრძელდა. აღნიშნულის მიუხედავად, ა.კ-ოვს ხარვეზის გამოსწორების მიზნით სასამართლოსათვის არ მიუმართავს და არც რაიმე შუამდგომლობა არ წარუდგენია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. კ-ოვის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველი.

მოცემულ შემთხვევაში ა.კ-ოვის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და აპელანტს მიეცა ვადა მის გამოსასწორებლად. ა.კ-ოვმა გადაიხდა სახელმწიფო ბაჟის ნაწილი და მოითხოვა ხარვეზის გამოსასწორებლად მისთვის მიცემული ვადის გაგრძელება, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა და მხარეს სახელმწიფო ბაჟის სრულად დასაფარად განუსაზღვრა სავსებით გონივრული ვადა -20 დღე. აღნიშნული ვადის გასვლის მიუხედავად ა.კ-ოვს ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით სასამართლოსათვის არ მიუმართავს.

საფუძველს მოკლებულია კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დატოვა ა.კ-ოვის სააპელაციო საჩივარი განუხილველად, რა დროსაც არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლი. აღნიშნული ნორმის მიხედვით, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს. ამ დანაწესის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, გაითვალისწინოს თითოეული მხარის ფინანსური მდგომარეობა და სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეუმციროს ან მისი გადახდა სხვა დროისათვის გადაუვადოს მხარეს, რომელიც სათანადო მტკიცებულებით დამაჯერებლად დაასაბუთებს თავის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას.

განსახილველ შემთხვევაში აპელანტ ა.კ-ოვს სასამართლოსათვის სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირების ან მისი გადახდის გადავადების მოთხოვნით არ მიუმართავს და, შესაბამისად, არც სახელმწიფო ბაჟის გადახდის შეუძლებლობა არ დაუდასტურებია უტყუარი მტკიცებულებით, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული ნორმა მართებულად არ გამოიყენა.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის გამოუყენებლობას, კერძო საჩივარი ამ ნაწილშიც დაუსაბუთებელია, ვინაიდან ა.კ-ოვის მოთხოვნის საფუძველზე სააპელაციო პალატამ 2008 წლის 18 მარტის განჩინებით მას ხარვეზის შევსების ვადა გაუგრძელა, შემდგომ კი მხარეს საპროცესო ვადის დამატებით გაგრძელების თაობაზე სასამართლოსათვის არ მიუმართავს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

ა. კ-ოვის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 14 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად. სასამართლო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება და შემცირება**

#### **განჩინება**

#ას-218-207-2010

22 მარტი, 2010 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

**სარჩელის დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

**კერძო საჩივრის დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით შპს "... " სარჩელი მოპასუხე შპს "... " მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - შპს "... " მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სასწორი კომპიუტერისა და კომპრესორის ღირებულების -35 300 აშშ დოლარის, ნარდობის ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოების ღირებულების -1 900 აშშ დოლარის და თანხის გადაუხდელობით მიყენებული ზიანის სახით 998.4 აშშ დოლარის, მთლიანობაში - 38 198.4 აშშ დოლარის გადახდა; ამავე განჩინებით მოპასუხეს შპს "... " სასარგებლოდ დაევალი იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის -900 ლარის ანაზღაურება; მოპასუხესვე მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 1 145.95 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა; დანარჩენ ნაწილში შპს "... " სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "... " (წარმომადგენელი რ. ც-მე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. გარდა ამისა, აპელანტმა მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 2 ივლისისა და 30 ივლისის განჩინებების გაუქმება, რომლებითაც პირველ შემთხვევაში მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა მტკიცებულების (ს. ი-ძის ხელწერილი გადასახდელი თანხის აღიარების თაობაზე) საქმეზე დართვის შესახებ დაკმაყოფილდა, ხოლო მეორე შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის შუამდგომლობა მტკიცებულებათა სიიდან მოპასუხის შესაგებელზე თანდართული, არასახელმწიფო ენაზე შესრულებული საბუთის ამორიცხვის თაობაზე, ასევე დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 სექტემბრის განჩინებით შპს "... " სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, აპელანტს დაევალი ამ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის -2 711.35 ლარის გადახდა,



აგრეთვე, წარმომადგენელ რ. ც-მის მიერ ადვოკატის მოწმობის ასლის ან უშუალოდ საზოგადოების დირექტორის მიერ ხელმოწერილი სააპელაციო საჩივრის წარმოდგენა.

2009 წლის 12 ოქტომბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა შპს "...“ წარმომადგენელმა რ. ც-მემ, რომელმაც სააპელაციო საჩივრის ხარვეზი ნაწილობრივ შეავსო, კერძოდ, მან წარადგინა საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა და გადაიხადა სახელმწიფო ბაჟის ნაწილი -150 ლარი. აქვე, განმცხადებელმა მოითხოვა დანარჩენი თანხის გადახდისაგან გათავისუფლება ან მისი გადახდის გადავადება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

განმცხადებელმა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების მოთხოვნის დასასაბუთებლად მიუთითა ბათუმის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) ცნობაზე ბიუჯეტის წინაშე შპს "...“ დავალიანების შესახებ. მისი განმარტებით, აღნიშნული ცნობით უდავოდ დასტურდება, რომ შპს "...“ გააჩნია მძიმე ფინანსური მდგომარეობა. მათი ორგანიზაცია მომსახურებისა თუ მიწოდებისას მუშაობს საბანკო გადარიცხვების მეშვეობით და იმ დროს, როდესაც ორგანიზაციას გააჩნია ბიუჯეტის მიმართ დავალიანება, საგადასახადო ორგანო ინკასოს მეშვეობით ახდენს თანხის ბიუჯეტში წარმართვას. ამდენად, ორგანიზაციას არ შესწევდა სახელმწიფო ბაჟის სრულყოფილად გადახდის უნარი. სახელმწიფო ბაჟის სახით უკვე გადახდილი თანხა მოძიებულ იქნა ორგანიზაციის ხელმძღვანელის პირადი სახსრებიდან.

სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების ან მისი გადახდის ვადის გადავადების შესახებ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განმცხადებელმა დაასახელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით შპს "...“ გაუგრძელდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 24 სექტემბრის განჩინებით დადგენილი ხარვეზის შევსების ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შპს "...“ განცხადებაზე თანდართულ ბათუმის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) ცნობაზე, რომლის თანახმად შპს "...“ აქვს სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანება 33 658 ლარის ოდენობით და აღნიშნა, რომ, მართალია, დასახელებული ცნობით დგინდებოდა ბიუჯეტის წინაშე შპს-ს დავალიანების არსებობა, მაგრამ აღნიშნულით არ დგინდებოდა ფაქტობრივი გარემოება საზოგადოების გადახდისუუნარობის ან მისი ქონებრივი მდგომარეობის გაუარესების შესახებ. პირიქით, საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ შპს "...“ გააჩნდა უძრავი ქონება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში აპელანტი (შპს "...“) ვერ ადასტურებდა გადახდისუუნარობას. ამ უკანასკნელის მიერ არ იყო წარდგენილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე-47-ე მუხლების თანახმად რაიმე უტყუარი მტკიცებულება შპს-ს გადახდისუუნარობისა და იურიდიული პირის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, რაც სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას, ემსჯელა იურიდიული პირის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების ან სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დასრულებამდე ბაჟის გადავადების ან მისი შემცირების შესახებ.

2009 წლის 7 ნოემბერს შპს "...“ სააპელაციო საჩივარში ხარვეზის შევსების შესახებ ახალი განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, რომელსაც თან დაურთო სახელმწიფო ბაჟის -150 ლარის გადახდის ქვითარი. ამ შემთხვევაში განმცხადებელმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 148-ე მუხლზე დაყრდნობით, საზოგადოების ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მოითხოვა მისთვის სახელმწიფო ბაჟის ოდენობის 300 ლარამდე შემცირება, რა ოდენობის თანხაც მას უკვე გადახდილი ჰქონდა, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში დარჩენილი თანხის გადახდის გადავადება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

ამის შემდგომ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 დეკემბრის განჩინებით შპს "...“ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შესავსებად საპროცესო ვადა გაუგრძელდა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღით.

პარალელურად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 დეკემბრის განჩინებით შპს "...“ (წარმომადგენელი თ. მ-მე) საჩივრის განხილვის შედეგად, შპს "...“ განცხადება დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო მოპასუხე შპს "...“ კუთვნილ საბანკო ანგარიშებს -სს "საქართველოს ბანკის" ბათუმის ფილიალში (ანგარიშის #146002600) და სს "პროკრედიტ ბანკის" ბათუმის ფილიალში (ანგარიშის #3602248), დადგინდა აღნიშნული განჩინების დაუყოვნებლივ აღსრულება, რა მიზნითაც მასზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2009 წლის 24 დეკემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შპს "...“ (წარმომადგენელი რ. ც-მე) ხარვეზის შევსების მიზნით კვლავ წარადგინა განცხადება, რომელსაც თან დაურთო სახელმწიფო ბაჟის სახით 200 ლარის გადახდის ქვითარი და მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად სახელმწიფო ბაჟის ოდენობის 500 ლარამდე შემცირება ან საქ-

მეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი თანხის გადახდის გადავადება.

განმცხადებელმა განმარტა, რომ შპს "... " საბანკო ანგარიშებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების საფუძველზე ედო ყადაღა. ამის გამო, მათ, ფაქტობრივად, არ ჰქონდათ შესაძლებლობა, ეწარმოებინათ საბანკო გადარიცხვები ან სხვა ოპერაციები, შესაბამისად, არ შეეძლოთ გადაეხადათ სახელმწიფო ბაჟი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 28 დეკემბრის განჩინებით შპს "... " გაუგრძელდა (მესამედ) ამავე სასამართლოს 2009 წლის 24 სექტემბრის განჩინებით დადგენილი ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღით.

2010 წლის 12 იანვარს შპს "... " ისევ წარადგინა განცხადება ხარვეზის შევსების შესახებ, რომელსაც თან დაურთო 250 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი და იმავე საფუძველზე მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის თანხის 750 ლარამდე შემცირება ან დარჩენილი თანხის გადახდის გადავადება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საბოლოოდ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 თებერვლის განჩინებით შპს "... " სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი, აპელანტს დაუბრუნდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის თანხა 750 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე, 374-ე მუხლებზე, რომელთა თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლის მოთხოვნებს, ასევე არ არის გადახდილი ბაჟი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს, თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება; თუ არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის პირობა, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტმა შპს "... " არ შეავსო ხარვეზი, კერძოდ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ წარადგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას, ხოლო სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლიდან გამომდინარე დაბრუნებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს "... ", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ შპს "... " ფინანსური მდგომარეობა არის მძიმე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის საბანკო ანგარიშებს დაადო ყადაღა, რამაც, ფაქტობრივად, გამოიწვია ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდის შეუძლებლობა. შპს "... " სასამართლოს წარუდგინა ყველა შესაძლო მტკიცებულება, რომლითაც დგინდება, რომ მის ქონებას (საბანკო ანგარიშები) ედო ინკასო, ამასთან, მას გააჩნდა ბიუჯეტის დავალიანება და ვერ ახერხებდა სახელმწიფო ბაჟის სრულყოფილად გადახდას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 თებერვლის განჩინება, შპს "... " (წარმომადგენელი რ. ც-მე) სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს. სასამართლოს მიერ აღნიშნული ნორმის სწორად გამოყენება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული მხარის არსებით პროცესუალურ უფლებასთან - უზრუნველყოფილი იყოს ქონებრივ შესაძლებლობას მოკლებული მხარის უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული მასალების შეფასება იძლეოდა შპს "... " სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი თანხის გადახდის გადავადების საფუძველს, რამდენადაც ბიუჯეტის წინაშე დავალიანება, კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე ინკასოსა და ყადაღის არსებობა, რაც საქმეზე უდავოდ დასტურდება, ისეთი გარემოებებია, რაც მხარის მიერ მოცემულ მომენტში სახელმწიფო ბაჟის სრულად გადახდის შესაძლებლობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის გამოყენებისა და მხარისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 თებერვლის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე შპს "... " სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს "... " (წარმომადგენელი რ. ც-ძე) კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 თებერვლის განჩინება და საქმე შპს "... " სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სახელმწიფო ბაჟისგან  
გათავისუფლების საფუძვლები**

**განჩინება**

#ას-440-412-2010 14 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

მ. ქ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში საგარეჯოს რაიონის სოფ. ... საჯარო სკოლის მიმართ მოპასუხის 2009 წლის 13 მაისის #72 (კ) ბრძანების ბათილად ცნობის, გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენისა და 2009 წლის 13 მაისიდან იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელე მუშაობდა საგარეჯოს რაიონის სოფ. ... საჯარო სკოლის მასწავლებლად. 2007 წლის დეკემბერში იგი უკანონოდ გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, რაც მან გაასაჩივრა სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით. სასამართლოს კანონიერ ძალაში შეული გადაწყვეტილებით მ.ქ-ძე აღდგენილ იქნა სამუშაოზე, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის შემდეგ, 2009 წლის 13 მაისის ბრძანებით მოსარჩელე კვლავ კანონდარღვევით გათავისუფლდა სამუშაოდან.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სკოლის დირექციამ სასამართლო გადაწყვეტილება აღასრულა, მოსარჩელე სამუშაოზე აღადგინა, თუმცა მ.ქ-ძე სამუშაოზე არ გამოცხადდა.

საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებით მ. ქ-ძის სარჩელი მოპასუხე საგარეჯოს რაიონის სოფ. ... საჯარო სკოლის მიმართ სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მ.ქ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 იანვრის განჩინებით მ.ქ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ მ.ქ-ძის სააპელაციო საჩივარი მიიჩნია ხარვეზიანად და დაავალა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენა. 2009 წლის 7 დეკემბრის განჩინებით სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ და მხარეს ხარვეზის გამოსასწორებელი ვადა 7 დღით გაუგრძელა.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილით, 71-ე მუხლის პირველი ნაწილით, 74-ე მუხლის პირველი ნაწილით და საქმის მასალებით დაადგინა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის განჩინება აპელანტ მ. ქ-ძეს გაეგზავნა მის მიერ მითითებულ მისამართზე, საგარეჯოს რაიონის სოფ. ... და 2009

წლის 22 დეკემბერს კანონით დადგენილი წესით ჩაჰბარდა მის დას -მ. ქ-ძეს, რასაც ადასტურებს გზავნილის ჩაბარების შეტყობინებაზე შესრულებული ხელმოწერა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება აპელანტს ჩაბარდა 2009 წლის 22 დეკემბერს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მისთვის ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დანიშნული 7-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო განჩინების ასლის გადაცემის მომდევნო დღიდან -2009 წლის 23 დეკემბრიდან და ამავე კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ამოიწურა 2009 წლის 30 დეკემბერს. ამდენად, აპელანტს სააპელაციო საჩივარში ხარვეზი უნდა შეეცხო 2009 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით, თუმცა ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით აპელანტს სააპელაციო სასამართლოსათვის არ მიუშვართავს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 63-ე და 374-ე მუხლების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მ. ქ-ძის სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ.ქ-ძემ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მ.ქ-ძის დის მიერ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების მიღების მომენტში აპელანტი სოფელ ხაშში არ იმყოფებოდა. იგი თვეობით ვერ ახერხებს სახლში მისვლას ახლობლის მძიმე ავადმყოფობის გამო. მ.ქ-ძემ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი -150 ლარი, რადროსაც სახელმწიფო ბაჟის რეკვიზიტები დამ უკარნახა ტელეფონის მეშვეობით, თუმცა მათ გამორჩათ ის გარემოება, რომ სახელმწიფო ბაჟის ქვითარი ამავე ვადაში უნდა წარედგინათ სასამართლოსათვის.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება მ. ქ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის განჩინებით აპელანტს დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდა და აღნიშნულისათვის განესაზღვრა ვადა, რომელიც ამავე სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის განჩინებით დამატებით 7 დღით გაგრძელდა.

სააპელაციო პალატის განჩინება ხარვეზის დადგენის თაობაზე მხარეს გაეგზავნა და ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით, რაც მას სადავოდ არ გაუხდია.

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად ხარვეზის გამოუსწორებლობის -სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეამოწმა კერძო საჩივრის საფუძვლები, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ მ. ქ-ძის კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს იმ ნაწილში, რომლითაც განუხილველად დარჩა მ.ქ-ძის სააპელაციო საჩივარი იძულებით განაცდურის ანაზღაურების შესახებ და საქმე აღნიშნულ ნაწილში დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის "ვ" პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ადგენს სააპელაციო საჩივრის შეტანისას სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებას, რადროსაც ხელმძღვანელობს "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი დებულებებით.

ზემოხსენებული კანონი განსაზღვრავს არა მარტო სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესსა და თავისებურებებს, არამედ იმ გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც მხარე დავის სამართლებრივი კატეგორიის, მისი სუბიექტის სოციალური სტატუსისა თუ სხვა გარემოებათა გათვალისწინებით თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, კერძოდ, მითითებული კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები -სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან.

მოცემულ შემთხვევაში მ. ქ-ძის სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს სწორედ შრომის-სამართლებრივი ურთიერთობიდან და ეხება შრომითი ანაზღაურების მიღებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ იძულებითი განაცდურის გადახდევინების ნაწილში მ. ქ-ძის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შემოწმებისას სააპელაციო პალატამ "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" კანონის ზემოხსენებული დანაწესის გათვალისწინებით უნდა

იმსჯელოს, არსებობდა თუ არა ზემოხსენებულ ნაწილში აპელანტის სახელმწიფო ბაჟის გადახდისა და საპელაგო საჩივრის წარმოებაში მიღების საფუძველი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

მ. ქ-ძის კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 იანვრის განჩინება შრომითი ანაზღაურების თაობაზე მ. ქ-ძის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ნაწილში და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის აღნიშნულ ნაწილში დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად.

დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სასამართლო ხარჯების გადახდის  
გადავადება და შემცირება**

**განჩინება**

#ას-807-756-2010

25 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ლ. ლაზარაშვილი,**  
**პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება, თანხის დაკისრება, იპოთეკისა და გირავნობის საგნის რეალიზაცია

**აღწერილობითი ნაწილი:**

სს "ბანკმა ..." სარჩელი აღძრა სასამართლოში ინდივიდუალურ მეწარმე მ. ქ-ძის, ხ., ნ. და გ. შ-ძეების მიმართ საკრედიტო ხელშეკრულებების შეწყვეტის, 44681,87 აშშ დოლარის მოპასუხეთათვის დაკისრების, ასევე, იპოთეკისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის შესახებ შემდეგი საფუძველებით: მხარეთა შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა გ. შ-ძის კუთვნილი უძრავი ქონება. მოპასუხებმა ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 12 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სს "ბანკი ..." სარჩელი დაკმაყოფილდა, ხოლო ამავე სასამართლოს 2010 წლის 14 აპრილის განჩინებით დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ გ. შ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ივნისის განჩინებით გ. შ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატის 2010 წლის 27 მაისის განჩინებით გ. შ-ძის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, დაევალა კანონით დადგენილი ფორმით შედგენილი სააპელაციო საჩივრისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. აპელანტის შუამდგომლობის საფუძველზე მას აღნიშნული ხარვეზის შევსების ვადა 5 დღით გაუგრძელდა, რის შესახებ სასამართლო გზავნილი 2010 წლის 16 ივნისს ჩაბარდა აპელანტის წარმომადგენელ ავ. ი-იანს.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილით, 73-ე, 74-ე მუხლების პირველი ნაწილებით და მიიჩნია, რომ ა. ი-იანსათვის ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების ჩაბარება თავად აპელანტისათვის მის ჩაბარებას შეესაბამება და ხარვეზის შევსების 5-დღიანი ვადა აითვალა 2010 წლის 16 ივნისიდან 23 ივნისამდე. პალატამ მიუთითა, რომ 2010 წლის 21 ივნისს მხარემ განცხადებით მიმართა სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება. სააპე-

ლაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის არგუმენტი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მისი ქონების რეალიზაციისას სახელმწიფო ბაჟის გადახდის თაობაზე არ წარმოადგენს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საკმარის საფუძველს. ამდენად, პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლით, 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილით და ჩათვალა, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე გ.შ-ძის წარმომადგენელმა ა. ი-იანმა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ პალატამ არასწორად უთხრა უარი მხარეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებაზე, რა დროსაც არ გაითვალისწინა, რომ გ.შ-ძის ოჯახს პენსიის გარდა სხვა შემოსავალი არ გააჩნია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. შ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამავე მუხლის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ი-ებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. ხარვეზის დადგენის საფუძველს წარმოადგენს როგორც ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული გარემოებები, ისე მხარის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა. ხარვეზის გამოსასწორებლად მხარისათვის მიცემული ვადის გასვლის შემდეგ სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველად.

მოცემულ შემთხვევაში გ. შ-ძის სააპელაციო საჩივარს ორჯერ დაუდგინდა ხარვეზი და დაევა-ლა 5 დღის ვადაში მისი გამოსწორება. დადგენილია და მხარეს სადავოდ არ გაუხდია ის გარემო-ება, რომ სასამართლო გზავნილი 2010 წლის 16 ივნისს ჩაჰბარდა აპელანტ გ.შ-ძის წარმომადგე-ნელ ა. ი-იანს, რის შემდეგ მხარეს 5 დღის ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ გ.შ-ძის წარმომადგე-ნელ ავ.ი-იანის 2010 წლის 21 ივნისის განცხადება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამ-დე სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ დაუსაბუთებელია, ხოლო მარტოდენ მხარის მითითება მძიმე ფინანსურ მდგომარეობაზე, ასევე, იმ გარემოებაზე, რომ იგი სასამართლო ხარჯების დაფარვას შესძლებს მხოლოდ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სადავო ქონების რეალიზაციის შემდეგ, მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის მუხლის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელ-მწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლოს ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს. ამდენად, მხარე, რომელიც შუამ-დგომლობს სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების თაობაზე, ვალდებულია უტყუარად, სათანადო მტკიცებულებების სასამართლოსათვის წარდგენის გზით დაადასტუროს, რომ მას აღნიშ-ნული ხარჯების გადახდა ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე ობიექტურად არ შეუძლია.

კანონის ზემოხსენებული დანაწესის შესაბამისად, აპელანტ გ. შ-ძეს სახელმწიფო ბაჟის გადახ-დის გადავადების აუცილებლობა არ დაუსაბუთებია და არც სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია, რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი მართებულად დარჩა განუხილველად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

გ. შ-ძის წარმომადგენელ ა. ი-იანის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ივნისის გან-ჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სასამართლო ხარჯების განაწილება  
მხარეთა შორის**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

#ას-1253-1101-10                      17 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ა-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს "...“ მიმართ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თანხის -12800 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით და განმარტა, რომ მოპასუხესთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ყოველ კვარტალში უხდიდა თანხას ბინის აშენებისათვის. მოგვიანებით მოსარჩელემ შეწყვიტა თანხის დაფარვა, რადგან აშკარა იყო, რომ შენობა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ვერ აშენდებოდა და მოითხოვა გადახდილი თანხის დაბრუნება. მოპასუხემ გადაუხადა მხოლოდ 4000 აშშ დოლარი, დანარჩენ ნაწილში კი ვალდებულება არ შეასრულა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 16 აპრილის დაუსრულებელი გადაწყვეტილებით ნ. ა-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს "...“ ნ. ა-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 12800 აშშ დოლარის, საადვოკატო მომსახურების ხარჯის -842,55 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის -647,27 ლარის გადახდა. ამავე სასამართლოს 2010 წლის 19 მაისის განჩინებით დაუსრულებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

საქალაქო სასამართლოს დაუსრულებელი გადაწყვეტილება და განჩინება დაუსრულებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით შპს "...“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა -თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 16 აპრილის დაუსრულებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2010 წლის 19 მაისის განჩინება დაუსრულებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით, 233-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით, 201-ე მუხლით და მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 იანვრის განჩინებით ნ. ა-შვილის სარჩელი შპს "...“ მიმართ თანხის გადახდის დაკისრების თაობაზე მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში. ამავე განჩინებით სასამართლომ მოპასუხეს განუსაზღვრა შესაგებლის წარსადგენად 10-დღიანი ვადა, თუმცა ამავე განჩინებით მოპასუხე მხარე არ გაფრთხილებულა სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შესაძლო შედეგების შესახებ.

სასამართლოს მითითებით, მართალია, სარჩელის წარმოებაში მიღების განჩინების მხარეთათვის გაგზავნის ვალდებულება საპროცესო კანონმდებლობით სასამართლოს არ აკისრია, მაგრამ სასამართლო უწყებაში მითითებული პირობები უნდა შეესაბამებოდეს სასამართლო აქტს, მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღების განჩინებას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პალატას მიაჩნია, რომ შპს "...“ გაეგზავნა სასამართლო უწყება, ნ. ა-შვილის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სასამართლოს განჩინებით, არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოს სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში შესაძლო შედეგების თაობაზე, სასამართლო უწყება არ გამომდინარეობდა სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებიდან, რაც შპს "...“ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 21 ოქტომბრის განჩინება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ და ამავე სასამართლოს 2010 წლის 15 ივნისის განჩინება სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ ნ. ა-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო პალატამ შპს "... " სააპელაციო საჩივარი არასწორად მიიღო წარმოებაში, რადგან აპელანტმა არასწორად განსაზღვრა სააპელაციო საჩივრის ღირებულება 12800 აშშ დოლარის ნაცვლად ამავე ოდენობის ლარით, გადაიხადა 12800 ლარის 4%, რაც, 512 აშშ დოლარის ნაცვლად, შეადგენს 512 ლარს.

სასამართლომ დაარღვია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი და გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად დაუდო ისეთი გარემოება, რაზეც აპელანტს არ მიუთითებია. გასაჩივრებული განჩინება წინააღმდეგობრივია, რადგან, ერთი მხრივ, სასამართლო უთითებს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტი, ხოლო, მეორე მხრივ, დაადგინა, რომ მოპასუხეს ჩაბარდა სარჩელი, თანდართული მასალები და სასამართლო უწყება. შესაბამისად, მხარისათვის საქმის ფაქტობრივი გარემოებები ცნობილი იყო. სასამართლოს მსჯელობის შესაბამისად, პალატა ფაქტობრივ გარემოებებში გულისხმობდა საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შედეგებს, რაც არასწორია.

სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, არც ერთი სასამართლო არ უთითებს სარჩელისა თუ სხვა საჩივრის წარმოებაში მიღების განჩინებაში სასამართლო სხდომაზე მხარის არასაპატიო გამოუცხადებლობის სამართლებრივ შედეგებს. თავად სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების განჩინებაშიც ასეთის შესახებ მითითებული არ არის.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ა-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ თავისი განჩინებით მიიღო წარმოებაში ნ. ა-შვილის სარჩელი და მოპასუხეს დაუდგინა 10-დღიანი ვადა შესაგებლის წარმოდგენისათვის, თუმცა ამავე განჩინებით არ გააფრთხილა მხარეები სასამართლო სხდომაზე მათი გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ზემოხსენებულ მოსაზრებას, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლომ დასაბარებელ პირს უწყება შეიძლება ჩააბაროს ასევე სასამართლოს შენობაში. ამავე კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტით კი, სასამართლო უწყება უნდა შეიცავდეს მითითებას გამოუცხადებლობის შედეგებზე და ვალდებულებას, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები.

მოცემულ შემთხვევაში 2010 წლის 16 აპრილის სასამართლო სხდომის თარიღი შპს "... " ზემოხსენებული კანონის დანაწესის შესაბამისად სასამართლოს შენობაში ეცნობა და განემარტა საქმის განხილვაზე მისი არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ, რაც დასტურდება სასამართლო უწყებაზე შპს "... " წარმომადგენელ მ. ქ-იას ხელმოწერით.

აღნიშნულის მიუხედავად, მოპასუხე სასამართლოს მიერ დადგენილ დროს საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა და არც თავისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი სასამართლოს არ აცნობა.

დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მითითება განსახილველ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის თაობაზე. დასახელებული ნორმის მიხედვით, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, სააპელაციო პალატამ მოცემულ საქმეზე მთავარი სხდომა თავდაპირველად დანიშნა 2010 წლის 26 მარტს, თუმცა მოსამართლის ავადმყოფობის გამო საქმის განხილვა გადაიდო 2010 წლის 16 აპრილისათვის, შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დროს მხარეთათვის საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ცნობილი იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროცესუალური ეკონომიის პრინციპის თანახმად, საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება, უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 16 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2010 წლის 19 მაისის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.



აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ა-შვილის სარჩელის დაკმაყოფილების პირობებში მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი 1121,92 ლარის გადახდა უნდა დაეკისროს შპს "...".

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის პრეტენზიას შპს "...-ს მიერ სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულების არასწორად განსაზღვრისა და სახელმწიფო ბაჟის არასრულად გადახდის თაობაზე, ვინაიდან სააპელაციო საჩივრით მხარე სადავოდ ხდიდა გადაწყვეტილებას მისთვის 12800 აშშ დოლარის და არა ლარის დაკისრების შესახებ, შესაბამისად, აპელანტს უნდა გადაეხადა სადავო თანხის 4% -521 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. ფაქტობრივად, სააპელაციო საჩივარზე გადახდილია სახელმწიფო ბაჟი -521 ლარი.

ამდენად, შპს "...-ს უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის -521 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა მის მიერ უკვე გადახდილი 521 ლარის გათვალისწინებით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

ნ. ა-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 16 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2010 წლის 19 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

შპს "...-ს დაეკისროს: 1) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის -521 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა მის მიერ უკვე გადახდილი 521 ლარის გათვალისწინებით; 2) ნ. ა-შვილის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯის -1121,92 ლარის გადახდა.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **4. საპროცესო ვადის დამთავრება**

### **განჩინება**

#ას-1248-1507-09

3 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხისა და პირგასამტეხლოს დაკისრება (ძირითად სარჩელში); ზიანის ანაზღაურება, ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება (შეგებებულ სარჩელში)

**კერძო საჩივრის დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 29 აპრილს ახალციხის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ინდივიდუალურმა მეწარმე ლ. ს-მემ მოპასუხე შპს "...-ს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის -12 050 აშშ დოლარის, პირგასამტეხლოს -10 000 ლარის, აგრეთვე, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს -ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 12 050 აშშ დოლარის 0,2%-ის გადახდის მოთხოვნით.

სარჩელში აღნიშნულია, რომ 2008 წლის 22 ოქტომბერს სასტუმრო "...-სა" და შპს "...-ს შორის დაიდო სასტუმროს მომსახურების ხელშეკრულება, რომლის მიხედვით სასტუმრო გამოუყოფდა ოთახებს კომპანიას და გაუწევდა სასტუმროში არსებულ მომსახურებას 2008 წლის 24 დეკემბრიდან 2009 წლის 27 მარტამდე. ეს ხელშეკრულება შპს "...-ს მიერ ცალმხრივად შეწყდა 2009 წლის 25 თებერვალს.

მოსარჩელის განცხადებით, შპს "...“ წარმოადგენდა ხელშეკრულების მხარეს და შესაბამისად, მასზე იყო დამოკიდებული სასტუმროს ქონებით სარგებლობის ფარგლები. ვინაიდან ხელშეკრულება მოქმედებდა არა ხელშეკრულებით დადგენილი ვადის -3 თვის, არამედ -მოპასუხის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის გამო 2 თვის განმავლობაში, მოსარჩელემ მოითხოვა შეთანხმებული თანხის -12 050 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს -10 000 ლარის გადახდა, ასევე, ვალდებულების შეუსრულებლობის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 12 050 აშშ დოლარის 0,2%-ის გადახდა.

მოპასუხე შპს "...-მ" იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინა. შეგებებული სარჩელის ავტორმა მოითხოვა ინდივიდუალური მეწარმე ლ. ს-ძისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება 1 321.78 ლარის ოდენობით და ზედმეტად გადახდილი 16 523 ლარის დაბრუნება.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ინდივიდუალური მეწარმე ლ. ს-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: შპს "...-ს" ლ. ს-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 10 000 ლარისა და 12 050 აშშ დოლარის 0,2%-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2009 წლის 12 იანვრიდან 2009 წლის 25 თებერვლამდე; მოსარჩელის მოთხოვნა 12 050 აშშ დოლარის შპს "...-სათვის" დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა; შპს "...-ს" შეგებებული სარჩელი მოპასუხისათვის 16 523 ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა, ხოლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დადგინებულ ფაქტებს მიიჩნია, რომ მხარეთა შორის 2008 წლის 22 ოქტომბერს დაიდო სასტუმროს მომსახურების ხელშეკრულება. შპს "...-ს" მიერ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ცალმხრივად შეწყდა აღნიშნული ხელშეკრულება. ხელშეკრულებით დადგენილი გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში შპს "...“ იღებდა ვალდებულებას, სასტუმროსთვის გადაეხადა პირგასამტეხლო თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,2%-ის ოდენობით. სასამართლომ ასევე დადგინებულა, რომ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში შპს "...-ს" ეკისრებოდა ჯარიმის სახით 10 000 ლარის გადახდა, ხოლო სასტუმრო იღებდა ვალდებულებას დამკვეთის მიერ წინასწარ გადახდილი თანხის დაბრუნებაზე, გაწეული მომსახურების გათვალისწინებით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "...-მ", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ინდივიდუალური მეწარმე ლ. ს-ძის სარჩელის დაკმაყოფილებისა და მისი შეგებებული სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა აგრეთვე ინდივიდუალურმა მეწარმე ლ. ს-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაუკმაყოფილებლობისა და შპს "...-ს" შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ნოემბრის განჩინებით შპს "...-ს" სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილების ასლი შპს "...-ს" თანამშრომელს ჩაჰბარდა 2009 წლის 2 ნოემბერს. სააპელაციო საჩივარი წარდგენილ იქნა 2009 წლის 17 ნოემბერს, გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს "...-მ", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, შპს "...-ს" მიერ სააპელაციო საჩივარი გასაგზავნად გადაეცა ოფიციალურად რეგისტრირებულ საფოსტო ორგანიზაციას 2009 წლის 13 ნოემბერს, სამი დღით ადრე გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გასვლამდე. შესაბამისად, სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის ათვლა უნდა მომხდარიყო ფოსტისათვის სააპელაციო საჩივრის ჩაბარების დღიდან, საიდანაც გასაჩივრების ვადა არ იყო გასული.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და შპს "...-ს" სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო შპს "...-ს" მიერ სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში წარუდგენლობა. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60.2 მუხლის შესაბამისად გასაჩივრების 14-დღიანი

ვადის ათვლის დასაწყისად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლის აპელანტისათვის ჩაბარების მომდევნო დღე -2009 წლის 3 ნოემბერი, ხოლო ამ ვადის დასრულების დღედ -ახალციხის რაიონული სასამართლოსათვის სააპელაციო საჩივრის ჩაბარების დღე, რა დროისთვისაც სააპელაციო წესით გასაჩივრების 14-დღიანი ვადა უკვე გასული იყო.

წარმოდგენილი კერძო საჩივრით შპს "... " სადავოდ ხდის სააპელაციო საჩივრის შეტანის ზემომითითებულ თარიღს, რომელსაც გასაჩივრებული განჩინება ეყრდნობა და განმარტავს, რომ ამ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრი ფოსტის მეშვეობით გაიგზავნა. აღნიშნულის დასადასტურებლად კერძო საჩივარს თან ერთვის შპს "...-ს" მიერ სააპელაციო საჩივრის ფოსტისათვის ჩაბარების დამადასტურებელი ქვითრის (#000 072943) ასლი.

საკასაციო სასამართლოში კერძო საჩივრის განხილვისას წარმოდგენილ იქნა შპს "სკს-ს" (ორგანიზაცია, რომლის მეშვეობითაც შპს "...-მ" გზავნილი გააგზავნა ახალციხის რაიონულ სასამართლოში) ცნობა. აღნიშნული ცნობით ირკვევა, რომ შპს "...-ს" გზავნილი (#000072943) ახალციხის რაიონულ სასამართლოში ფოსტის მეშვეობით გაიგზავნა 2009 წლის 13 ნოემბერს, ხოლო ეს გზავნილი სასამართლოს ჩაჰბარდა 17 ნოემბერს. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილია შპს "...-ს" მიერ სააპელაციო საჩივრის ფოსტისათვის ჩაბარების დამადასტურებელი ქვითრის (#000 072943) დედანი, რომელიც დამოწმებულია ახალციხის რაიონული სასამართლოს ბეჭდით. დასახელებული ქვითარზე სააპელაციო საჩივრის ფოსტისათვის ჩაბარების დროდ ასევე მითითებულია 2009 წლის 13 ნოემბერი. ასევე წარმოდგენილია ახალციხის რაიონული სასამართლოს 29.01.2010წ. #2/77-09წ.-031/1 წერილი, რომლის შინაარსიდან გამომდინარე, რაიონული სასამართლო არ გამორიცხავს სააპელაციო საჩივრის ფოსტით შემოსვლას.

ზემოაღნიშნული მასალების საქმის მასალებთან ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ შპს "...-ს" მიერ სააპელაციო საჩივარი ახალციხის რაიონულ სასამართლოში გაიგზავნა ფოსტის მეშვეობით -2009 წლის 13 ნოემბერს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივარი ფოსტას ჩააბარა გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი ვადის ფარგლებში, კერძოდ, 2009 წლის 13 ნოემბერს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მას სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა არ გაუშვია. ამდენად, არ არსებობს გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გაშვების საფუძველით შპს "...-ს" სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სხვა წინაპირობების დაცულობის საკითხზე, საკასაციო სასამართლო აუქმებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ნოემბრის განჩინებას და საქმეს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად უბრუნებს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ნოემბრის განჩინება და საქმე შპს "...-ს" სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 5. საპროცესო ვადის გასვლის შედეგები

### განჩინება

ას-1136-1400-09

21 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით სს „ბანკი ...“ სარჩელი დაკმაყოფილდა; შეწყდა 2008 წლის 20 ივნისს სესხის 21-49-00391 ხელშეკრულება სს „ბანკი ...“ და მ. ა-ოვას შორის; მ. ა-ოვას და ტ. ლ-ავას მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ დავალიანების თანხის 3288.68 აშშ დოლარის და სახ.ბაჟის 165.99 ლარის გადახდა.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ტ. ლ-ავას წარმომადგენელმა მ. მ-შვილმა და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ კანონით დადგენილი წესით და მოპასუხე ტ. ლ-ავას ოჯახის წევრს (შვილს - ი. ლ-ავას) ჩაჰბარდა 2009 წლის 13 ოქტომბერს მისამართზე ქ.სამტრედია, ... ქ.#45.

დადგენილია, რომ ტ. ლ-ავას წარმომადგენელმა სააპელაციო საჩივარი გააგზავნა სამტრედიის რაიონულ სასამართლოში ფოსტის მეშვეობით 2007 წლის 31 ოქტომბერს.

პალატამ მიიჩნია, რომ სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 6 ოქტომბრის დასაბუთებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ბოლო ვადას წარმოადგენდა 27 ოქტომბერი. ტ. ლ-ავას წარმომადგენლის მიერ სააპელაციო საჩივარი სამტრედიის რაიონულ სასამართლოში ნაცვლად 2009 წლის 27 ოქტომბრისა შეტანილი იქნა 2009 წლის 31 ოქტომბერს, ანუ სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის დარღვევით. პალატამ მიიჩნია, რომ სსსკ-ის 369-ე მუხლისა სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ნოემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ტ. ლ-ავას წარმომადგენელმა მ. მ-შვილმა.

კერძო საჩივრის ავტორების განმარტებით სააპელაციო საჩივარი შეტანილია გასაჩივრების კანონით დადგენილ ვადაში. კერძოდ 2009 წლის 28 ოქტომბერს, რასაც ადასტურებს საჩივარზე თანდართული ქვითრი.

სამტრედიის რაიონული გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა ფოსტის მეშვეობით 2009 წლის 26 ოქტომბერს სამტრედიის რაიონულ სასამართლოში იმავე დღეს ტელეფონით აცნობა მოსამართლის თანაშემწეს რომ სააპელაციო საჩივარი ფოსტით გაიგზავნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის განჩინების გაუქმებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო ტ. ლ-ავას კერძო საჩივარს და თვლის, რომ საქმეზე წარმოდგენილი კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის განჩინებით ტ. ლ-ავას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ ტ. ლ-ავას მხრიდან ადგილი ჰქონდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საპროცესო ვადების დარღვევას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის შესაბამისად სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. საქმის მასალებით დადგენილია, რომ სამტრედიის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ტ.

ლ-ავას ოჯახის წევრს ჩაჰბარდა 2009 წლის 13 ოქტომბერს შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა ამოიწურა 2009 წლის 27 ოქტომბერს, ხოლო სააპელაციო საჩივარი ფოსტის მეშვეობით გამოიგზავნა 2009 წლის 31 ოქტომბერს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. საჩივარი და საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

მითითებული ნორმიდან გამომდინარე, ტ. ლ-ავამ დაკარგა საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება, ვინაიდან მან კანონით დადგენილ ვადაში არ წარადგინა სააპელაციო საჩივარი. შესაბამისად საპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველი მ. ა-ოვას სააპელაციო საჩივარი.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას იმის თაობაზე, რომ მან სააპელაციო საჩივარი ფოსტის მეშვეობით გააგზავნა სამტრედიის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილ ვადაში, რაც დასტურდება მის მიერ კერძო საჩივარზე თანდართული ქვითრით საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან წარმოდგენილი მტკიცებულებიდან არ ირკვევა, თუ რა დანიშნულებისაა იგი, რისთვის ან ვის მიერ ხდება მისი გამოყენება, ანუ მასზე არ არის მითითებული რაიმე საიდენტიფიკაციო ნიშანი.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. შესაბამისად არ არსებობს მისი გაუქმების და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 369-ე, 63-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ტ. ლ-ავას წარმომადგენლის მ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **საპროცესო ვადის გასვლის შედეგები**

#### **განჩინება**

#ას-1170-1432-09 28 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. ჩ-ძის სარჩელი მოპასუხე მ. ქ-ძის მიმართ თანხის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა -მ. ქ-ძეს გ. ჩ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 6600 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 808 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხე მ. ქ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 27 ნოემბრის განჩინებით მ. ქ-ძის შუამდგომლობა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ არ დაკმაყოფილდა და აპელანტს დაევალა სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შესავსებად, განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარმოედგინა სახელმწიფო ბაჟის -264 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 32,32 ლარის გადახდის ქვითარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით მ. ქ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუსებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ქ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ხარვეზის შევსებულად ჩათვალა იმ საფუძველით, რომ, მართალია, მას სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უშუალოდ სასამართლოში არ წარუდგენია, მაგრამ ნამდვილად დროულად გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, რისთვისაც ხარვეზი შევსებულად უნდა ჩათვლილიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ მ. ქ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, დარჩება განუხილველად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების ასლი მ. ქ-ძეს გაეგზავნა და ჩაჰბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, 2009 წლის 2 ოქტომბერს ჩაჰბარდა დედამისს -ე. თ-შვილს. შესაბამისად, განჩინების შევსების ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60-ე-61-ე მუხლების თანახმად, იყო 2009 წლის 12 ოქტომბერი. ხოლო მ. ქ-ძემ ხარვეზი გამოასწორა 2009 წლის 16 ოქტომბერს, ანუ სასამართლოს მიერ განსაზღვრული საპროცესო მოქმედების -ხარვეზის გამოსწორების ვადის გასვლის შემდეგ.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მან ბაჟი დროულად გადაიხადა, რის გამოც სასამართლოს ხარვეზი შევსებულად უნდა ჩათვალიყო, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან სასამართლოს განჩინებით, აპელანტს დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა სასამართლოში, შესაბამისად, ის გარემოება, რომ მ. ქ-ძემ დროულად გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, არ ნიშნავს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში საპროცესო მოქმედების შესრულებას -ხარვეზის შევსებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუსებლობის გამო, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი მართებულად დატოვა განუხილველად და, შესაბამისად, არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მ. ქ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინება;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საპროცესო ვადის გასვლის შედეგები

### განჩინება

#ას-1158-1420-09

1 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

შპს "...-ის" დირექტორმა ო. ბ-მემ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა, მოპასუხედ შპს "ბათუმის სავაჭრო ბაზა" დაასახელა და მისთვის 300 385 აშშ დოლარი ეკვივალენტი ლარის დაკისრება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2009 წლის 6 ივლისს, სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო, მოპასუხის შეუამდგომლობის საფუძველზე დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღო, რომლის ძალითაც შპს "...-ის" დირექტორ ო. ბ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 5 მარტის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, შპს "...-ის" საკუთრებაში არსებულ უძრავ-მომრავ ქონებას ყადაღა მოეხსნა.

მოსარჩელემ აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე კანონით დადგენილ ვადაში საჩივარი შეიტანა და მისი გაუქმება მოითხოვა. საჩივრის ავტორის მტკიცებით, სასამართლო სხდომის შესახებ იმდენად გვიან ეცნობა, რომ დროულად გამოცხადება ვეღარ მოასწრო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის განჩინებით შპს "...-ის" დირექტორ ო. ბ-მის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და იმავე სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

2009 წლის 15 ოქტომბერს შპს "ჯორჯია მარკეტინგის" დირექტორმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას სააპელაციო საჩივრით მიმართა, დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი უცვლელად დატოვების შესახებ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის განჩინების გაუქმების მოთხოვნით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით აპელანტს სახელმწიფო ბაჟის სახით 7 000 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენა დაევა და ხარვეზის შესავსებად 10-დღიანი ვადა მიეცა.

იმავე სასამართლოს 2009 წლის 9 ნოემბრის განჩინებით შპს "...-ის" დირექტორ ო. ბ-მის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. სააპელაციო სასამართლოს მტკიცებით, მხარეს ხარვეზის განჩინება 2009 წლის 22 ოქტომბერს ჩაბარდა, შესაბამისად, ხარვეზის შევსების ვადა 1 ნოემბერს ამოიწურა, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი კი მხარეს ამ ვადაში არ წარუდგენია.

შპს "...-ის" დირექტორმა ო. ბ-მემ საქართველოს უზენაეს სასამართლოს კერძო საჩივრით მიმართა. მისი მტკიცებით, შპს "...-ის" სახელმწიფო ბაჟის გადახდის საშუალება არ გააჩნდა, რის შესახებაც სასამართლოს აცნობა და ბაჟის განაწილვადება მოითხოვა, სააპელაციო სასამართლომ კი მისი შუამდგომლობა უკანონოდ არ დააკმაყოფილა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ნოემბრის განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვა მოითხოვა.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ შპს "...-ის" დირექტორ ო. ბ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს კანონით დადგენილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალბს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით აპელანტს სახელმწიფო ბაჟის სახით 7 000 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენა დაევა და ხარვეზის შესავსებად 10-დღიანი ვადა მიეცა. საქმეში არსებული შეტყობინების ფურცლით დასტურდება, რომ შპს "...-ის" დირექტორ ო. ბ-მეს აღნიშნული განჩინება 2009 წლის 22 ოქტომბერს ჩაბარდა, შესაბამისად, მას ხარვეზის შევსების ვადა 2 ნოემბრამდე ჰქონდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

საქმიდან ირკვევა, რომ კერძო საჩივრის ავტორს ხარვეზი სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეუვსია, თუმცა სასამართლოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ შუამდგომლობით მიმართა. შუამდგომლობისათვის დართული კონვერტით დასტურდება, რომ იგი 2009 წლის 3 ნოემბერს ფოსტით გაიგზავნა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

ომისათვის, რომ სააპელაციო სასამართლოს მხარის შუამდგომლობა განეხილა, იგი საპროცესო ვადის ბოლო დღის (2009 წლის 2 ნოემბრის) 24 საათამდე უნდა ყოფილიყო სასამართლოსათვის წარდგენილი, ან ფოსტისათვის ჩაბარებული. განსახილველ შემთხვევაში კი, კერძო საჩივრის ავტორმა შუამდგომლობა სასამართლოს საპროცესო ვადის ამოწურვის შემდეგ წარუდგინა, ამდენად, სააპელაციო სასამართლო სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ აპელანტის მოთხოვნაზე ვეღარ იმსჯელებდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება კანონიერი და დასაბუთებულია, შესაბამისად, კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 284-ე, 368-ე, 63-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

შპს "...-ის" დირექტორ ო. ბ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ნოემბრის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **საპროცესო ვადის გასვლის შედეგები**

#### **განჩინება**

#ას-1278-1535-09

1 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 23 მარტს მ. გ-შვილის წარმომადგენელმა თ. ჯ-მემ თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელის წინასწარი უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა, თ. მ-იასა და ნ. ბ-ვიჩის კუთვნილი ქონებისათვის ყადაღის დადების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 აპრილის განჩინებით მ. გ-შვილის წარმომადგენელ თ. ჯ-მის განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზ-



რუნველყოფის შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო ქ. თბილისში, ... ქუჩა #19-ში მდებარე უძრავი ქონების ნ. ბ-ვიჩსა და თ. მ-იას სახელზე რეგისტრირებულ 46,3%-იან წილს, ასევე, ქ. თბილისში, ..... ქუჩა #8-ში მდებარე #10 ბინის თ. მ-იას სახელზე რეგისტრირებულ 65 კვ.მ-ს.

2009 წლის 8 აპრილს მ. გ-შვილმა სარჩელი აღძრა, მოპასუხეებად ნ. ბ-ვიჩი და თ. მ-ია დაასახელა. მოსარჩელემ მოპასუხეებს შორის გაფორმებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ქ. თბილისში, ..... მე-2 შესახვევის #5-ში მდებარე საცხოვრებელი 56 კვ.მ-ის მისთვის გადაცემა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. გ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა და იმავე სასამართლოს 2009 2 აპრილის განჩინებით დადგენილი სარჩელის უზურნველყოფის ღონისძიება გაუქმდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მ. გ-შვილმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 დეკემბრის განჩინებით მ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა, იმ საფუძველით, რომ აპელანტს გაშვებული ჰქონდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი ვადა.

2009 წლის 24 დეკემბერს მ. გ-შვილის წარმომადგენელმა თ. ჯ-ძემ საქართველოს უზენაეს სასამართლოს კერძო საჩივრით მიმართა. მისი მტკიცებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მ. გ-შვილს ჩაჰბარდა არა 2009 წლის 11 ნოემბერს არამედ 14 ნოემბერს, შესაბამისად 14-დღიანი ვადა გაშვებული არ ყოფილა. 11 ნოემბერს მას ჩაჰბარდა გზავნილი, მაგრამ არა სასამართლოს გადაწყვეტილება, შეტყობინების ფურცელზე კი მ. გ-შვილის ხელმოწერა გაყალბებული იყო.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ მ. გ-შვილის წარმომადგენელ თ. ჯ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეს 2009 წლის 14 ნოემბერს ჩაჰბარდა.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება მხარეებს 6 ნოემბერს გაეგზავნათ. საქმეში არსებული გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მ. გ-შვილმა 11 ნოემბერს პირადად ჩაიბარა. ამასთან, შეტყობინების ბარათზე ნათლად აღნიშნული, თუ რა დოკუმენტები გადაეცა მხარეს, კერძოდ, მასზე მითითებულია, რომ მხარემ #2/2684-09 საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების ასლი ჩაიბარა, ასევე, აღნიშნულია გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლე და გზავნილის გაგზავნის თარიღი, ამდენად, კერძო საჩივრის ავტორის მტკიცება, რომ მ. გ-შვილმა მხოლოდ გზავნილი ჩაიბარა 11 ნოემბერს, გადაწყვეტილების ასლის გარეშე, დაუსაბუთებელია.

საკასაციო პალატა მხარის ვერც იმ მოსაზრებას გაიზიარებს, რომ შეტყობინების ბარათი გაყალბებულია და ხელმოწერა მას არ ეკუთვნის. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებაზე: ერთსა და იმავე საჩივარში მხარე ჯერ ამტკიცებს, რომ მ. გ-შვილმა 2009 წლის 11 ნოემბერს სასამართლოს გზავნილი ჩაიბარა, მაგრამ გადაწყვეტილების ასლი კონვერტში არ იდო, ხოლო შემდეგ ხელმოწერის სიყალბის თაობაზე აცხადებს. გარდა ამისა, იმის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, რომ ბარათზე არსებული ხელმოწერა მ. გ-შვილის არ ეკუთვნის, კერძო საჩივრის ავტორს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია.

რაც შეეხება კერძო საჩივრისათვის თანდართულ შპს "...-ს" წარმომადგენელ ნ. ღ-შვილის მიერ გაცემულ ცნობას, რომლის თანახმადაც მ. გ-შვილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გზავნილი 2009 წლის 14 ნოემბერს ჩაბარდა, საკასაციო პალატა მას შეტყობინების ბარათის სიყალბის დამადასტურებელ საკმარის მტკიცებულებად ვერ მიიჩნევს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ვინაიდან მ. გ-შვილს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება 2009 წლის 11 ნოემბერს ჩაბარდა, საპროცესო ვადის დენა სწორედ ამ მომენტიდან დაიწყო და 25 ნოემბერს ამოიწურა. სააპელაციო საჩივარი კი 2009 წლის 27 ნოემბერსაა შეტანილი, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემომითითებული მუხლის საფუძველზე, იგი განუხილველად უნდა დაეტოვებინა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება კანონიერი და დასაბუთებულია, შესაბამისად, კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 284-ე, 369-ე, 63-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მ. გ-შვილის წარმომადგენელ თ. ჯ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 დეკემბრის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **საპროცესო ვადის გასვლის შედეგები**

#### **განჩინება**

#ას-76-73-2010

15 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი**

**სარჩელის დავის საგანი:** თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

**კერძო საჩივრის დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 29 ივლისს ბათუმის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა სს "საქართველოს საზღვაო ბანკმა" მოპასუხე ჟ. ს-ძის მიმართ თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის მოთხოვნით.

სარჩელში აღნიშნულია, რომ სს "საქართველოს საზღვაო ბანკსა" და ჟ. ს-ძეს შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის თანახმად ჟ. ს-ძეზე გაიცა 19 000 აშშ დოლარი 2018 წლის 1 ივლისამდე, ყოველთვიურად 1 პროცენტის დარიცხვით. აღნიშნული საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად 2003 წლის 11 ივლისს იპოთეკით დაიტვირთა ჟ. ს-ძის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინა. მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არაჯეროვნად შესრულდა, რის გამოც სარჩელის აღძვრის დროისათვის დავალიანება შეადგენდა 26 177 აშშ დოლარს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" სარჩელი დაკმაყოფილდა - მოპასუხე ჟ. ს-ძეს სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების -16 801 აშშ დოლარისა და გადასახდელი პროცენტის - 9736 აშშ დოლარის გადახდა. თანხის დასაფარად დადგინდა იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია. სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებობდა საკრედიტო და იპოთეკის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა, საქმის მასალებით დასტურდებოდა სესხის ძირითადი თანხის -16801 აშშ დოლარისა და გადასახდელი პროცენტის -9736 აშშ დოლარის ოდენობით დავალიანების არსებობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მსესხებელს ფინანსური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში უფლება ჰქონდა, ვადაზე ადრე მოეთხოვა ვალდებულების შესრულება და შესაბამისად არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ჟ. ს-ძემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

მოითხოვა. აპელანტის მითითებით, საკრედიტო თანხების პირველი გადახდა უნდა მომხდარიყო 2003 წლის 31 ივლისიდან ყოველთვიურად, კრედიტის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის გადახდით. აპელანტის მოსაზრებით, მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2003 წლის 31 ივლისს, საიდანაც სარჩელის შეტანამდე გასული იყო 5 წელი და 3 თვე, შესაბამისად, სარჩელი იყო ხანდაზმული.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 დეკემბრის განჩინებით ქ. ს-ძის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და აპელანტს დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში 1061 აშშ დოლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 დეკემბრის განჩინებით ქ. ს-ძის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ. ს-ძეს ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღით და განემარტა, რომ, თუ აღნიშნულ ვადაში ხარვეზს არ შეავსებდა, სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი. სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ განჩინების გზავნილი ჩაჰბარდა ქ. ს-ძის წარმომადგენელ რ. ფ-ძის ოჯახის წევრს 2009 წლის 14 დეკემბერს. ხარვეზის შევსების ვადა ამოიწურა 21 დეკემბერს, ხოლო ხარვეზი არ იქნა შევსებული დადგენილ ვადაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 28 დეკემბერს განცხადებით მიმართა ქ. ს-ძის წარმომადგენელმა რ. ფ-ძემ და მიუთითა, რომ ვერ შეძლო მარწმუნებელთან დაკავშირება და მოითხოვა ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელება 16 დღით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 25 დეკემბრის განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ კერძო საჩივრით გაასაჩივრა ქ. ს-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ აპელანტს არ ჰქონდა მატერიალური საშუალება, გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. ს-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 დეკემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 დეკემბრის განჩინებით ქ. ს-ძის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი.

გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ ქ. ს-ძის წარმომადგენელ რ. ფ-ძისათვის გაგზავნილი გზავნილი მის მიერ მითითებულ მისამართზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ჩაიბარა მამამისმა 2009 წლის 14 დეკემბერს. სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში აპელანტს ხარვეზი არ შეუვსია და არც ხარვეზის შეუვსებლობის საპატიო მიზეზის შესახებ უცნობებია სასამართლოსთვის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60-ე-61-ე მუხლების შესაბამისად, ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების 7-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2009 წლის 18 სექტემბერს და დასრულდა 24 სექტემბერს. აღნიშნულ ვადაში სააპელაციო საჩივრის დადგენილი ხარვეზი აპელანტს არ შეუვსია, ხოლო აპელანტის წარმომადგენლის მიერ განცხადება ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ სასამართლოს წარედგინა საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ქ. ს-ძის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

ჟ. ს-ძის (წარმომადგენელი რ. ფ-ძე) კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 დეკემბრის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საპროცესო ვადის გასვლის შედეგები**

**განჩინება**

#ას-86-81-2010 25 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება და ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „...-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ინდ.მეწარმე „მ. მ-შვილს“ შპს „...-ის“ სასარგებლოდ, გადასახდელად დაეკისრა 36 688 ლარი და 78 თეთრი. ასევე დაეკისრა პირგასამტეხლოს სახით დავალიანების 36 688 ლარის და 78 თეთრის 0,07% გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სარჩელის აღძვრის მომენტიდან ძირითადი დავალიანების დაფარვამდე. ინდ.მეწარმე „მ. მ-შვილს“ შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ინდ.მეწარმე „მ. მ-შვილმა“ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, აპელანტს განესაზღვრა საპროცესო ვადა 10 დღე და დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდა ან უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენა, რომლებიც დაადასტურებდა მის მძიმე ქონებრივ მდგომარეობას და სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას.

პალატის მითითებით, ხარვეზის შესახებ განჩინება აპელანტის წარმომადგენელს ნ. გ-ძეს ჩაჰბარდა პირადად, 2009 წლის 24 დეკემბერს.

პალატის განმარტებით, საქმეში წარმოდგენილია შეტყობინების ბარათი გზავნილის ჩაბარების შესახებ, საიდანაც დასტურდება, რომ 2009 წლის 22 დეკემბერს აპელანტმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 დეკემბრის ხარვეზის შესახებ განჩინება არ ჩაიბარა. აღნიშნულიდან გამომდინარე პალატამ ჩათვალა, რომ ხარვეზის შესახებ განჩინება ინდ.მეწარმე „მ. მ-შვილს“ ჩაჰბარდა 2009 წლის 22 დეკემბერს (როცა აპელანტმა უარი განაცხადა გზავნილის ჩაბარებაზე). შესაბამისად. ვადის ათვლა დაიწყო 2009 წლის 23 დეკემბრიდან. მითითებული ვადის ბოლო დღეს წარმოადგენდა 2010 წლის 1 იანვარი, რომელიც დაემთხვა დასვენების დღეს.

პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მეორე ნაწილით თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე. კონკრეტულ შემთხვევაში ვადის დამთავრების მომდევნო პირველი სამუშაო დღე იყო 2010 წლის 4 იანვარი, ანუ ხარვეზის შევსების უფლებამოსილება აპელანტს გააჩნდა 2010 წლის 4 იანვრის ჩათვლით.

პალატის მითითებით, საქმის მასალებით დასტურდება, რომ აპელანტმა სასამართლოს მიერ დაწესებულ ვადაში არ გამოასწორა ხარვეზი, არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი და არც მძიმე ქონებრივი მდგომარეობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები წარმოუდგენია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 იანვრის განჩინებით ინდ.მეწარმე "მ. მ-შვილის" სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ინდ.მეწარმე "მ. მ-შვილმა"

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო საჩივარს თან დაურთო ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან და ასევე დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა მისი შვილის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობას. შესაბამისად კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, სასამართლოს აღნიშნული უნდა მიეღო, როგორც მისი ოჯახის მძიმე ქონებრივი მდგომარეობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სასამართლოს არ უმსჯელია მის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე თუ რამდენად წარმოადგენს აღნიშნული ოჯახის მძიმე სოციალური მდგომარეობის დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულების კატეგორიას და არც მიუთითებია, თუ კონკრეტულად რა დოკუმენტი უნდა წარედგინა სასამართლოსათვის, რათა განთავისუფლებულიყო სახელმწიფო ბაჟის გადასახადისაგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო საქმეზე წარმოდგენილ კერძო საჩივარს და მიიჩნევს, რომ მ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 იანვრის განჩინებით ინდ.მეწარმე "მ. მ-შვილის" სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარზე არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს, თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება და დარჩება განუხილველი.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ინდ.მეწარმე "მ. მ-შვილს" განესაზღვრა -10-დღიანი ვადა სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად ან უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენისთვის, რომლებიც დაადასტურებდა მის მძიმე ქონებრივ მდგომარეობას და სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას. საქმის მასალებიდან ასევე ირკვევა, რომ დანიშნულ ვადაში მხარემ ხარვეზი არ შეავსო.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ სააპელაციო საჩივარზე მის მიერ დართული სამედიცინო დაწესებულების ცნობა და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა მისი შვილის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობას, სასამართლოს უნდა მიეღო, როგორც მისი ოჯახის მძიმე ქონებრივი მდგომარეობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებით.

შესაბამისად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარის მიერ მითითებული გარემოება და აღნიშნულის დასადასტურებელად წარმოდგენილი დოკუმენტი არ წარმოადგენს იმ მტკიცებულებას, რომელიც მხარის მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას დაადასტურებდა. ის ფაქტი, რომ აპელანტის შვილი შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზით ექვემდებარება მკურნალობას, არ წარმოადგენდა აპელანტის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, მან დაკარგა შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება, ვინაიდან მხარემ დადგინდა ვადაში არ შეავსო ხარვეზი.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ინ.მეწარმე "მ. მ-შვილის" კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს მისი უსაფუძვლობის გამო.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

ინდ.მეწარმე "მ. მ-შვილის" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 იანვრის განჩინება.  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საპროცესო ვადის გასვლის შედეგები**

**განჩინება**

#ას-351-327-10 10 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

**დავის საგანი:** ქონების თანამესაკუთრედ ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

1999 წლის 20 აპრილს მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა თ. ჯ-ერმა და მოითხოვა გ. ნ-ძის სახელზე რიცხული უძრავი ქონების, როგორც ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილის, თანამესაკუთრედ ცნობა.

მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 6 მაისის განჩინებით გაუქმდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო -ქ.თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 30 დეკემბრის #2\1754 გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 1999 წლის 11 თებერვლის #2\239 გადაწყვეტილება გ. გ.-ის ძე ნ-ძის სარჩელების გამო მესაკუთრედ ცნობისა და საერთო წილადი საკუთრების სახლში საზიარო უფლების ნატურით გაყოფის შესახებ, აღდგენილ იქნა პირვანდელი მდგომარეობა, ამ გადაწყვეტილებებით გ. ნ-ძის სახელზე აღრიცხული სახლის 2\4, მდებარე ქ.თბილისში, ... ქ.#32 აღირიცხა კვლავ ი. მ-ს ასულ კ-ს სახელზე, ხოლო საქმეები გ. ნ-ძის სარჩელის გამო და თ. ვ-ის ასულ ჯ-ერის სარჩელის გამო დარჩა განუხილველი. განჩინება შესასრულებლად გადაეგზავნა ქ.თბილისის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მათ ჩანაწერებში ცვლილებების შესატანად.

2009 წლის 30 ნოემბერს აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა გ. ნ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 4 მარტის განჩინებით გ. ნ-ძის კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ გ. ნ-ძის მიერ გაშვებულია 1999 წლის 6 მაისის განჩინების გასაჩივრების ვადა. საქმის მასალებით დგინდება, რომ გ.ნ-ძეს ეცნობა 1999 წლის 6 მაისის სხდომის თაობაზე და უწყება ჩაჰბარდა პირადად. გ.ნ-ძე არ გამოცხადდა სხდომაზე და არ განახორციელა თავისი საპროცესო უფლებაუნარიანობა. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი, 2000 წლის 11 აპრილის განცხადებაზე დაფიქსირებულია გ.ნ-ძის ხელმოწერა. აღნიშნული განცხადებით ქ.თბილისში, ... ქ.32-ში მცხოვრები განმცხადებლები: ტ-ძე, ნ-ძე, ც-ავა და გ-ძე შუამდგომლობენ ყადაღის მოხსნას. ასევე, კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 12 აპრილის განჩინებით დგინდება, რომ სასამართლომ განიხილა ზ.ტ-ძის, გ.ნ-ძის, ლ.გ-ძის და ც-ავას განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ და დააკმაყოფილა განმცხადებელთა შუამდგომლობა. ასევე, თ. ჯ-ერის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი ტექ.ბიუროს არქივიდან ამოღებული მოხსენებითი ბარათით დგინდება, რომ გ.ნ-ძეს 2000 წლის 24 მაისს #5\280 განცხადებით მიმართა ტექნიკურს, რომლითაც მოითხოვა ცვლილების შეტანა ჩანაწერებში 1999 წლის 6 მაისის გადაწყვეტილების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ გ. ნ-ძისათვის ცნობილი იყო სადავო განჩინების თაობაზე. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა კერძო საჩივრის ავტორის პოზიცია იმის თაობა-

ზე, რომ იმ პერიოდისათვის გ. ნ-მე იმყოფებოდა რუსეთში და ვერ წარადგენდა ზემოთ მითითებულ განცხადებებს.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა გ. ნ-მემ. მან მიუთითა, რომ 1999 წლის 6 მაისის მას არ ჩაჰბარებია უწყება სასამართლო სხდომის შესახებ. საქმეში წარმოდგენილ უწყებაში გარკვევით იკითხება, რომ ხელმოწერა არ ეკუთვნის გ. ნ-მეს, ე.ი. ხელმოწერა გაყალბებული კი არ არის, არამედ სხვისია (სხვა სახელი და გვარია მითითებული). მისთვის აღნიშნული განჩინების შესახებ ცნობილი გახდა 2009 წლის 19 ნოემბერს. სააპელაციო სასამართლომ კერძო საჩივარი დაუშვებლად ცნო იმ მოტივით, რომ გასულია განჩინების გასაჩივრების ვადა, რაც არასწორია.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ძველი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ უკავშირებდა გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლას გადაწყვეტილების ჩაბარებას. იქვე კი იყენებს 220-ე მუხლს, რომლის თანახმად, სასამართლო ვალდებული იყო, გამოეხატებინა მხარისათვის ჩაბარებინა გადაწყვეტილება 3 დღის განმავლობაში გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან. დაუშვებელია მხარეს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა აეთვალოს გადაწყვეტილების მიღების დღიდან ამ გადაწყვეტილების ჩაუბარებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ გ. ნ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი კერძო საჩივარი თავისი შინაარსით არის არა კერძო საჩივარი, არამედ –სააპელაციო საჩივარი. მართალია, სააპელაციო სასამართლომ ის განიხილა როგორც კერძო საჩივარი, რაც არასწორია, მაგრამ იგი შედეგზე ზეგავლენას ვერ მოახდენს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას სრულად ეთანხმება საკასაციო პალატა.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 6 მაისის განჩინებით გაუქმდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქ.თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 30 დეკემბრის #2\1754 გადაწყვეტილება და ამავე რაიონის სასამართლოს 1999 წლის 11 თებერვლის #2\239 გადაწყვეტილება გ. გ.ის ძე ნ-მის სარჩელების გამო მესაკუთრედ ცნობისა და საერთო წილადი საკუთრების სახლში საზიარო უფლების ნატურით გაყოფის შესახებ, აღდგენილ იქნა პირვანდელი მდგომარეობა, ამ გადაწყვეტილებებით გ. ნ-მის სახელზე აღრიცხული სახლის 2\4 მდებარე ქ.თბილისში, ... ქ.#32 აღირიცხა კვლავ ი. მ-ს ასულ 3-ს სახელზე, ხოლო საქმეები გ. ნ-მის სარჩელის გამო და თ. ვ-ის ასულ ჯ-ერის სარჩელის გამო დარჩა განუხილველი. განჩინება შესასრულებლად გადაეგზავნა ქ.თბილისის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მათ ჩანაწერებში ცვლილებების შესატანად.

2009 წლის 30 ნოემბერს აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა გ. ნ-მემ და მოითხოვა აღნიშნული განჩინების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 4 მარტის განჩინებით გ. ნ-მის კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გ. ნ-მის მიერ გაშვებულია 1999 წლის 6 მაისის განჩინების გასაჩივრების ვადა. როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, გ.ნ-მეს ეცნობა 1999 წლის 6 მაისის სხდომის თაობაზე და უწყება ჩაჰბარდა პირადად. გ.ნ-მე არ გამოცხადდა სხდომაზე. საქმეში წარმოდგენილი, 2000 წლის 11 აპრილის განცხადებაზე დაფიქსირებულია გ.ნ-მის ხელმოწერა. აღნიშნული განცხადებით ქ.თბილისში, ... ქ.32-ში მცხოვრები განმცხადებლები: ტ-მე, ნ-მე, ც-ავა და გ-მე შუამდგომლობენ ყადაღის მოხსნას. ასევე, კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 12 აპრილის განჩინებით დგინდება, რომ სასამართლომ განიხილა ზ.ტ-მის, გ.ნ-მის, ლ.გ-მის და ც-ავას განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ და დააკმაყოფილა განმცხადებელთა შუამდგომლობა. ასევე, თ. ჯ-ერის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი ტექ.ბიუროს არქივიდან ამოღებული მოხსენებითი ბარათით დგინდება, რომ გ.ნ-მემ 2000 წლის 24 მაისს #ნ\280 განცხადებით მიმართა ტექნიკურს და მოითხოვა ცვლილების შეტანა ჩანაწერებში 1999 წლის 6 მაისის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ზემოთ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. ნ-მისათვის ცნობილი იყო სადავო განჩინების თაობაზე და მას გაშვებული აქვს განჩინების გასაჩივრების ვადა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 4 მარტის განჩინება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

გ. ნ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 4 მარტის განჩინება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საპროცესო ვადის გასვლის შედეგები**

**განჩინება**

#ას-462-433-2010 14 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

შპს "...-მ" სარჩელი აღძრა სასამართლოში სს "...-ს" მიმართ სარეკლამო მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების -16 734,19 ლარის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2008 წელს მხარეთა შორის დაიდო სარეკლამო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მოსარჩელემ მოპასუხეს გაუწია 16 734,19 ლარის ღირებულების მომსახურება. არაერთგზის მიმართვის მიუხედავად მოპასუხეს აღნიშნული თანხა შპს-სათვის არ აუნაზღაურებია.

სს "...-მ" სარჩელი ნაწილობრივ -7425 ლარის ღირებულების მომსახურების გაწევის ნაწილში ცნო და განმარტა, რომ შპს "...-ს" მოთხოვნა 9309,19 ლარის დაკისრების თაობაზე დაუსაბუთებელია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს "...-ს" სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -სს "...-ს" შპს "...-ს" სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 7425 ლარი, ხოლო 9309,19 ლარის გადახდის დაკისრებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს "...-მ" გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 აპრილის განჩინებით შპს "...-ს" სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2010 წლის 29 მარტის განჩინებით შპს "...-ს" სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, აღნიშნული განჩინება აპელანტს გაეგზავნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და, სასამართლოში დაბრუნებული საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათის თანახმად, 2010 წლის 31 მარტს ჩაბარდა ამავე კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირს -შპს "...-ს" დირექტორ გ. ჯ-შვილს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ხარვეზის შევსების 7-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2010 წლის 1 აპრილიდან და ამოიწურა 2010 წლის 7 აპრილს. მოცემულ შემთხვევაში შპს "...-ს" წარმომადგენელმა, მ. ს-შვილმა სააპელაციო სასამართლოს ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მიმართა პალატის 2010 წლის 29 მარტის განჩინებით დადგენილი ხარვეზის შევსების ვადის გასვლის შემდეგ, კერძოდ, 2010 წლის 13 აპრილს. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლით, 368-ე მუხლის მე-5 ნაწილით, 374-ე მუხლით და მიიჩნია, რომ აპელანტმა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ გამოასწორა, რაც მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია და შპს "...-ს" უნდა დაუბრუნდეს მის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -432,36 ლარი.



სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს "...-მ" შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის სააპელაციო საჩივრის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგი საფუძვლებით: დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ აპელანტს პალატის მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია და სახელმწიფო ბაჟი არ გადაუხდია. სასამართლოს მიერ განსაზღვრული ხარვეზით მხარეს ევალუბოდა კონკრეტულ ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდა და არა მისი წარდგენა სააპელაციო პალატისათვის. აღნიშნული ხარვეზი აპელანტმა გამოსწორა და სახელმწიფო ბაჟი გადაიხდა ვადაში -2010 წლის 6 აპრილს, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 მარტის განჩინებით შპს "...-ს" სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა ამ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღეში სახელმწიფო ბაჟის - 432,36 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის სააპელაციო სასამართლოსათვის წარდგენა.

საქმეში წარმოდგენილი შპს "...-ს" შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ სასამართლო გზავნილი 2010 წლის 31 მარტს ჩაჰბარდა შპს "...-ს" დირექტორ გ. ჯ-შვილს.

აპელანტმა, ხარვეზის შესვების მიზნით სასამართლოს მიმართა და სახელმწიფო ბაჟის ქვითარი წარუდგინა 2010 წლის 13 აპრილს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "...-ს" კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველად.

ამასთან, ამავე კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. ამდენად, მოცემული ნორმის გამოყენების წინაპირობაა მხარის მიერ საპროცესო მოქმედების ვადის გაშვება.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განჩინებით აპელანტ შპს "...-ს" ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვრა 7-დღიანი ვადა, რომელიც აითვლება 2010 წლის 31 მარტის, ხარვეზის თაობაზე განჩინების მხარისათვის ჩაბარების შემდგომი დღიდან -2010 წლის 1 აპრილიდან და იწურება 2010 წლის 7 აპრილს.

საქმის მასალებით დგინდება, რომ ზემოხსენებულ პერიოდში შპს "...-ს" ხარვეზის გამოსწორების მიზნით, სასამართლოსათვის არ მიუმართეს, რის გამოც გასაჩივრებული განჩინებით მისი სააპელაციო საჩივარი მართებულად დარჩა განუხილველად.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის არგუმენტს, რომ ხარვეზს წარმოადგენდა რა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდა, მითითებული ვადის დაცვით, 2010 წლის 6 აპრილს აპელანტის მიერ თანხის ბანკში შეტანა ხარვეზის გამოსწორების საფუძველს წარმოადგენდა, ვინაიდან სააპელაციო პალატის 2010 წლის 29 მარტის განჩინებით აპელანტს გასაგებად განემარტა, რომ მას 7 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟი არა მარტო უნდა გადაეხადა, არამედ აღნიშნულის დამადასტურებელი ქვითარი წარედგინა სასამართლოსათვის, რითაც იგი ხარვეზის გამოსწორების ფაქტს დაადასტურებდა.

მხარემ უგულებელყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 მარტის განჩინების მე-3 პუნქტის აღნიშნული მოთხოვნა, რის გამოც ხარვეზი მის მიერ სრულად გამოსწორებულად ვერ ჩაითვლება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

## და ა დ გ ი ნ ა :

შპს "...-ს" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.  
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### საპროცესო ვადის გასვლის შედეგები

#### განჩინება

ას-607-569-2010

14 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. სულხანიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 13 ოქტომბერს შპს "...-მა" ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის იჯარით აღებულ ნივთზე გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურების სახით 59 277 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით შპს "...-ის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება შპს "...-ის" დირექტორმა თ. შ-იამ სააპელაციო წესით გაასაჩივრა და მისი გაუქმება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 16 აპრილის განჩინებით შპს "...-ის" სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მხარეებს კანონით დადგენილი წესით გაეგზავნათ და შპს "...-ის" დირექტორ თ. შ-იას 2010 წლის 11 მარტს ჩაბარდა, სააპელაციო საჩივარი კი ფოსტის მეშვეობით 1 აპრილს იქნა გაგზავნილი, შესაბამისად, აპელანტმა დაარღვია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი 14-დღიანი ვადა.

შპს "...-ის" დირექტორმა თ. შ-იამ სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მხარის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ საპროცესო ვადა გაუშვა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შპს "...-ს" კანონით დადგენილი წესით არ ჩაჰბარებია. აღნიშნული საზოგადოება კინოთეატრ "ამირანის" შენობაშია განთავსებული, სადაც სხვა ორგანიზაციებიც ფუნქციონირებს, უპირველეს ყოვლისა, თავად კინოთეატრის ადმინისტრაცია. ამ მისამართზე გაგზავნილი სასამართლოს გადაწყვეტილება კერძო დაცვის თანამშრომელმა ჩაიბარა, რომელიც არც შპს "...-ის" თანამშრომელი იყო და არც მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი. გადაწყვეტილება თავად მხარეს გაცილებით გვიან გადაეცა, შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა 14-დღიანი ვადის ფარგლებში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ივნისის განჩინებით შპს "...-ის" დირექტორ თ. შ-იას კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ შპს "...-ის" დირექტორ თ. შ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული



თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 მარტის განჩინებით მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სააპელაციო საჩივარზე შეწყდა წარმოება.

მხარეები, რომლებიც ესწრებოდნენ სასამართლო სხდომას უარი განაცხადეს დასაბუთებულ განჩინებაზე და მის გასაჩივრებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ე. ქ-ძის წარმომადგენელმა ლ. ც-შვილმა და მოითხოვა სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 12 აპრილის განჩინებით ე. ქ-ძის წარმომადგენელ ლ. ც-შვილის განცხადება დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ 2010 წლის 18 მარტის განჩინებაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით აპელანტს შეეძლო, სასამართლოსათვის მიემართა განჩინების გამოცხადებიდან 7 დღის ვადაში, ანუ 2010 წლის 25 მარტის ჩათვლით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი განცხადება არ შეიძლება დაშვებულ იქნას განსახილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ე. ქ-ძემ. მან აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის საქმე თავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში დაასრულა მორიგებით, ხოლო მეორე სასარჩელო მოთხოვნაზე არ უმსჯელია. სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 18 მარტის განჩინებით მას გადაეცა 26 მარტს და მაშინ შეიტყო, რომ სასამართლოს არ უმსჯელია სასამართლო ხარჯების შესახებ.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ე. ქ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დამატებითი გადაწყვეტილების საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 მარტის განჩინებით მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სააპელაციო საჩივარზე შეწყდა წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 1 აპრილს განცხადებით მიმართა ე. ქ-ძის წარმომადგენელმა ლ. ც-შვილმა და მოითხოვა სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეები, რომლებიც ესწრებოდნენ სასამართლო სხდომას უარი განაცხადეს დასაბუთებულ განჩინებაზე და მის გასაჩივრებაზე, სწორედ ამიტომაც გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო განჩინების გამოტანის დღიდან.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ე. ქ-ძეს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით შეეძლო სასამართლოსათვის მიემართა 2010 წლის 25 მარტის ჩათვლით, კერძოდ, განჩინების გამოცხადებიდან -2010 წლის 18 მარტიდან 7 დღის ვადაში, მან კი განცხადება შეიტანა 2010 წლის 1 აპრილს, ანუ 7-დღიანი ვადის დარღვევით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 12 აპრილის განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ე. ქ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 12 აპრილის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საპროცესო ვადის გასვლის შედეგები

### განჩინება

#ას-505-474-10

15 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, ხელშეშლის აღკვეთა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 15 ივლისს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა სს „...-მ“, მოპასუხედ დაასახელა სს „...“ და მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან სს „...-ს“ კუთვნილი ქონების გამოთხოვა და ამ მიზნით ყოფილი მოიჯარის მხრიდან მესაკუთრისათვის ქონების დაბრუნებაზე ხელშეშლის აკრძალვა მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა -სს „...-დან“, სს „...-ს“ სასარგებლოდ გამოითხოვილ იქნა 10 ცალი „ჩარტერის“ წარმოების და 1 ცალი „ვაუმექს“ წარმოების კონდიციონერი, 1 ცალი ძაბვის გამმართველი, ზღუდარები, ფარდა ჟალუზები და 29.06.07 ხელშეკრულების დანართში ჩამოთვლილი სხვა ქონება; ამ მიზნით სს „...-ს“ აკრძალა მესაკუთრისათვის ქონების გამოტანის ხელშეშლა; სს „...-ს“, სს „...-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა 120 ლარის გადახდა.

დასახელებულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა სს „...-ს“ დირექტორმა დ. დ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაიგზავნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ დაადგინა, რომ სააპელაციო საჩივარი სასამართლოში შევიდა ხარვეზით, კერძოდ, იგი წარმოდგენილი არ იყო ნაბეჭდი სახით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებულ ფორმის ახალი ნიმუშის შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი სათანადო რაოდენობით, ასევე, არ იყო წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის - 150 ლარის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება.

აღნიშნული ხარვეზის შესავსებად აპელანტს, 2010 წლის 12 თებერვლის განჩინებით მიეცა ვადა 5 დღე განჩინების ასლის ჩაბარებიდან და განემარტა, რომ, თუ დანიშნულ ვადაში ხარვეზს არ შეავსებდა, სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი.

2010 წლის 4 მარტს, სასამართლოს განცხადებით მიმართა აპელანტმა, წარმოადგინა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ახალი ნიმუშის შესაბამისად შედგენილი სააპელაციო საჩივარი და სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 10 მარტის განჩინებით სს „...-ის“ შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და აპელანტს გაუგრძელდა ამავე სასამართლოს 2010 წლის 12 თებერვლის განჩინებით, ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადა განჩინების ასლის გადაცემიდან 5 დღით. მასვე განემარტა, თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსებოდა, სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი.

ხარვეზის შესახებ განჩინების ასლი აპელანტს გაეგზავნა და ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით; მიუხედავად აღნიშნულისა, ხარვეზი არ შევსებულა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

პალატამ დადგენილია, რომ სააპელაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შევიდა ხარვეზით და ხარვეზის შესავსებად აპელანტს განესაზღვრა ვადა 5 დღე განჩინების ასლის ჩაბარებიდან.

დადგენილია, რომ აპელანტის მიერ ხარვეზი ნაწილობრივ იქნა შევსებული, რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 10 მარტის განჩინებით, სს „...-ს“ გაუგრძელდა, ამავე სასამართლოს 2010 წლის 12 თებერვლის განჩინებით, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენისათვის დადგენილი ვადა. აღნიშნული განჩინება 2010 წლის 10 მარტს პირადად ჩაჰბარდა სს „...-ის“ დირექტორს დ. დ-შვილს, მას ხარვეზის შევსებისათვის ვადა ჰქონდა 2010 წლის 16 მარტამდე, რაც არ შეუვსია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის განჩინება

სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ კერძო საჩივრით გაასაჩივრა სს „...-ის“ დირექტორმა დ. დ-შვილმა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის განჩინებით სს „...-ის“ სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი. მან სასამართლოს წინაშე არაერთხელ განაცხადა, რომ სს „...-ის“ საანგარიშსწორებო ანგარიშები დაყადაღებულია, მათ ადევთ ინკასო, ასევე ერთ წელზე მეტია არანაირი შემოსავალი არ აქვს, იმიტომ, რომ არ აწარმოებს სამეწარმეო საქმიანობას გაუთავებელი და დაუსრულებელი სასამართლო დავებიდან გამომდინარე. კერძო საჩივრის ავტორმა სს „...-მა“ მოითხოვა ბაჟის გადახდის გადავადება, რაც უსაფუძვლოდ არ იქნა დაკმაყოფილებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ. კანონის მოთხოვნათა აღნიშნული დარღვევა გახდა იმის საფუძველი, რომ სს „...-ის“ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, რამაც შელახა მხარისათვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის განჩინების გაუქმებასა და საქმის განსახილველად დაბრუნებას იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო წარმოდგენილ კერძო საჩივარს, საქმის მასალებს, და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 12 თებერვლის განჩინებით მიეცა ვადა 5 დღე განჩინების ასლის ჩაბარებიდან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 19 მარტის განჩინებით სს „...-ის“ შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და სასამართლოს 2010 წლის 12 თებერვლის განჩინებით აპელანტს გაუგრძელდა ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადა.

ხარვეზის შესახებ განჩინების ასლი აპელანტს გაეგზავნა და ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით, რაც დასტურდება საქმეში არსებული საფოსტო შეტყობინების ბარათით, თუმცა, მიუხედავად ამისა, ხარვეზი არ შეუვსია.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველი სააპელაციო საჩივარი, ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს, ხოლო, ამავე კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე და საქმეზე დადგენილი გარემოებების შესაბამისად, სს „...-ის“ მხრიდან ხარვეზის დროულად შეუვსებლობა წარმოადგენდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სამართლებრივ საფუძველს.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას, რომ მან სასამართლოს წინაშე არაერთხელ განაცხადა, რომ სს „...-ის“ საანგარიშსწორებო ანგარიშები დაყადაღებულია, მათ ადევთ ინკასო, ასევე ერთ წელზე მეტია არანაირი შემოსავალი არ აქვს, იმიტომ, რომ არ აწარმოებს სამეწარმეო საქმიანობას გაუთავებელი და დაუსრულებელი სასამართლო დავებიდან გამომდინარე, აღნიშნულთან დაკავშირებით, საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულება. ამასთან, გადასახდელი ბაჟი -150 ლარი არ არის ისეთი რაოდენობის თანხა, რომ შეუძლებელი ყოფილიყო მისი გადახდა განკუთვნილ ვადაში. შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მხარემ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეავსო ხარვეზი და, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად დაკარგა აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება სასამართლოს მიერ მითითებულ ვადაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება არ შეიძლება გახდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის განჩინების გაუქმებისა და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

სს "...-ის" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის განჩინება.  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საპროცესო ვადის გასვლის შედეგები  
განჩინება**

#ას-638-599-2010 26 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2004 წლის 19 ნოემბერს მ. ბ-იამ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპა-სუხე ბ. ვ-შვილის მიმართ და მოითხოვა ქ. ქუთაისში, ... ქ. პირველი ჩიხის #3-ში მდებარე საერთო სარგებლობისა და საკუთრების 1384 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან სახლთმფლობელობაში მისი ხვედრითი წილის გათვალისწინებით დამოუკიდებელ, იზოლირებულ სარგებლობაში კუთვნილი ნაწილის გამოყოფა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ბ-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -ქ.ქუთაისში, ... #3 ჩიხში მდებარე საერთო სარგებლობისა და საკუთრების 1384 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან მ. ბ-იას დამოუკიდებელ, იზოლირებულ სარგებლობაში გამოეყო მიწის ნაკვეთი მისი კუთვნილი ნაწილის ხვედრითი წილის გათვალისწინებით გაშენებული და მიმდებარე მიწის ნაკვეთი, სახლთმფლობელობის სარგებლობის აუცილებლობის გათვალისწინებით, კერძოდ, საცხოვრებელი სახლის "ა" და გამოყოფილი "ა-1" ნაწილებს შორის გამყოფი კედლის შუა წერტილიდან გაივლის სახლის მართობული ხაზი ... ქუჩის პირველი ჩიხის მიმართულებით ღობემდე. აღნიშნულის შედეგად მ. ბ-იას უნდა გამოეყოს მიწის ნაკვეთი მთლიანი ფართით -186,37 კვ.მ, აქედან, გაშენებული ფართი -50,71 კვ.მ, თავისუფალი მიწის ფართი -134,88 კვ.მ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა ბ. ვ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მაისის განჩინებით ბ. ვ-შვილს, სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად, დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა 150 ლარის ოდენობით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მაისის განჩინებით ბ. ვ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა ბ. ვ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ხარვეზის შევსებულად ჩათვლა იმ საფუძველით, რომ მან ვადაში გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, მაგრამ მის ავადმყოფობის გამო ვერ მოასწრო გადახდილი ბაჟის ქვითრის წარმოდგენა სასამართლოში.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ ბ. ვ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიი-

ღება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, დარჩება განუხილველად.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მაისის განჩინებით აპელანტ ბ. ვ-შვილს ხარვეზის შევსების მიზნით, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის -150 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარმოსადგენად მიეცა 5 დღის ვადა განჩინების ასლის ჩაბარების მომენტიდან. ამავე განჩინებით აპელანტს განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად.

დადგენილია ასევე, რომ ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების ასლი ბ. ვ-შვილს გაეგზავნა მის მიერ მითითებულ მისამართზე და პირადად ჩაბარდა 2010 წლის 13 მაისს. შესაბამისად, ხარვეზის შევსების ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60-ე-61-ე მუხლების თანახმად, იყო 2010 წლის 18 მაისი. სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ბ. ვ-შვილმა ხარვეზი არ გამოასწორა და არც რაიმე შუამდგომლობა ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე სასამართლოში არ წარუდგენია, რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ მან სახელმწიფო ბაჟი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში გადაიხადა, თუმცა მის ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო ბაჟის გადახდის ქვითრის სასამართლოში წარდგენა, ამიტომ მას ხარვეზი შევსებულად უნდა ჩაეთვალოს.

აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან ხარვეზის შევსების შესახებ განჩინებით აპელანტს დაევალა, მისთვის განჩინების ასლის გადაცემიდან 5 დღის ვადაში, როგორც სახელმწიფო ბაჟის გადახდა, ასევე, გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენა. აქედან გამომდინარე, ის გარემოება, რომ აპელანტმა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, ხარვეზის შევსებად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი დადგენილ ვადაში არ ყოფილა წარდგენილი სასამართლოში, რაც ასევე დავალებული ჰქონდა აპელანტს.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ გარემოებას იმის შესახებ, რომ მან სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში დროულად წარდგენა ვერ შეძლო თავისი მძიმე ავადმყოფობის გამო, ასევე ვერ გახდებოდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, ვინაიდან მითითებული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება კერძო საჩივრის ავტორს სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ბ. ვ-შვილის სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად და, შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ვინაიდან ბ. ვ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, ამიტომ მას მთლიანად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -150 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ბ. ვ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მაისის განჩინება.

კერძო საჩივრის ავტორს დაუბრუნდეს მის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -150 ლარი.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



## საპროცესო ვადის გასვლის შედეგები

### განჩინება

#ას-649-610-10

17 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ა-შვილის სარჩელი მოპასუხეების -ლ. ს-შვილისა და ც. ხ-შვილის მიმართ სესხის დაბრუნების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ა-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ივნისის განჩინებით მ. ა-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად გასაჩივრების ვადის გაშვების გამო.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. ა-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის არსებითი განხილვა იმ მოტივით, რომ მას გასაჩივრების ვადა არ გაუშვია.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ მ. ა-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

ამავე კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების ასლი მ. ა-შვილს პირადად ჩაჰბარდა 2010 წლის 3 მაისს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლების შესაბამისად, მ. ა-შვილისათვის სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2010 წლის 4 მაისს და ამოიწურა 2010 წლის 17 მაისს. საქმის მასალებით ირკვევა, რომ მ. ა-შვილმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2010 წლის 19 მაისს, ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად უთითებს იმ გარემოებაზე რომ, ვინაიდან 4 მაისიდან 17 მაისამდე პერიოდში დაემთხვა 4 უქმე დღე, ამიტომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა მას ჰქონდა 21 მაისამდე.

აღნიშნულ მოსაზრებას, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

მითითებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გამოთვლის დროს მხედველობაში არ მიიღება საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის დადგენილი (დანიშნული) ვადის უკანასკნელი დღე, თუ იგი ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს. ასეთ შემთხვევაში ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე. ამ გამონაკლისის გარდა, ყველა სხვა შემთხვევაში უქმე და დასვენების დღე ჩვეულებრივად მიეთვლება საპროცესო ვადას.

განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრების ვადის უკანასკნელი დღე იყო 2010 წლის 17 მაისი (ორშაბათი), რომელიც არ ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ამიტომ, მან დაარღვია კანონით

დადგენილი გასაჩივრების ვადა, ვინაიდან მ. ა-შვილმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2010 წლის 19 მაისს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად კი საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, ვინაიდან მხარემ კანონით გათვალისწინებულ ვადაში არ შეიტანა სააპელაციო საჩივარი, ამიტომ მან დაკარგა აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მ. ა-შვილის სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად დაუშვებლობის გამო და, შესაბამისად, არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ა-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ივნისის განჩინება.
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **საპროცესო ვადის გასვლის შედეგები**

#### **განჩინება**

#ას-705-660-2010

22 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ნ. კვანტალიანი,**

**ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით გ. უ-შვილის სარჩელი მოპასუხეების -ლ., ე. და ჟ. ა-ძეების მიმართ, საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ, ბინის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა; გ. უ-შვილს მოპასუხეთა სასარგებლოდ გადახდა 7875 აშშ დოლარი და აღნიშნულის სანაცვლოდ, იგი ცნობილ იქნა მოპასუხეთა თანასაკუთრებაში არსებული, თბილისში, ... ქუჩის #2/4-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში განთავსებული 360,42 კვ.მ მოცულობის მქონე ფართის ნაწილის საერთო 53 კვ.მ საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ., ე. და ჟ. ა-ძეების წარმომადგენელმა ა. ქ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივნისის განჩინებით ლ., ე. და ჟ. ა-ძეების სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის დარღვევის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ლ., ე. და ჟ. ა-ძეების წარმომადგენელმა ა. ქ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველით, რომ სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა არ დაურღვევია, ვინაიდან მას კანონით დადგენილი წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ ჩაჰბარებია. კერძოდ, საფოსტო შეტყობინებაზე ხელმოწერა ეკუთ-

ვნის არა ა. ქ-ძეს, არამედ მის მეგობარს -თ. გ-ძეს, რომელიც სასამართლო კურიერის მიერ შეცდომაში იქნა შეყვანილი და მისი სახელით მოაწერა ხელი გზავნილს. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ხელმოწერის ნამდვილობის დასადგენად კალიგრაფიული ექსპერტიზის ჩატარების შესახებ მიმართა ექსპერტიზის ბიუროს, რის დასადასტურებლადაც წარმოადგინა შესაბამისი განცხადება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ ლ., ე. და ჟ. ა-ძეების წარმომადგენელ ა. ქ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩააბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილების ასლი ლ., ე. და ჟ. ა-ძეების წარმომადგენელ ა. ქ-ძეს პირადად ჩააბარდა 2010 წლის 14 მაისს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2010 წლის 15 მაისს და ამოიწურა ამავე წლის 28 მაისს. ამდენად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა იყო 2010 წლის 28 მაისი. საქმის მასალებით ირკვევა, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილია 2010 წლის 31 მაისს, ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ.

კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენელი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მას კანონით დადგენილი წესით არ ჩააბარებია, კერძოდ, საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათზე ხელმოწერა ეკუთვნის არა მას, არამედ მის მეგობარს -თ. გ-ძეს, რომელიც სასამართლო კურიერის მიერ შეცდომაში იქნა შეყვანილი და მისი სახელით მოაწერა ხელი გზავნილს.

აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მითითებული ნორმის საფუძველზე კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ვალდებული იყო, დაედასტურებინა, რომ საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათზე ხელმოწერა მას არ ეკუთვნის. ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება მის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა. კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენელი უთითებს, რომ მან კალიგრაფიული ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე განცხადებით მიმართა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, თუმცა ექსპერტიზის დასკვნა მას სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, სადავო გადაწყვეტილება ჩაიბარა და მისი სახელით საფოსტო გზავნილის ჩაბარებაზე ხელი მოაწერა მისმა მეგობარმა თ. გ-ძემ, რომელიც მასთან ერთად ცხოვრობს უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში. ასეთ ვითარებაში, ივარაუდება, რომ უწყება დასაბარებელ პირს ჩააბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი კი დასაბარებელ პირს ეკისრება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია, კანონით დადგენილ ვადაში შეასრულოს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს საპროცესო მოქმედების შესრულების უფლებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტებმა დაკარგეს საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება, ვინაიდან კანონით დადგენილ ვადაში არ წარადგინეს სააპელაციო საჩივარი. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ლ., ე. და ჟ. ა-ძეების წარმომადგე-

ნელ ა. ქ-ძის სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად დაუშვებლობის გამო და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ., ე. და ჟ. ა-ძეების წარმომადგენლის - ა. ქ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივნისის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საპროცესო ვადის გასვლის შედეგები**

**განჩინება**

#ას-710-665-2010 22 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოპასუხე შპს "...-ის" მიმართ და მოითხოვა ზედმეტად გადახდილი თანხის -172895 ლარის და ვალდებულების დარღვევის გამო პირგასამტეხლოს -213841 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს "...-ის" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა 161587 ლარისა და პირგასამტეხლოს -30000 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "...-მ", მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 მაისის განჩინებით შპს "...-ს" სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა 7000 ლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ივნისის განჩინებით შპს "...-ის" სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს "...-მ" და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველზე, რომ მათ სასამართლოში წარადგინეს ყველა ის მტკიცებულება, რომელიც იძლეოდა კანონიერ საფუძველს სახელმწიფო ბაჟის მოწინააღმდეგე მხარეზე დაკისრებისათვის, ვინაიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნა არარეალური იყო. გარდა ამისა, საწარმოს ქონება დაყადაღებულია და ეკონომიკური საქმიანობა შეჩერებული.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ შპს "...-ის" კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას

ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, დარჩება განუხილველად.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 მაისის განჩინებით შპს "...-ს" სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -7000 ლარის ქვითრის წარდგენა. ამავე განჩინებით აპელანტს განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად. საქმის მასალებით ირკვევა ასევე, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების ასლი შპს "...-ის" გაეგზავნა და ჩაჰბარდა 2010 წლის 15 მაისს, რაც დასტურდება საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბართზე ორგანიზაციის თანამშრომლის ხელმოწერით. აღნიშნული გარემოება კერძო საჩივრის ავტორს სადავოდ არ გაუხდია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების თანახმად, ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დანიშნული 10-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2010 წლის 16 მაისს და ამოიწურა ამავე წლის 25 მაისს. სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შპს "...-მა" ხარვეზი არ გამოასწორა და არც რაიმე შუამდგომლობა ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე სასამართლოში არ წარუდგენია, რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მათ სასამართლოში წარადგინეს ყველა ის მტკიცებულება, რომელიც იძლეოდა კანონიერ საფუძველს სახელმწიფო ბაჟის მოწინააღმდეგე მხარეზე დაკისრებისათვის, ვინაიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნა არარეალური იყო. აღნიშნულს საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად ვერ მიიჩნევს, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება არ უკავშირდება სარჩელის საფუძვლიანობას.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს ასევე იმ გარემოებაზე, რომ საწარმოს ქონება დაყადაღებულია და ეკონომიკური საქმიანობა შეჩერებული, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებებიც წარმოდგენილია საქმეში.

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის ავტორის აღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებს, ვინაიდან მის მიერ მითითებული მტკიცებულებები საქმეში არ მოიპოვება. უფრო მეტიც, აპელანტს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე რაიმე შუამდგომლობა აღძრული არ ჰქონია და იგი ვერც ამჟამად ადასტურებს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძვლის არსებობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შეასრულოს ის საპროცესო მოქმედებები, რაც მას სასამართლომ დაავალა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს ამ საპროცესო მოქმედებათა შესრულების უფლებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო, თბილისის სააპელაციო სასამართლომ შპს "...-ის" სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად და, შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. შპს "...-ის" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ივნისის განჩინება.
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## განჩინება

#ას-735-688-2010

22 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

სენაკის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით ი/მ ა. ჯ-იას სარჩელი მოპასუხე შპს "... " 5288 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ჯ-იამ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 მაისის განჩინებით ა. ჯ-იას, სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად, დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა 211,55 ლარის ოდენობით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ივნისის განჩინებით ა. ჯ-იას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუსვებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ჯ-იამ, მოითხოვა მისი გაუქმება და ხარვეზის შევსებულად ჩათვლა იმ საფუძველზე, რომ მან ვადაში გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, რისი დამადასტურებელი დოკუმენტიც წარადგინა სენაკის რაიონულ სასამართლოში, სადაც შეიტყო, რომ ქვითარი უნდა წარედგინა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ უსახსრობის გამო დროულად ვერ შეძლო სააპელაციო სასამართლოსათვის გადახდილი ბაჟის ქვითრის მიწოდება.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ა. ჯ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად დარჩება განუხილველად.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 მაისის განჩინებით აპელანტ ა. ჯ-იას ხარვეზის შევსების მიზნით, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის -211,55 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარმოსადგენად მიეცა 5 დღის ვადა განჩინების ასლის ჩაბარების მომენტიდან. ამავე განჩინებით აპელანტს განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუსვებლობის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად. დადგენილია ასევე, რომ ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების ასლი ა. ჯ-იას გაეგზავნა მის მიერ მითითებულ მისამართზე და პირადად ჩაჰბარდა 2010 წლის 2 ივნისს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების თანახმად, ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დანიშნული 5-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2010 წლის 3 ივნისს და ამოიწურა ამავე წლის 7 ივნისს. სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ა. ჯ-იამ ხარვეზი არ გამოასწორა და არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს სასამართლოსათვის, რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ მან სახელმწიფო ბაჟი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში გადაიხადა, თუმცა, ვინაიდან არ იცოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი რომელ სასამართლოში უნდა წარედგინა, მიმართა სენაკის რაიონულ სასამართლოს, სადაც შეიტყო, რომ ქვითარი უნდა წარედგინა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ უსახსრობის გამო დროულად ვეღარ შეძლო გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის სააპელაციო სასამართლოსათვის მიწოდება, ამიტომ მას ხარვეზი შევსებულად უნდა ჩაეთვალოს.

აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან ხარვეზის შევსების შესახებ განჩინებით აპელანტს დაევალა, მისთვის განჩინების ასლის გადაცემიდან 5 დღის ვადაში, როგორც სახელმწიფო ბაჟის გადახდა და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სააპელაციო სასამართლოში წარდგენა. აქედან გამომდინარე, ის გარემოება, რომ აპელანტმა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში გადაიხდა სახელმწიფო ბაჟი, ხარვეზის შევსებად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი დადგენილ ვადაში არ ყოფილა წარდგენილი სააპელაციო სასამართლოში, რაც ასევე დავალებული ჰქონდა აპელანტს. ამასთან, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ მან სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი სასამართლოს მიერ აღნიშნულ ვადაში შეცდომით სენაკის რაიონულ სასამართლოში წარადგინა. ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება მას არ წარმოუდგენია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე-103-ე მუხლების შესაბამისად, მისი მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მან სენაკის რაიონულ სასამართლოში 2010 წლის 7 ივნისს შეიტყო, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში უნდა წარედგინა. მიუხედავად ამისა, ა. ჯ-იამ 2010 წლის 15 ივლისამდე, ანუ თვესახევარზე მეტი ხნის განმავლობაში, ბაჟის ქვითარი სააპელაციო სასამართლოში არ წარადგინა და იგი მხოლოდ ამავე რიცხვში შეტანილ კერძო საჩივარს დაურთო თან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შეასრულოს ის საპროცესო მოქმედებები, რაც მას სასამართლომ დაავალა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს ამ საპროცესო მოქმედებათა შესრულების უფლებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ა. ჯ-იას სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად და, შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ვინაიდან ა. ჯ-იას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, ამიტომ მას მთლიანად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -211,55 ლარი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ა. ჯ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ივნისის განჩინება.
3. ა. ჯ-იას დაუბრუნდეს მის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 211,55 ლარი.
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **საპროცესო ვადის გასვლის შედეგები**

#### **განჩინება**

ნას-665-634-10

30 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 5 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. ჯ-ძის სარჩელი შპს "ჯ-ს" მიმართ სამუშაოზე აღდგენის, სახელფასო დავალიანებისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა, უკანონოდ იქნა აღიარებული შპს "ჯ-ს" გადაწყვეტილება მ. ჯ-ძის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ, მოპასუხე შპს "ჯ-ს" მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 10345 ლარის გადახდა.

აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა შპს "ჯ-ს" წარმომადგენელმა რ. ი-ძემ, მოითხოვა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმება და საქმის განახლება.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 19 აპრილის განჩინებით შპს "ჯ-ს" წარმომადგენლის რ. ი-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

შპს "ჯ-ს" წარმომადგენელმა რ. ი-ძემ სააპელაციო საჩივარი შეიტანა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 5 მარტის დაუსწრებელ გადაწყვეტილებასა და ამავე სასამართლოს 2010 წლის 19 აპრილის განჩინებაზე და მოითხოვა მათი გაუქმება და საქმის არსებითად განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ივნისის განჩინებით შპს "ჯ-ს" სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად გასაჩივრების ვადის გაშვების გამო.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი შპს "ჯ-ს" წარმომადგენელ რ. ი-ძეს ჩაჰბარდა 2010 წლის 10 მაისს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2010 წლის 11 მაისს და ამოიწურა ამავე წლის 24 მაისს. საქმის მასალებით ირკვევა, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა 2010 წლის 25 მაისს, ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს "ჯ-ს" დირექტორმა ი. ბ-იმ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის განახლება იმ საფუძველზე, რომ 2010 წლის 5 მარტს რ. ი-ძეს შეუწყდა წარმომადგენლის უფლებამოსილება; შპს "ჯ-ს" გასაჩივრებული განჩინება არ ჩაჰბარებია და ამ განჩინების შესახებ მისთვის მხოლოდ 2010 წლის 8 ივნისს გახდა ცნობილი; გარდა ამისა, შპს "ჯ-ს" მიერ რ. ი-ძისათვის გაცემული მინდობილობით მას, როგორც წარმომადგენელს, უფლება ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო მხოლოდ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში. ამასთან, მინდობილობა გაცემული იყო ი. ბ-ის, როგორც ფიზიკური პირის და არა როგორც შპს "ჯ-ს" დირექტორის, მიერ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ შპს "ჯ-ს" დირექტორის - ი. ბ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 19 აპრილის განჩინების ასლი პირადად ჩაბარდა შპს "ჯ-ს" წარმომადგენელს - რ. ი-ძეს 2010 წლის 10 მაისს, რაც დასტურდება სასამართლოს გზავნილზე მისი ხელმოწერით. აქედან გამომდინარე, გასაჩივრებული განჩინება მხარისთვისაც ჩაბარებულად ითვლება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლების შესაბამისად, შპს "ჯ-ს-ათვის" სააპელაციო საჩივრის შეტანის 14 დღიანი ვადის დენა დაიწყო 2010 წლის 11 მაისს და ამოიწურა 2010 წლის 24 მაისს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს "ჯ-ს" წარმომადგენელმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2010 წლის 25 მაისს, ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ შპს "ჯ-მ" 2010 წლის 5 მარტს რ. ი-ძეს შეუწყვიტა წარმომადგენლის უფლებამოსილება.



აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს და ვერ მიიჩნევს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 99-ე მუხლის შესაბამისად, მარწმუნებელს უფლება აქვს, საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, რის შესახებაც იგი წერილობით აცნობებს სასამართლოსა და წარმომადგენელს.

მითითებული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, წარმომადგენლის უფლებამოსილება შეწყვეტილად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულის თაობაზე მარწმუნებელი წერილობით მიმართავს სასამართლოს.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დგინდება ის გარემოება, რომ შპს "ჯ-მ" რ. ი-ძეს 2010 წლის 5 მარტს შეუწყვიტა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, ვინაიდან აღნიშნულის თაობაზე მას სასამართლოსათვის წერილობით არ უცნობებია. ამასთან, საქმის მასალებით ირკვევა, რომ 2010 წლის 19 მარტს რ. ი-ძემ, როგორც შპს "ჯ-ს" წარმომადგენელმა, საჩივარი შეიტანა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 5 მარტის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე და მონაწილეობდა 2010 წლის 8 და 19 აპრილის სასამართლო სხდომებში საჩივრის განხილვისას. საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული ნათლად მიუთითებს, რომ შპს "ჯ-ს" რ. ი-ძესთან წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ შეუწყვეტია.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ შპს "ჯ-ს" მიერ გაცემული მინდობილობით რ. ი-ძეს უფლება ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში მხოლოდ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში და, რომ ეს მინდობილობა გაცემულია ი. ბ-ის მიერ, როგორც ფიზიკური პირის და არა როგორც შპს "ჯ-ს" დირექტორის მიერ.

კერძო საჩივრის ავტორის აღნიშნულ მოსაზრებას აქარწყლებს საქმეში წარმოდგენილი ქ. ბათუმის ნოტარიუსის ხ. კ-შვილის მიერ 2009 წლის 2 სექტემბერს განუსაზღვრელი ვადით გაცემული #090461470 რწმუნებულება, რომლითაც შპს "ჯ-ს" დირექტორი ი. ბ-ი (მარწმუნებელი) უფლებამოსილებას ანიჭებს რ. ი-ძეს (რწმუნებულს) წარმოადგინოს მარწმუნებელი საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში და გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილებები.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორმა ვერ შეძლო მის მიერ მითითებული გარემოებების დადასტურება, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მისი მტკიცების ტვირთს შეადგენდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია, კანონით დადგენილ ვადაში შეასრულოს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულების უფლებას.

მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა შპს "ჯ-მ" დაკარგა საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება, ვინაიდან კანონით დადგენილ ვადაში არ წარადგინა სააპელაციო საჩივარი. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის მიხედვით, შპს "ჯ-ს" სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად დაუმველობის გამო და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს "ჯ.-ს" დირექტორის - ი. ბ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ივნისის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საპროცესო ვადის გასვლის შედეგები

### განჩინება

#ას-781-730-10

13 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** მემკვიდრედ ცნობა და სამკვიდროდან წილის გამოყოფა.

#### აღწერილობითი ნაწილი:

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით, ჯ. წ-ძის სარჩელი სამკვიდრო ვადის აღდგენის, მემკვიდრედ ცნობისა და სამკვიდროდან წილის გამოყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა და 2010 წლის 19 ივლისს ჩაჰბარდა ჯ. წ-ძის მეუღლეს.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ჯ. წ-ძემ და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 16 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები:

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ კანონით დადგენილი წესით და მოსარჩელე ჯ. წ-ძის მეუღლეს ჩაჰბარდა 2010 წლის 19 ივლისს.

სააპელაციო საჩივარი გადაწყვეტილებაზე ჯ. წ-ძემ წარადგინა 2010 წლის 3 აგვისტოს.

პალატამ მიიჩნია, რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ბოლო ვადას წარმოადგენდა 2010 წლის 2 აგვისტო.

პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარი წარმოდგენილია 2010 წლის 3 აგვისტოს, ანუ 14-დღიანი ვადის დარღვევით, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლისა სააპელაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო განუხილველად დატოვების საფუძველია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 16 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრე ჯ. წ-ძემ

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში არ შეუტანია, ვინაიდან იყო ავად და არ შეეძლო სააპელაციო საჩივრის შეტანა. ამ ფაქტს კერძო საჩივრის ავტორი ადასტურებს ჭიათურის რაიონის შპს „პერევისის საეკიმო ამბულატორიის“ მიერ გაცემული ცნობით, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომლის თანახმადაც იგი 2010 წლის 28 ივლისიდან 7 აგვისტოს ჩათვლით მკურნალობდა დიაგნოზით მწვავე ბრონქიტი, კისრის მალეების ოსტროქონდროზი, ჩ3, ჩ4, ჩ5 დისკების ცირკულარული პროტრეზია, ზედა კიდურების პარაპრეზი, ჰიპერტენზია. კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ დაავადება დაეწყო მაღალი ტემპერატურით, ხველით, ჰიპერტენზიით. ასევე მან აღნიშნა, რომ, ავადმყოფობის გამო, მგზავრობა ვერ შეძლო.

კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 16 აგვისტოს განჩინების გაუქმება.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო ჯ. წ-ძეს კერძო საჩივარს და თვლის, რომ საქმეზე წარმოდგენილი კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 16 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ ჯ. წ-ძემ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საპროცესო ვადები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის შესაბამისად სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. მითითებული ნორმა ადგენს რა სააპელაციო საჩივრის შეტანის კონკრეტულ ვადა, მისი გაგრძელებისა თუ აღდგენის სამართლებრივ მექანიზმს არ ითვალისწინებს. ამავე

კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში მხარეს გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 19 ივლისს და სააპელაციო საჩივრის ვადა ამოიწურა 2010 წლის 2 აგვისტოს. ჯ. წ-მემ სააპელაციო საჩივარი წარადგინა 3 აგვისტოს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. საჩივარი და საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ჯ. წ-მემ დაკარგა საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება, ვინაიდან მან კანონით დადგენილ ვადაში არ წარადგინა სააპელაციო საჩივარი. შესაბამისად სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველი ჯ. წ-მის სააპელაციო საჩივარი.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივარის ატორის მიერ მითითებულ გარემოებას, რომ მან ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო სააპელაციო საჩივრის ვადაში შეტანა, რის გამოც ვადის გაშვება მიჩნეული უნდა იქნეს საპატიოდ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას და მიაჩნია, რომ ჯ. წ-მემ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საპროცესო მოთხოვნები, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების სასამართლებრივი საფუძველია.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. შესაბამისად, არ არსებობს მისი გაუქმების და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 369-ე, 63-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ჯ. წ-მეს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 16 აგვისტოს განჩინება დარჩეს უცვლელად;

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **საპროცესო ვადის გასვლის შედეგები**

#### **განჩინება**

#ას-798-747-10

28 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით სს "... ბანკის" სარჩელი შპს "პ-ს", დ. ს-შვილის, გ. ს-შვილისა და გ. გ-ურის მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - შპს "პ-ს", დ. ს-შვილს და გ. ს-შვილის სს "... ბანკის" სასარგებლოდ დაეკისრათ 107 764 დოლარისა და 72 ცენტის გადახდა; შპს "პ-ს" ს/ს "... ბანკის" სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს -2 177 აშშ დოლარის გადახდა და შპს "პ-ს", დ. ს-შვილსა და გ. ს-შვილს სს "... ბანკის" სასარგებლოდ დაეკისრათ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2009 წლის 14 ნოემბრიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პირგასამტეხლოს გადასახდელი თანხის 0,1% გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა შპს "პ.-მა", გ. გ-ურმა დ. და გ. ს-შვილებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის განჩინებით აპელანტებს სააპელაციო საჩივარში არსებული ხარვეზის შესავსებად განესაზღვრათ 10 დღის ვადა და დაევალებათ სახელმწიფო ბაჟი კერძოდ, 7000 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი დედნის სახით წარმოედგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

ამავე პალატის 2010 წლის 1 ივნისის განჩინებით აპელანტებს სააპელაციო საჩივარში არსებული ხარვეზების შესავსებად შვიდი დღით გაუგრძელდათ საპროცესო ვადა. საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ განჩინების ასლი აპელანტების წარმომადგენელს ო. კ-შვილს ჩაჰბარდა 2010 წლის 5 ივლისს (ჩაიბარა თანამშრომელმა დ. მ-ძემ). ხარვეზის შევსების ვადა ამოიწურა 2010 წლის 12 ივლისს.

პალატამ მიიჩნია, რომ დანიშნულ ვადაში აპელანტებს ხარვეზი არ შეუვსიათ, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს შპს "პ.-ს", გ. გ-ურის, დ. და გ. ს-შვილების წარმომადგენლებმა - ო. კ-შვილმა და ე. გ-ძემ.

კერძო საჩივრის ავტორების აზრით, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს, ვინაიდან არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველები.

კერძო საჩივრის ავტორების განმარტებით, სააპელაციო პალატა საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველად უთითებს აპელანტების მხრიდან სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობას, მაშინ, როდესაც, გასაჩივრებული განჩინების გამოტანამდე 2010 წლის 5 მაისს, მათ განცხადებით მიმართეს სააპელაციო სასამართლოს იმ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე მითითებით, რომელიც უტყუარად ადასტურებდა აპელანტების უმძიმეს მატერიალურ მდგომარეობასა და მათი მხრიდან სახელმწიფო ბაჟის წინასწარ გადახდის შეუსაფლებლობას. კერძო საჩივრის ავტორების აზრით, სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია აპელანტების მატერიალური მდგომარეობის ამსახველი ფაქტები და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ შპს "პ-სა" და მის ბიზნეს პარტნიორებს შორის წარმოშობილმა დამაბულობამ მნიშვნელოვნად შეაფერხა შპს "პ-ს" სამეწარმეო საქმიანობის ნორმალური ფუნქციონირება. საზოგადოებაში წარმოშობილმა ფინანსურმა პრობლემებმა კი ფაქტობრივად შეუძლებელი გახადა აპელანტის მხრიდან სახელმწიფო ბაჟის წინასწარ გადახდა.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა ის, რომ დავასთან დაკავშირებით არსებულმა სიმწიფეებმა ასევე მკვეთრად გააუარესა, ისედაც მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში მყოფი აპელანტ გ. გ-ურის, დ. და გ. ს-შვილების მატერიალური მდგომარეობა, რის გამოც სახელმწიფო ბაჟი ამ დროისათვის ვერ გადაიხადეს.

კერძო საჩივრის ავტორების წარმომადგენლებმა მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო წარმოდგენილ კერძო საჩივარს, საქმის მასალებს, და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ დანიშნულ ვადაში აპელანტებს მხარვეზი არ შეუვსიათ, რის გამოც სააპელაციო პალატამ 2010 წლის 14 ივლისის განჩინებით შპს "პ.-ს", გ., დ. და გ. ს-შვილების სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველი სააპელაციო საჩივარი, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს, ხოლო 374-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

საქმეზე დადგენილი გარემოებების შესაბამისად, შპს "პ.-ს", გ., დ. და გ. ს-შვილების მიერ ხარვეზის დროულად შეუვსებლობა წარმოადგენდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სამართლებრივ საფუძველს.

კერძო საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ შპს "პ-სა" და მის ბიზნეს პარტნიორებს შორის წარმოშობილმა დამაბულობამ მნიშვნელოვნად შეაფერხა შპს "პ-ს" სამეწარმეო საქმიანობის ნორმალური ფუნქციონირება, საზოგადოებაში წარმოშობილმა ფინანსურმა პრობლემებმა კი ფაქტობრივად შეუძლებელი გახადა აპელანტის მიერ სახელმწიფო ბაჟის წინასწარ გადახდა, აღნიშნული მატერიალური მდგომარეობის ამსახველი ფაქტები კი სააპელაციო სასამართლომ არასრულყოფილად გამოიკვლია და არ გაითვალისწინა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორთა წინამდებარე მოსაზრებას, ვინაიდან, მხარეს არ წარმოუდგენია ქონებრივი მდგომარეობის ამსახველის დოკუმენტები, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა მძიმე მატერიალურ მდგომარეობას, რაც გამორიცხავდა მოცემულ საქმეზე ბაჟის წინასწარ გადახდის შესაძლებლობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. შესაბამისად, საკასაციო პალატა, მხარის მხოლოდ ზეპირ სიტყვიერ მითითებას, როგორც მტკიცებულებას ვერ მიიღებს მხედველობაში.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აპელანტებმა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეავსეს ხარვეზი, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად დაკარგეს აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივრის ავტორების მიერ მითითებული გარემოება არ შეიძლება გახდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივლისის განჩინების გაუქმებისა და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

შპს "პ.-ს", გ. გ-ური, დ. და გ. ს-შვილების კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს; უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივლისის განჩინება

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **საპროცესო ვადის გასვლის შედეგები**

#### **განჩინება**

#ას-1134-1021-2010

8 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი**

**განიხილა** ა. ყ-შვილის კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 თებერვლის განჩინებაზე. საკასაციო სასამართლომ

#### **გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 თებერვლის განჩინებით ა. ყ-შვილის განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2010 წლის 22 ოქტომბერს აღნიშნულ განჩინებაზე ა. ყ-შვილმა წარადგინა კერძო საჩივარი, რომლითაც მოითხოვა განჩინების გასაჩივრების ვადის აღდგენა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ყ-შვილის შუამდგომლობა გასაჩივრების ვადის აღდგენის შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს და კერძო საჩივარი განუხილველად იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან, თუ სხდომას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი. განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 24 თებერვლის გასაჩივრებული განჩინება ა. ყ-შვილს ჩაჰბარდა 2010 წლის 26 თებერვალს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, კერძო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი საპროცესო ვადა მოცემულ შემთხვევაში ამოიწურა 2010 წლის 10 მარტს. კერძო საჩივრის ავტორის მიერ კერძო საჩივარი შეტანილია 2010 წლის 22 ოქტომბერს, ანუ განჩინების გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ, საჩივარი ან საბუთები, რომლებიც საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ არის შეტანილი, დარჩება განუხილველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ უშვებს კერძო საჩივრით გასაჩივრების გაშვებული ვადის აღდგენის შესაძლებლობას, კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის, ამავე კოდექსის 420-ე მუხლისა და 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ა. ყ-შვილის შუამდგომლობა კერძო საჩივრით გასაჩივრების ვადის აღდგენის შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
2. ა. ყ-შვილის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმეთა სააპელაციო პალატის 2010 წლის 24 თებერვლის განჩინებაზე განუხილველად იქნეს დატოვებული;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **საპროცესო ვადის გასვლის შედეგები**

#### **განჩინება**

#ას-989-930-2010

11 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

დ. დ-შვილი, მ. ა-ერი, ა. ა-ერმა და სხვებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში "ბ. კომპანიისა" და "ს. ლ-ს" მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ იმ საფუძველით, რომ 1992 წელს ახალი სამგორის საკრებულოს გამგეობის მიერ გამოეყოთ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები.

2001 წელს საქართველოში დაწყებული ბ-ს ნავთობსადენის მშენებლობის დროს მოპასუხეებმა დააზიანეს მოსარჩელეთა კუთვნილი მიწის ნაკვეთები, რითაც მათ მიადგათ მატერიალური ზიანი.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2010 წლის 12 აპრილის განჩინებით მ. ქ-ძის, ლ. ა-ერისა და სხვათა სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და აპელანტებს დაევალოთ ამ განჩინების ასლების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სასამართლოსათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის დედნის წარდგენა. აღნიშნული განჩინება აპელანტებს -2010 წლის 28 აპრილს, ხოლო მათ წარმომადგენლებს 2010 წლის 15 ივნისს ჩაჰბარდათ.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 63-ე მუხლებით, 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილით და მიიჩნია, რომ აპელანტებს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებიათ, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სააპელაციო პალატამ აღარ იმსჯელა აპელანტთა 2010 წლის 17 მაისის შუამდგომლობაზე ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი ვადის გაგრძელების შესახებ იმ საფუძველით, რომ მითითებული შუამდგომლობა მხარეებმა სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ წარადგინეს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე დ. დ-შვილმა, მ. ა-ერმა, ა. ა-ერმა და მათმა წარმომადგენელმა ა. ს-ოვმა შეიტანეს კერძო საჩივარი და მოითხოვეს მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო პალატამ აპელანტებს არაგონივრული ვადა მისცა ხარვეზის გამოსასწორებლად, ვინაიდან აპელანტთა სიმრავლის გამო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის მითითებულ ვადაში გამოსწორება შეუძლებელია. ამასთან, სააპელაციო პალატას შეეძლო, საკუთარი ინიციატივით გაეგრძელებინა ხარვეზის ვადა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ დ. დ-შვილის, მ. ა-ერის, ა. ა-ერისა და მათ წარმომადგენელ ა. ს-ოვის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამავე მუხლის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

მითითებული კანონის დანაწესი ცხადყოფს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველად.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ დაადგინა და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ სასამართლოს 2010 წლის 12 აპრილის განჩინება ხარვეზის დადგენის თაობაზე აპელანტებს -2010 წლის 28 აპრილს, ხოლო მათ წარმომადგენლებს 2010 წლის 15 ივნისს ჩაჰბარდათ.

სააპელაციო პალატამ ხარვეზის გამოსასწორებლად მხარისათვის მიცემული ვადა სავსებით მართებულად ათვალა სასამართლო განჩინების აპელანტებისათვის ჩაბარების მომენტიდან და კანონიერად მიიჩნია, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ 10-დღიან ვადაში ხარვეზი არ გამოსწორებულა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას, რომ სააპელაციო პალატა ვედარ იმსჯელებდა აპელანტთა 2010 წლის 17 მაისის შუამდგომლობაზე ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი ვადის გაგრძელების შესახებ, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

განსახილველ შემთხვევაში ზემოხსენებული შუამდგომლობით აპელანტებმა სასამართლოს მიმართეს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული ვადის გავლის შემდეგ, რის გამოც მათი შუამდგომლობა დარჩა განუხილველად.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატამ ხარვეზის გამოსასწორებლად -სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად აპელანტებს არაგონივრულად მცირე ვადა მისცა, ვინაიდან 10 დღე სავსებით საკმარისია მსგავსი ტიპის ხარვეზის გამო-

სასწორებლად. ამასთან, რაიმე ობიექტური დაბრკოლების არსებობის შემთხვევაში აპელანტ მხარეს შეეძლო, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მოეთხოვა ზემოხსენებული ვადის გაგრძელება, რაც მას არ განუხორციელებია.

ასევე დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის არგუმენტი სასამართლოს მიერ ხარვეზის გამოსასწორებლად განსაზღვრული ვადის საკუთარი ინიციატივით გაგრძელების თაობაზე, რადგან აღნიშნული საპროცესო მოქმედების საჭიროება და აუცილებლობა საქმის მასალებიდან არ იკვეთება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

დ. დ-შვილის, მ. ა-ერის, ა. ა-ერისა და მათი წარმომადგენელი ა. ს-ოვის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **საპროცესო ვადის გასვლის შედეგები**

#### **განჩინება**

#ას-928-875-2010

29 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ვ. როინიშვილი,**

**ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 12 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა შპს "ო-მ" მოპასუხე ი. რ-შვილის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 7 239.81 ლარის დაკისრება, აგრეთვე, დაკისრებული თანხის გადახდის მიზნით ი. რ-შვილის კუთვნილი ავტომანქანის აუქციონზე რეალიზაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს "ო-ს" სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ი. რ-შვილს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 773.11 ლარის გადახდა, მასვე შპს "ო-ს" სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 50 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლომ საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ შპს "ო-ს" მიერ შეკეთებული ავტომანქანა ექსპლუატაციისათვის უვარგისი იყო. შესაბამისად, არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე ი. რ-შვილმა ნაწილობრივ, კერძოდ, 773.11 ლარის ნაწილების გამოცვლის ნაწილში სარჩელი ცნო, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელად ეს თანხა უნდა დაკისრებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილზე, 131-ე მუხლზე, რომელთა თანახმად, მოპასუხეს შეუძლია ცნოს სარჩელი; ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "ო-მ", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივლისის განჩინებით შპს "ო-ს" სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.



სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას დაადგინა, რომ გასაჩივრებული 2010 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება შპს "ო-ს" სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73.8 მუხლით დადგენილი წესით ჩაჰბარდა 2010 წლის 24 ივნისს. შპს "ო-მ" სააპელაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს დასახელებულ გადაწყვეტილებაზე წარადგინა 2010 წლის 9 ივლისს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს "ო-ს" სადავო გადაწყვეტილება შეეძლო გაესაჩივრებინა ამ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან, 2010 წლის 24 ივნისიდან 14 დღის ვადაში - 2010 წლის 8 ივლისის ჩათვლით. რამდენადაც მან სააპელაციო საჩივარი სასამართლოში შეიტანა დასახელებული ვადის დარღვევით - 2010 წლის 9 ივლისს, იგი, როგორც დაუშვებელი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა შპს "ო-მ" (წარმომადგენელი ა. კ-შვილი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან განსახილველად საქმის თბილისის სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება.

კერძო საჩივარში აღნიშნულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება შპს "ო-ს" წარმომადგენელმა გასაჩივრა 2010 წლის 8 ივლისს. ამ დღეს, დაახლოებით საღამოს 17 საათზე, მან ხელმოწერილი საჩივარი ჩააბარა კურიერს - შპს "...-ს". ეს გარემოება დასტურდება კურიერის მიერ წარდგენილი საფოსტო გზავნილით. დასახელებული დოკუმენტით ირკვევა, რომ კურიერმა გზავნილი ჩაიბარა 2010 წლის 8 ივლისს. გამგზავნად მითითებულია .... ეს არის იმ იურიდიული ფირმის (სპს "მ-შვილი, გ-იანი, ბ-ური") ინგლისურენოვანი აბრევიატურა, რომლის პარტნიორსაც და ერთ-ერთ დირექტორსაც წარმოადგენს სააპელაციო საჩივრის ავტორი. საფოსტო გზავნილში ადრესატად მითითებულია საქალაქო სასამართლო. აქვე არის სასამართლოს მისამართიც. იმის გამო, რომ კურიერმა მხარის გზავნილი (სააპელაციო საჩივარი) ჩაიბარა საღამოს, მან მეორე დღით, 2010 წლის 9 ივლისს, სააპელაციო საჩივარი ჩააბარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმღებ სპეციალისტ ლაშა რეკვავას. საფოსტო გზავნილში მითითებულია ლ. რ-ავას სახელი და გვარი, დასმულია მისი ხელმოწერა და თარიღი - 2010 წლის 9 ივლისი. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ სააპელაციო საჩივარი მათ კურიერს ჩააბარეს 2010 წლის 8 ივლისს. ასეთ ვითარებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61.3 მუხლიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივარი ვადაში წარდგენილად უნდა იქნეს მიჩნეული, რაც მის განუხილველად დატოვებას თავისთავად გამოიწვევს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "ო-ს" კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივლისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო შპს "ო-ს" მიერ სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში წარუდგენლობა. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით გათვალისწინებული გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლის დასაწყისად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლის აპელანტისათვის ჩაბარების მომდევნო დღე - 2010 წლის 25 ივნისი, ხოლო ამ ვადის დასრულების დღედ - 2010 წლის 8 ივლისი. სააპელაციო საჩივარი კი წარდგენილ იქნა 2010 წლის 9 ივლისს, ანუ ერთი დღის დაგვიანებით.

კერძო საჩივრით შპს "ო" სადავოდ ხდის სააპელაციო საჩივრის შეტანის ზემომითითებულ თარიღს, რომელსაც გასაჩივრებული განჩინება ეყრდნობა და განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სააპელაციო საჩივრის კურიერის მეშვეობით კანონით დადგენილ ვადაში გაგზავნას. აღნიშნულის დასადასტურებლად კერძო საჩივარს თან ერთვის სწრაფი საკურიერო მომსახურების - "...-ის" ქვითარი, აგრეთვე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიმღებ სპეციალისტის 9.07.2010წ. #ბ16442 სარეგისტრაციო ბარათი.

საკასაციო სასამართლო ზემოთ დასახელებულ მტკიცებულებებს ვერ მიიჩნევს შპს "ო-ს" მიერ სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში შეტანის დამადასტურებელ მტკიცებულებებად.

კერძო საჩივარზე თანდართულ სწრაფი საკურიერო მომსახურების ქვითარზე, მართალია, შპს "ო-ს" მიერ გზავნილის ჩაბარების დღედ მითითებულია 2010 წლის 8 ივლისი, მაგრამ ეს ქვითარი არ შეიცავს შპს "ო-ს" მიერ აღნიშნული ორგანიზაციისათვის ჩაბარებული კორესპონდენციის დასახელებას. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია გაირკვეს, აპელანტის მიერ გაგზავნილი რომელი კონკრეტული კორესპონდენციის კურიერისათვის ჩაბარებას ადასტურებს დასახელებული ქვითარი.

რაც შეეხება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიმღები სპეციალისტის 9.07.2010წ. #ბ16442 სარეგისტრაციო ბარათს, ამ ბარათში შპს "ო-ს" მიერ კორესპონდენციის (სააპელაციო საჩივარი) საქალაქო სასამართლოსათვის ჩაბარების დღედ მითითებულია 2010 წლის 9 ივლისი, სწორედ ის თარიღი, რომელიც სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის შეტანის თარიღად მიიჩნია. აღნიშნული ბარათით არ ირკვევა, რომ 2010 წლის 9 ივლისს სასამართლოს კანცელარიისათვის ჩაბარებული სააპელაციო საჩივარი წარმოადგენს სწორედ იმ გზავნილს (კორესპონდენციას), რომელიც შპს "ო-მ" 2010 წლის 8 ივლისს ჩააბარა სწრაფი საკურიერო მომსახურების ორგანიზაციას - "...-ს".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეზე უტყუარად არ დასტურდება შპს "ო-ს" მიერ ფოსტისათვის სააპელაციო საჩივრის 2010 წლის 8 ივლისს ჩაბარების ფაქტი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

მოცემულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ შპს "ო-მ" გაუშვა სააპელაციო საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 63-ე მუხლის თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი სწორად იქნა დატოვებული განუხილველად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს შპს "ო-ს" კერძო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს "ო-ს" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივლისის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **საპროცესო ვადის გასვლის შედეგები**

##### **განჩინება**

#ას-1039-974-2010 2 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით დ. გ-შვილის სარჩელი ც. მ-შვილის მიმართ 2000 წლის 22 ნოემბერს ო. მ-ოვის სამკვიდრო ქონებაზე ც. მ-შვილის სასარგებლოდ გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილად

ცნობისა და ქ. თბილისში, ... #1-ში მდებარე უძრავი ქონების 1/3-ის, 1/2-ის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით უგასაჩივრა დ. გ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 სექტემბრის განჩინებით დ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, გასაჩივრების კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა დ. გ-შვილის წარმომადგენელმა მ. დ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება 2010 წლის 22 ივლისს არ ჩაჰბარებია, ვინაიდან განჩინების ჩაბარების ხელწერილზე მითითებული თარიღის ხელწერა მას არ ეკუთვნის. ამდენად, სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა არ დაურღვევია, რის გამოც მოითხოვა კერძო საჩივრის დაკმაყოფილება და საქმის წარმოების განახლება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ დ. გ-შვილის წარმომადგენელ მ. დ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება დ. გ-შვილის წარმომადგენელ მ. დ-ძეს პირადად ჩაჰბარდა 2010 წლის 22 ივლისს; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის 14 დღიანი ვადის დენა დაიწყო 2010 წლის 23 ივლისს და ამოიწურა ამავე წლის 5 აგვისტოს. ამდენად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა იყო 2010 წლის 5 აგვისტო. საქმის მასალებით ირკვევა, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილია 2010 წლის 6 აგვისტოს, ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, რომლის აღდგენაც დაუშვებელია.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მას 2010 წლის 22 ივლისს არ ჩაბარებია (როგორც ეს გასაჩივრებულ განჩინებაშია მითითებული), ვინაიდან განჩინების ჩაბარების ხელწერილზე მითითებული თარიღის ხელწერა მას არ ეკუთვნის. ამდენად, სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა არ დაურღვევია, რის გამოც მოითხოვა კერძო საჩივრის დაკმაყოფილება.

აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მითითებული ნორმის საფუძველზე, კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ვალდებული იყო, დაედასტურებინა, რომ საფოსტო გადაწყვეტილების ჩაბარების ხელწერილზე მითითებული თარიღის ხელწერა მას არ ეკუთვნის. ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება კი წარმოდგენილი არ ყოფილა, რაც მისი მტკიცების ტვირთს შეადგენდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია, კანონით დადგენილ ვადაში შეასრულოს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს საპროცესო მოქმედების შესრულების უფლებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტმა დაკარგა საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება, ვინაიდან კანონით დადგენილ ვადაში არ წარადგინა სააპელაციო საჩივარი. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად დაუშვებლობის გამო და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. დ. გ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 სექტემბრის განჩინება.
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**6. სასამართლო შეტყობინება**

**შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში**

**განჩინება**

#ას-438-752-09

18 ივნისი 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**რ. ნადირიანი,**  
**თ. თოდრია**

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ბ. ს-ავამ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე სს "...-ს" მიმართ და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან მისი კუთვნილი ტრანსფორმატორის გამოთხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით, მოსარჩელე ბ. ს-ავას სარჩელი უსაფუძვლობის გამო არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. ს-ავამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

პალატამ მიიჩნია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი მხარე, ბ. ს-ავაზე გადასაცემად ჩაიბარა რძალმა ლ. ფ-მემ (ოჯახის წევრმა) 2009 წლის 6 მარტს, ხოლო სააპელაციო საჩივარი კი ბ. ს-ავას მიერ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში შეტანილ იქნა 2009 წლის 13 აპრილს, ანუ გასაჩივრების 14-დღიანი ვადის დარღვევით.

პალატამ მიიჩნია, რომ ბ. ს-ავას მიერ სააპელაციო საჩივარი შეტანილია კანონით დადგენილი ვადის დარღვევით, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ბ. ს-ავამ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გაშვებული აქვს გასაჩივრების 14-დღიანი ვადა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. საქმეში არსებობს მისი 31.03.09 წ. განცხადება, რომლითაც ირკვევა, რომ გადაწყვეტილების დროულად მიღებაზე, პირადად, რამდენჯერმე დაუფკავშირდა მოსამართლის თანაშემწეს და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაიბარა იგი 2009 წლის 1 აპრილს, ხოლო მისი ჩაბარებიდან მე-12 დღეს შეიტანა სააპელაციო საჩივარი. შესაბამისად სააპელაციო საჩივარი შეტანილი აქვს კანონით დადგენილ ვადაში.

რაც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილების 06.03.09 წელს მისი რძლისთვის ჩაბარებას, იგი ცნობილი გახდა მხოლოდ 01.04.09 წელს, როცა სასამართლოში მივიდა გადაწყვეტილების ასლის მისაღებად.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით სააპელაციო სასამართლო სწორედ ამ ფაქტს დაეყრდნო როცა მისი საჩივარი განუხილველი დატოვა, რითაც უხეშად დარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის მოთხოვნები. საქმეში მართალია გადაწყვეტილება ჩაიბარა მისმა რძალმა ლ. ფ-მემ მაგრამ იგი ცხოვრობს სხვა მისამართზე, კერძოდ ... ქუჩის #91 და მასთან იმყოფებოდა

სტუფმრად და არ წარმოადგენს მისი ოჯახის წევრს, თანაც ჩვილი ბავშვის დედაა და, როგორც თავად იხსენებს, სასამართლო წარმომადგენლის მოსვლის დროს ბავშვის ტიროდა და ვერ გააცნობიერა, თუ რა დოკუმენტზე აწერდა ხელს, შემდეგ ის ქალაქდები თაროზე შემოდო და დაავიწყდა მისთვის გადაცემა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბ. ს-ავამ მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო საქმეზე წარმოდგენილ კერძო საჩივარს და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის განჩინებით ბ. ს-ავას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარებად ითვლება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად ჩაბარება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი ბ. ს-ავას გაეგზავნა სარჩელში მითითებულ მისამართზე და ჩაიბარა ბ. ს-ავას რძალმა ლ. ფ-მემ (ოჯახის წევრმა) 2009 წლის 6 მარტს.

კერძო საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ მას გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით არ ჩაჰბარებია, ვინაიდან ლ. ფ-მე, რომელსაც ჩაბარდა სასამართლო გზავნილი, არ ცხოვრობს ბ. ს-ავას ოჯახში და არ წარმოადგენს ოჯახის წევრს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. ამავე კოდექსის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უწყების მიღებაზე 74-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სუბიექტის უარის შემთხვევაში სასამართლო უწყება არ ჩაითვლება მოპასუხისათვის ჩაბარებულად. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში უწყება ჩაიბარა ბ. ს-ავას რძალმა, როგორც ოჯახის წევრმა, ხოლო ლ. ფ-მეს უარი არ განუცხადებია სასამართლო გზავნილის ჩაბარებაზე. შესაბამისად, მან თავის თავზე აიღო ბ. ს-ავასათვის გზავნილის გადაცემის ვალდებულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ბ. ს-ავამ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება ჩაიბარა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით -2009 წლის 6 მარტს, ხოლო სააპელაციო საჩივარი წარადგინა კანონმდებლობით დადგენილი 14-დღიანი ვადის გასვლის შემდგომ -2009 წლის 13 აპრილს და, შესაბამისად, სააპელაციო პალატა უფლებამოსილი იყო დაეტოვებინა სააპელაციო საჩივარი განუხილველი დაუშვებლობის გამო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ რადგან მხარემ კანონით გათვალისწინებულ ვადაში არ შეიტანა სააპელაციო საჩივარი შესაბამის სასამართლოში, დაკარგა აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ბ. ს-ავას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად;  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სასამართლო უწყების გაგზავნა

### განჩინება

#ას-371-690-09

22 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

**სარჩელის დავის საგანი:** იჯარის სახელშეკრულებო ურთიერთობების გაგრძელება

**კერძო საჩივრის დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 3 დეკემბერს ე. ო-ოვმა სარჩელით მიმართა დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების ნ. ნ-შვილისა და დ. ლ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეებს დავალებოდათ დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. ...-ში, განთავსებულ „ჩათმის“ ტერიტორიაზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 630,0 ჰა ფართის მიწის ნაკვეთზე იჯარის სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება.

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით ე. ო-ოვის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ო-ოვმა (წარმომადგენელი ვ. კ-ძე), რომელმაც მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მარტის განჩინებით ე. ო-ოვის (წარმომადგენელი ვ. კ-ძე) სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი მისი მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო, მოპასუხეთა შუამდგომლობის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ სასამართლო უწყებები აპელანტ ე. ო-ოვსა და მის წარმომადგენელს გაეგზავნათ მათ მიერ მითითებულ მისამართზე (საგარეჯოს რაიონი, სოფ. ... და ქ.რუსთავი, ... პირველი ჩიხის 3-32), უწყება ე. ო-ოვს ჩაჰბარდა პირადად, ხოლო მის წარმომადგენელ ვ. კ-ძეს -მეუღლის მ. ბ-შვილის მეშვეობით, რაც დასტურდება მათი ხელმოწერებით;

სააპელაციო სასამართლომ აგრეთვე დადგინილად მიიჩნია, რომ აპელანტსა და მის წარმომადგენელს სასამართლოსათვის არ უცნობებიათ გამოუცხადებლობის რაიმე საპატიო მიზეზის თაობაზე და რომ მათგან ასევე არ შემოსულა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. ო-ოვმა (წარმომადგენელი ვ. კ-ძე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, თვითონ და მისი წარმომადგენელი ვ. კ-ძე არ იყვნენ ინფორმირებულნი სასამართლო პროცესის ჩატარების თაობაზე. კერძოდ, მის წარმომადგენელ ვ. კ-ძეს სასამართლო უწყება ჩაჰბარდა არა 2009 წლის 11 მარტს, სასამართლო სხდომის გამართვის შესახებ, არამედ -2009 წლის 19 მარტს, 11 საათზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მათთვის უცნობი იყო სასამართლო პროცესის 2009 წლის 11 მარტისათვის დანიშნვის შესახებ.

კერძო საჩივრის ავტორმა კერძო საჩივარს თან დაურთო იმ უწყების დედანი, სადაც აღნიშნულია, რომ მხარეები სასამართლო სხდომაზე დაბარებულნი იყვნენ არა 2009 წლის 11 მარტს, არამედ 2009 წლის 19 მარტს 11 საათზე.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ო-ოვის (წარმომადგენელი ვ. კ-ძე) კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელი უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მარტის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმო-

მადგენლისთვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. ამავე კოდექსის 71-ე მუხლის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ჰბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის მიხედვით (ფაქტობრივი ადგილსამყოფელის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით, ხოლო 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისთვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაჰბარდეს პირადად. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამ შემთხვევაში უწყების ჩაბარებაში იგულისხმება ადრესატის ინფორმირება სასამართლო სხდომის შესახებ უტყუარი ინფორმაციით, რაც გამორიცხავს მისი შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

მოცემულ შემთხვევაში, კერძო საჩივარი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მხარე სწორად არ იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის დროის შესახებ, რის დამადასტურებლად წარმოდგენილია მხარის მიერ ჩაბარებული სასამართლო უწყება. საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის ავტორის აღნიშნულ მსჯელობას არ იზიარებს. კერძო საჩივრის ავტორის მიერ თავისი მსჯელობის სისწორის დამადასტურებლად წარმოდგენილი უწყება გაგზავნილია სრულიად სხვა საქმეზე იმავე მხარეების მონაწილეობით, უწყებაში მითითებული საქმის ნომერია #28/2122.08, დავის საგანია ზარალის ანაზღაურება, საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთა, ხოლო საქმის განმხილველი მომხსენებელი მოსამართლე -თ. ე-შვილი. მოცემული საქმის სააპელაციო წარმოების ნომერი კი არის #28/2121-08, დავის საგანი -იჯარის სახელშეკრულებო ურთიერთობების გაგრძელება, ხოლო საქმის განმხილველი მომხსენებელი მოსამართლე -გ. გ-შვილი. ამდენად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ კერძო საჩივარზე თანდართული უწყება გაგზავნილია მოცემულ საქმეზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ საქმის მასალების თანახმად, 2009 წლის 11 მარტის სხდომის შესახებ მხარეები კანონით დადგენილი წესით იყვნენ ინფორმირებულნი, კერძოდ, უწყება ჩაბარებული აქვს წარმომადგენელ ვ. კ-მეს მისი ოჯახის წევრის მეშვეობით 2009 წლის 27 იანვარს, ხოლო ე. ო-ოვს -2009 წლის 1 თებერვალს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილებისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ე. ო-ოვის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მარტის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში**

#### **განჩინება**

#ას-287-609-09

25 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),**

**რ. ნადირიანი (მომხსენებელი),**

**თ. თოდრია**

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. მ-იანის სარჩელი შპს "თბილისის წყლის" მიმართ დამლის დადების აქტის ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. მ-იანმა, მოითხოვა მისი გაუქმება ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განჩინებით ვ. მ-იანის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად გასაჩივრების ვადის გაშვების გამო.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ვ. მ-იანმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განხილვის განახლება იმ მოტივით, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების ასლი მის მეუღლეს ჩაჰბარდა არა 2009 წლის 16 იანვარს, როგორც ეს მითითებულია გასაჩივრებულ განჩინებაში, არამედ, 2009 წლის 17 იანვარს, შესაბამისად, მისი განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის თანახმად, ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო 2009 წლის 18 იანვრიდან, ამდენად, გასაჩივრების ბოლო ვადა იყო არა 2009 წლის 30 იანვარი, არამედ -31 იანვარი, შაბათი დღე. ვინაიდან გასაჩივრების ბოლო ვადა დაემთხვა არასამუშაო დღეს, საჩივარი წარადგინა ორშაბათს 2009 წლის 2 თებერვალს, შესაბამისად, მას გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა არ დაურღვევია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ ვ. მ-იანის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის უწყება ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი ჩაჰბარდა იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილია სსკ-ის 74-ე მუხლში, კერძოდ, მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის სრულწლოვან წევრს ან სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების ასლი ვ. მ-იანის მეუღლეს -თ. მ-ძეს უშუალოდ ჩაჰბარდა 2009 წლის 16 იანვარს, ხოლო ვ. მ-იანმა სააპელაციო საჩივარი აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ შეიტანა 2009 წლის 2 თებერვალს, ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, ვინაიდან სააპელაციო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, იყო 2009 წლის 30 იანვარი.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების ასლი მის მეუღლეს ჩაჰბარდა არა 2009 წლის 16 იანვარს, როგორც ეს მითითებულია გასაჩივრებულ განჩინებაში, არამედ 2009 წლის 17 იანვარს. აღნიშნულ განმარტებას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილია ვ. მ-იანის მეუღლის -თ. მ-ძის მიერ დაწერილი ხელწერილი, რომლითაც ჩაბარების თარიღად თ. მ-ძე უთითებს 2009 წლის 16 იანვარს. ამდენად, ვ. მ-იანის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულია გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის დარღვევით და, შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული საჩივარი სწორად ცნო დაუშვებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**



საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### და ა დ გ ი ნ ა :

ვ. მ-იანის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განჩინება;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში

#### განჩინება

#ას-622-930-09

2 ივლისი 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** დებიტორული დავალიანების ანაზღაურება - თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით მოსარჩელე შპს „ბორჯომი-ლიკანის“ სარჩელი მოპასუხე ო. დ-შვილის მიმართ დებიტორული დავალიანების ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი იქნა შეტანილი ო. დ-შვილის წარმომადგენლის თ. კ-ძის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დატოვებული იქნა განუხილველი.

პალატის განმარტებით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 14 დღე და მისი დენა იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება.

საქმის მასალებით კი დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება აპელანტს ჩაჰბარდა 2009 წლის 27 აპრილს.

ო. დ-შვილის წარმომადგენელმა თ. კ-ძემ სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიას ჩააბარა 2009 წლის 14 მაისს.

პალატის განმარტებით, აპელანტს სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოში უნდა წარედგინა 2009 ოქტომბრის 11 მაისის ოცდაოთხ საათამდე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ ო. დ-შვილმა დაარღვია სააპელაციო საჩივრის აღძვრის საპროცესო კანონმდებლობით იმპერატიულად დადგენილი 14-დღიანი ვადა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ო. დ-შვილის წარმომადგენელმა თ. კ-ძემ.

კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, განჩინებაში მითითებულია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება მას ჩაბარდა 2009 წლის 27 აპრილს, სინამდვილეში კი გადაწყვეტილება საერთოდ არ ჩაბარებია. იგი მოტივირებულ გადაწყვეტილებას გაეცნო 2009 წლის 14 მაისს და იმავე დღესვე წარადგინა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიაში.

კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, საფოსტო გზავნილით დასტურდება ის ფაქტი, რომ სასამართლო გადაწყვეტილება ჩაბარდა ო. დ-შვილის დედას ვ. დ-შვილს, რადგან ადრესატი ამ დროისათვის თბილისში არ იმყოფებოდა. კონვერტის გადაცემა კი მოხდა მოპასუხის დაბრუნებისთანავე.

კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ვ. დ-შვილისათვის არ აუხსნიათ, რომ საჭირო იყო საფოსტო გზავნილზე შესაბამისი აღნიშვნების გაკეთება, ან გზავნილის დაუყოფ-

ნებლივ გადაცემის ვალდებულების აღება. ამგვარად, ო. დ-შვილის, ოჯახის წევრის ან მისი წარმომადგენლისათვის მოტივირებული გადაწყვეტილების ჩაბარება არ მომხდარა საპროცესო ნორმების დაცვით.

კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო საქმეზე წარმოდგენილ კერძო საჩივარს და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინებით ო. დ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარებად ითვლება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად ჩაბარება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება ო. დ-შვილს გაეგზავნა სარჩელში მითითებულ მისამართზე და ჩაიბარა მისმა დედამ ვ. დ-შვილმა 2009 წლის 27 აპრილს.

კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მას გადაწყვეტილება საერთოდ არ ჩაჰბარებია, იგი ჩაჰბარდა ო. დ-შვილის დედას, მისთვის კი არ განუმარტავთ, რომ საჭირო იყო გზავნილის დაუყოვნებლივ გადაცემა. ო. დ-შვილი ამ დროისათვის თბილისში არ იმყოფებოდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. ამავე კოდექსის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უწყების მიღებაზე 74-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სუბიექტის უარის შემთხვევაში სასამართლო უწყება არ ჩაითვლება მოპასუხისათვის ჩაბარებულად. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში უწყება ჩაიბარა ო. დ-შვილის დედამ, როგორც ოჯახის წევრმა. შესაბამისად, მან თავის თავზე აიღო ო. დ-შვილისათვის გზავნილის გადაცემის ვალდებულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ო. დ-შვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება ჩაიბარა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით - 2009 წლის 27 აპრილს, ხოლო სააპელაციო საჩივარი წარადგინა კანონმდებლობით დადგენილი 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ - 2009 წლის 14 მაისს და შესაბამისად, სააპელაციო პალატა უფლებამოსილი იყო, დაეტოვებინა სააპელაციო საჩივარი განუხილველი დაუშვებლობის გამო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, რადგან მხარემ კანონით გათვალისწინებულ ვადაში არ შეიტანა სააპელაციო საჩივარი შესაბამის სასამართლოში, დაკარგა აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ო. დ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად;  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## შეტყობინება სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ

### განჩინება

#ას-586-893-09

15 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** დივიდენდების მიღება ბანკის საწესდებო კაპიტალში შეტანილი რუსული მანეთების გაანგარიშებით, მეპაიედ აღდგენა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 18 აგვისტოს რ. და ი. კ-ძეებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე "გაერთიანებული ქართული ბანკის" წინააღმდეგ და მოითხოვეს დადგენილიყო, რა თანხა იქნა გადატანილი ანაზღაურებიდან საპაიო ბანკის საწესდებო კაპიტალში და დავალდებულა მოპასუხეს, როგორც საპაიო ბანკის უფლებამონაცვლეს, მათთვის ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ 1994 წლის მაისისათვის შემნახველ სალაროში ჰქონდათ გარკვეული რაოდენობის თანხა: რ. კ-ძეს -ნაშთი 462168, მათ შორის, 128061 მანეთი და 334107 კუპონი; ი. კ-ძეს -ნაშთი 241023, მათ შორის, 169068 მანეთი და 71955 კუპონი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის სახელმწიფო საპაიო-კომერციულ შემნახველ ბანკად გარდაქმნასთან დაკავშირებით მოსარჩელებს მიატანიეს მეანაზღაურების შემნახველი სალაროს წიგნაკი და პასპორტი და საწესდებო კაპიტალში გადაიტანეს რ. კ-ძის ანგარიშიდან 128061 მანეთი და ი. კ-ძის ანგარიშიდან -169068 მანეთი. გადატანილი მანეთები დააფიქსირეს კუპონებში, შეფარდებით 1:1.

1995 წელს, როდესაც საპაიო კომერციული ბანკის ნაცვლად შეიქმნა „გაერთიანებული ქართული ბანკი“, კუპონები შეაფარდეს 814000-თან, ანუ მაშინდელ კურსზე კუპონისა დოლართან და გაანულეს.

სარჩელში მითითებულია, რომ მოსარჩელებმა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით 2000 წელს მიმართეს სასამართლოს ი. ჩ-შვილის მიმართ, რაც უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 2 მაისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ მოთხოვნა აღძრული უნდა ყოფილიყო ბანკის მიმართ. სარჩელი მოპასუხე გაერთიანებული ქართული ბანკის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 27 მაისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელებმა განმარტეს, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მოიპოვეს ახალი გარემოებები, კერძოდ, 1994 წლის 25 მარტის სახელმწიფო მეთაურის #85 ბრძანება, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1994 წლის 12 აპრილის #36 ბრძანებით დამტკიცებული „წესები“, რომლის მე-8 პუნქტის თანახმად, მეანაზღაურეს, რომელმაც სურვილი გამოთქვა, გახდეს საპაიო კომერციული შემნახველი ბანკის მეპაიე, საწესდებო კაპიტალში გადარიცხული თანხის დივიდენდები მიეცემა ბანკის რეგისტრაციაში გატარების დღიდან და წელიწადში ერთხელ.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ დაუშვებელი იყო ფიზიკური და იურიდიული პირის ანგარიშისა და ანაზღაურების ერთმანეთთან გაიგივება, რადგან კანონმდებლობა მათ განსხვავებულ განმარტებებს იცნობდა.

2007 წლის 18 ივლისს რ. კ-ძემ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს როგორც ვ. კ-ძის უფლებამონაცვლემ და მოითხოვა მეანაზღაურედ ან მეპაიედ აღდგენა, მოპასუხისათვის წლების მიხედვით დივიდენდების მიუღებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, რაც 2612 ლარს შეადგენდა.

მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და მიუთითა, რომ საქართველოს მინისტრთა კაბინეტისა და ეროვნული ბანკის 1993 წლის 24 ივლისის #575 დადგენილების თანახმად, 1993 წლის 3 აგვისტოდან კუპონი გამოცხადდა ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად და ბანკებს დაევალებათ აღნიშნული თარიღიდან იურიდიული და ფიზიკური პირების ანგარიშებზე არსებული ნაშთების გადაყვანა მანეთიდან კუპონზე შეფარდებით 1:1, რის გამოც რ. და ი. კ-ძეების ანაზღაურებზე რიცხული თანხა გადაყვანილ იქნა კუპონზე, რასაც ადასტურებდა თავად მოსარჩელების 1994 წლის 13 და 19 მაისის განცხადებები.

მოპასუხის წარმომადგენელმა უსაფუძვლოდ მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში და განმარტა, რომ ბანკის მხრიდან მოსარჩელებზე ზიანის მიყენების ფაქტი არ დგინდებოდა. ამასთან, აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოს უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება.

მოპასუხემ ასევე განმარტა, რომ, თუ სასარჩელო მოთხოვნა ეხებოდა არა ზიანს, არამედ დივიდენდებს, აღნიშნული მოთხოვნაც უსაფუძვლო იყო, ვინაიდან ბანკს 1999 წლამდე დივიდენდი საერთოდ არ გაუცია. რაც შეეხება 1999 წლის შემდგომ პერიოდს, ი. კ-ძეს დივიდენდის მიღების მოთხოვნით ბანკისათვის არ მიუმართავს, შესაბამისად, უარიც არ მიუღია, ხოლო რ. კ-ძემ კუთვნილი აქციები გაასხვისა 1998 წელს.

რაც შეეხებოდა რ. კ-ძის, როგორც ვ. კ-ძის უფლებამონაცვლის 2007 წლის 18 ივლისის სარჩელს, სს „ვითობი ბანკი ჯორჯიას“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სარჩელს არ ახლდა მტკიცებულება იმისა, რომ რ. კ-ძე ვ. კ-ძის მემკვიდრე და უფლებამონაცვლე იყო, ამასთან, მოთხოვნა იყო უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი, ვინაიდან 1998 წლის 1 დეკემბერს ვ. კ-ძემ გაასხვისა კუთვნილი აქციები და ამ დროიდან აქციონერს აღარ წარმოადგენდა. ვ. კ-ძეს 1998 წლიდან 2002 წლამდე (გარდაცვალებამდე) აქციების გასხვისების ფაქტთან დაკავშირებით პრეტენზია არ განუცხადებია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით რ. და ი. კ-ძეების და ვ. კ-ძის უფლებამონაცვლე რ. კ-ძის სასარჩელო მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელების მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ერთობლივი 1993 წლის 24 ივლისის #575 დადგენილების მე-5 პუნქტში გაკეთებული დათქმა, რომ საბანკო დაწესებულებების მიერ 1993 წლის 3 აგვისტოდან იურიდიული და ფიზიკური პირების ანგარიშებზე არსებული ნაშთები გადაყვანილ უნდა იქნეს მანეთიდან კუპონზე შეფარდებით 1:1, ეხებოდა მხოლოდ ბანკის ანგარიშებს და არა ანაზღაურებს, რადგან სასამართლოს მოსაზრებით, ბანკის ანაზღაურებს, რადგან, სასამართლოს მოსაზრებით, ბანკის ანაზღაური სხვა არაფერი იყო, თუ არა ბანკის ანგარიშის ერთ-ერთი სპეციფიკური სახე.

სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოთხოვნა დივიდენდების მიღების შესახებაც, ვინაიდან საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ 1999 წლამდე „გაერთიანებულ ქართულ ბანკს“ აქციონერებზე დივიდენდები არ გაუცია, ხოლო 1999 წლიდან ვ. კ-ძე და რ. კ-ძე აღარ წარმოადგენდნენ ამ ბანკის აქციონერებს, ი. კ-ძეს არც მიუმართავს ბანკისათვის დივიდენდის მიღების მოთხოვნით, შესაბამისად, უარიც არ მიუღია.

სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია რ. კ-ძის, როგორც ვ. კ-ძის უფლებამონაცვლის, მოთხოვნა მეპაიედ აღდგენის შესახებ, ვინაიდან 1998 წელს ვ. კ-ძემ გაასხვისა გაერთიანებულ ქართულ ბანკში კუთვნილი აქციები და გასხვისების კანონიერება სადავოდ არ გაუხდია. ამასთან, საპაიო ბანკი აღარ არსებობდა, შესაბამისად, მეპაიედ აღდგენას საფუძველი აღარ გააჩნდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს რ. და ი. კ-ძეებმა, მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება პირველი ინსტანციის სასამართლოში, იმ საფუძველით, რომ სასამართლოს არ უმსჯელია სასარჩელო მოთხოვნებზე, ასევე, მტკიცებულებანი უკანონოდ ჩათვალა საქმისათვის მნიშვნელობის არმქონედ. ამასთან, არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი.

2009 წლის 14 მაისს გამართულ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ აპელანტები -რ. და ი. კ-ძეები, რომელთაც სასამართლო სხდომის დღე ეცნობათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა იშუამდგომლა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის შუამდგომლობა. რ. და ი. კ-ძეების სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებაზე განუხილველად იქნა დატოვებული.

რ. და ი. კ-ძეებმა კერძო საჩივრით მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 14 მაისის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმ საფუძველით, რომ მათ სასამართლო სხდომის დღედ ეცნობათ 2009 წლის 21 მაისი და არა 2009 წლის 14 მაისი, როდესაც გამოტანილ იქნა განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, რ. და ი. კ-ძეების კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მსჯელობას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საპროცესოსამართლებრივი საფუძვლების არსებობის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები-სა და 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, აპელანტის საქმის ზეპირ განხილვაზე გამოუცხადებლობისას, მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობით დასაშვებია სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება. ამასთან, დადგენილია, რომ აპელანტებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად ეცნობათ სასამართლოს სხდომის დროისა და ადგილის შესახებ. მიუხედავად ამისა, მათ არ მიუმართავთ სასამართლოსათვის საპატიო მიზეზის გამო საქმის განხილვის გადადების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორების მსჯელობას, რომ მათ სააპელაციო სასამართლოში სხდომის დღედ ეცნობათ 2009 წლის 21 მაისი და არა 2009 წლის 14 მაისი, როდესაც გამოტანილ იქნა სააპელაციო სასამართლოს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, მხარეები სასამართლო სხდომაზე შეიძლება დაიბარონ როგორც უწყებით, ისე ტელეფონით, დეკემით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას დეგება აქტი, რომელიც ჩაიკერება საქმეში. მოცემულ შემთხვევაში რ. და ი. კ-ძეები სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 14 მაისის სხდომაზე მოწვეულ იქნენ სატელეფონო შეტყობინების მეშვეობით, რაზედაც საპროცესო მოთხოვნის შესაბამისად შედგა აქტები და სატელეფონო საუბრის კომპიუტერული ჩანაწერი, რომლებიც წარმოდგენილია საქმეში. აღნიშნული აქტებისა და კომპიუტერული ჩანაწერის მეშვეობით ცალსახად დგინდება, რომ კერძო საჩივრის ავტორებს -ი. და რ. კ-ძეებს სააპელაციო სასამართლოს სხდომის დღედ ეცნობათ 2009 წლის 14 მაისი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ი. და რ. კ-ძეების კერძო საჩივარი არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. და რ. კ-ძეების კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში**

**განჩინება**

#ას-867-1153-09 10 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
თ. თოდრია (მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 18 მარტს ო. ჯ-ძემ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თ. მ-შვილისა და მ. ლ-ძის მიმართ თანხის დაკისრების შესახებ. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუ-

ხეებს 2006 წლის ზაფხულში სამუშაოდ დაუთმო საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე არსებული ორთახიანი ბინა, რომელიც საკუთრების უფლებით ეკუთვნის მოსარჩელის ოჯახის ერთ-ერთ წევრს. 2006 წლის აგვისტოში მოპასუხებთან ერთად წავიდა თურქეთის რესპუბლიკაში საქონლის ჩამოსატანად, რა დროსაც მოპასუხეებს გადასცა 4600 აშშ დოლარი, რომელშიც შედიოდა, როგორც მგზავრობის, ასევე, საქონლის შესასყიდი თანხა. მათ გახსნეს ფეხსაცმელების სააქრო, რომელშიც შესული მოგების ნახევარი უნდა მიეცათ მოსარჩელისათვის. მოსარჩელის მითითებით, 2006 წლის დეკემბერში ისევ წავიდნენ თურქეთის რესპუბლიკაში, რისთვისაც ისეხა 1000 აშშ დოლარი და ძირითადი საქონლის საყიდლად დაიხარჯა 2000 აშშ დოლარი, 1000 აშშ დოლარი დაემატა ფეხსაცმელების საწარმოდან აღებული თანხა. მოპასუხეებმა ფაქტობრივად იმუშავეს 2007 წლის ბოლომდე, ხოლო მოსარჩელეს დაუბრუნეს 2000 აშშ დოლარი, პროცენტი -630 აშშ დოლარი. აღნიშნული თანხა ისეხა სხვადასხვა პირებისგან და ბოლოს იძულებული გახდა, გამოეტანა სს „საქართველოს სახალხო ბანკიდან“ სესხი -3600 ლარი, რომელიც ამჟამად გადასახდელი აქვს.

მოსარჩელემ მოითხოვა დაეკისროთ მოპასუხეებს -მ. ლ-ძესა და თ. მ-შვილს ძირითადი თანხის 3600 აშშ დოლარის გადახდა, ბანკიდან აღებული სესხის პროცენტის -587 ლარისა და 35 თეთრის გადახდა და ძირითადი ქონების ფასეულობების 2000 ლარის ღირებულების ქონების უკან დაბრუნება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით ო. ჯ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -მ. ლ-ძეს და თ. მ-შვილს ო. ჯ-ძის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 3600 აშშ დოლარის გადახდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა თ. მ-შვილმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 14 ივლისის განჩინებით თ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა თ. მ-შვილმა. მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიუთითა, თითქოს მას გადაწყვეტილების ასლი ჩაჰბარდა 2009 წლის 22 ივნისს. მის შვილს აღნიშნული გადაწყვეტილება ჩაჰბარდა არა 22 ივნისს, არამედ, 23 ივნისს, საღამოს 6 საათზე. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს ათვლა უნდა დაეწყო 24 ივნისიდან. გარდა ამისა, მან მოითხოვა ჩაბარების უწყება, მაგარამ სასამართლოში სხვადასხვა მიზეზით დღემდე არ აძლევენ ნახვის საშუალებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ თ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

ამავე კოდექსის 74-ე მუხლის შესაბამისად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს.

დადგენილია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილების ასლი თ. მ-შვილის შვილს -ს. ლ-ძეს ჩაჰბარდა 2009 წლის 22 ივნისს. მან სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2009 წლის 7 ივლისს. განჩინების გასაჩივრების ვადა ამოიწურა 2009 წლის 6 ივლისს, ე.ი. სააპელაციო საჩივარი შეტანილია 1 დღის დაგვიანებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, თუ მხარე კანონით დადგენილ ვადაში არ გაასაჩივრებს სასამართლოს გადაწყვეტილებას (განჩინებას), იგი კარგავს ამ უფლებას, ანუ ეს უფლება ქარწყლდება და გადაწყვეტილება (განჩინება) შედის კანონიერ ძალაში. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან თ. მ-შვილმა სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში არ შეიტანა, მისი სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილია სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი 14-დღიანი ვადის გასვლით, რის გამოც კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

თ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 ივლისის განჩინება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.